ეროვნული
ბიბლიოთეკა

1-91

ძველი ქართული ფოსტერი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
ურთ საქართველოს აუგონ წესი.
ვენს ბრგე ციხეებს, ტანკენარ
ტაძრებს

ს საუკუნე სპობს უახლესი.
ალე გვექნება მინაძე-ჰესი
დაშლის ვარძიას, ზარზმას და
ხერთვისს,

გმინვა-გოდება ჯავახის, მესხის,
ბობოქრებულ ტალღებს შეერთვის...
ამ ხუდონ-ჰესით, ნამოხვანჰესით
ვანეთს და ლეჩხუმს სურთ დასცენ
მეხი,

რომ სამუდამოდ ჩვენს მთიანეთში
ამოუკვეთონ ქართველ კაცს ფეხი.
ამ ენგურჰესით და ჟინვალჰესით
სურთ საქართველოს აუგონ წესი,
ან გვარწმუნებენ: იცავსო ძეგლებს
ეს საუკუნე უდიადესი.

ზვიად გამსახურდია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მთავარი რედაქტორი
ზურაბ
რცხილაძე

სარედაქციო კოლეგია
ანდრია
აფაქიძე
ვახტანგ
ბერიძე
პარმენ
ზაქარაია
მარიამ
ლორთქიფანიძე
ოთარ
ლორთქიფანიძე
ლევან
მატარაძე
შალვა
მირიჯანაშვილი
ჯულიეტა
რუხაძე
ვახტანგ
ცინცაძე
ირაკლი
ციციშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბატონო ზვიად!

ჟურნალ „ძეგლის მეგობრის“
რედაქცია გულწრფელად
გილოცავთ თავისუფალი
საქართველოს პირველ
პრეზიდენტად არჩევას. ჩვენი
მოკრძალებული ხმა გვსურს
შევუწყოთ სრულიად საქართველოს
ერთსულოვან მილოცვათა
მრავალხმიანობას.
გვჯერა, რომ თავდადებული
მეცადინეობით მრავალტანჯულ
ქართველ ერს სანუკვარ
თავისუფლებამდე მიიყვანთ. ამის
იმედს განგვიმტკიცებს თქვენი
მოწამეობრივი ცხოვრება და
თავგანწირული ბრძოლა
სამშობლოს ბედნიერებისათვის.
ყველამ იცის თუ რა შეუპოვარ
დამცველად მოევლინეთ თქვენ,
ბატონო ზვიად, საქართველოს
ისტორიისა და კულტურის
ძეგლებს, როგორ იცავდით, და,
გვწამს, მომავალშიც დაიცავთ
ერის საუნჯედქცეულ
მემკვიდრეობას, რა მედგრად
იბრძოდით დიდი თუ მცირე, აშკარა
თუ შენიღბული მტრის წინააღმდეგ.
ჩვენი ჟურნალის სახელწოდებაც –
„ძეგლის მეგობარი“ იმაზე
მეტყველებს, რომ იგი კვლავ
ელის თქვენგან თანადგომას
ეროვნული საუნჯის დაცვა-
შენახვის საქმეში.
ღმერთი იყოს სრულიად
საქართველოს მფარველი!

საქართ... ეროვ.
ბიბლ...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის

განცხადება

1991 წლის 29 აპრილს საქართველოში მომხდარმა ძლიერმა მიწისძვრამ განსაკუთრებით დააზარალა საჩხერის, ონის, ამბროლაურის, ჯავისა და ცაგერის რეგიონები (5. 700 კვ. კმ. ტერიტორია 100. 000-ზე მეტი მცხოვრებით).

პირველადი მონაცემებით, მიწისძვრის შედეგად დაინგრა საცხოვრებელი და სამეურნეო შენობების 85 პროცენტი. არის ადამიანთა მრავალრიცხოვანი მსხვერპლი. არიან დაშავებულები.

ზემოაღნიშნული რეგიონები ცხადდება სტიქიური უბედურების ზონად.

1991 წლის 30 აპრილი.

მიმართვა ქართველი ხალხისადმი

ძვირფასო თანამემამულენო!

ქართველმა ხალხმა კარგად უწყის, რომ ეროვნული ძალმოსილება მხოლოდ უდიდესი ჭირსახდელის გავლით მიიღწევა. ბედმა არგუნა ჩვენს ქვეყანას განუწყვეტელი ბრძოლა ფიზიკური არსებობისა და სულიერი მხნეობის შესანარჩუნებლად.

დღეს მორიგი განსაცდელის წინაშე აღმოვჩნდით. დაუნდობელმა სტიქიამ შეიწირა ადამიანთა სიცოცხლე, უსახლკაროდ დატოვა მრავალი ქართველი, გააღრმავა ჩვენი იარები.

საქართველოს ხელისუფლება სამძიმარს უცხადებს დაღუპულთა ოჯახებს და მთელ ქართველ ხალხს და, თავის მხრივ, ყველაფერს იღონებს იმისათვის, რომ კატასტროფის ზონაში გატარდეს მაქსიმალურად ეფექტური ღონისძიებები, როგორც საკუთარი ძალებით, ასევე მსოფლიოს ქვეყნების ჰუმანიტარული დახმარების მეშვეობით.

გვწამს, რომ ჭირთათმენის ამ მძიმე ჟამს ქართველი ერი შესძლებს შეინარჩუნოს სულის სიმტკიცე, გვერდით ამოუდგეს საქართველოს მთავრობას და მისთვის ჩვეული შეუპოვრობით დასძლიოს ეს დიდი განსაცდელი.

საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტი

ზვიად გამსახურდია

1991 წლის 30 აპრილი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძვირფასო მკითხველო!

იმედი გვაქვს ჩვენს კრებულს „ძეგლის მეგობარს“ იცნობ, ან თუ მოუცლელობის გამო არ წაგიკითხავს თვალი ხომ მაინც გადაგივლია. კრებულმა მნიშვნელოვანი გზა განვლო, ჩვენს მრავალჭირნახულ ძეგლებს ერთგულ ძმად მოევლინა, თავის ირგვლივ შემოიკრიბა ყველა ის, ვინც წარსულის ფურცელთა წაკითხვა-ეიკვლევასა და აღდგენაში ქართველი კაცის მოვალეობის აღსრულების აუცილებლობას ხედავს ერის წინაშე.

ძეგლის მეგობარს საფუძველი ჩაუყარეს ჩვენმა სახელოვანმა წინაპრებმა — ცნობილმა მწერლებმა, საზოგადო მოღვაწეებმა, ხუროთმოძღვრებმა და იმთავითვე საქველმოქმედო, საშვილიშვილო, საერო გეზი და მიმართება დაანათლეს.

მაგრამ დრო მიდის, ყველაფერი იცვლება. კრებულმა სათანადო გამოცდილება შეიძინა, მოღონიერდა და რაკი ყველაფერი იცვლება, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა კრებულისათვის ჟურნალის სახე მიეცა. ასე რომ დღეიდან „ძეგლის მეგობარი“ საქართველოს მრავალ გამოცემათა მწყობრში ჩადგება, უწყებრივ საზღვარს გაიფართოებს და შენთვის, მკითხველო, ცნობილ ჟურნალთა გვერდით, ვიმედოვნებთ, „ბინასაც დაიდებს“.

ცხადია გაინტერესებს როგორი ცვლილება, ან თუ რა სიახლე იქნება ჟურნალში.

აბა რა უნდა ვთქვათ, რა პირობა მოგცეთ. რასაც ვიტყვით აკი მაინც სიტყვად დარჩება და ამიტომ უპრიანი იქნება მომავალს დაველოდოთ, რათა თქვენ — ჩვენი პატივცემული მკითხველი და ჩვენ თქვენი მონა-მორჩილი დავრწმუნდეთ, რომ ჩვენმა ახალმა სარედაქციო „გუნდმა“ ახლებური სული ოდნავ მაინც შთაბერა და ჟურნალს რაღაცა, სულ იოტის ოდენა სიკეთე მაინც შემატა. აკი ილია გვასწავლის, რომ „ჟურნალ-გაზეთობაში შემოღებულიაო ერთი ახირებული ჩვეულება. გამოვა ახალი გაზეთი თუ არა, მისი რედაქცია უცილო ვალად ჰრაცხს პირველ ნომერშივე საზოგადოებას აუხსნას თვისი დედა-აზრი, თვისი მიმართულება, აღნუსხოს ყოველი ის, რითაც უპირებს გაზეთს სულის ჩადგმას და ხორცის შესხმასა. ამ ჩვეულების ძალმომრეობით გაზრდილი საზოგადოებაც, დაინახავს ახალ გაზეთს თუ არა, გულდაჯერებულია, რომ პირველს ნომერშივე იპოვის რედაქციის აღსარებას მასზედ, თუ რა აზრი და დანიშნულება აქვს ამ ახალ გაზეთსა: რის შემოტანა ჰსურს მწიგნობრობაში, თუ ცხოვრებაში; რა გზას, რა კვალს დაადგება, საზოგადო ცხოვრებისაგან მოვლინებულთ საგანთა გამოძიებაში; რა თვალით განიხილავს ყოველს მას, რასაც ჩვენი თუ სხვის ცხოვრება თავისს დაუდგრომელს მიმდინარეობაში აღმოაჩენს; რას და როგორ ემსახურება და ბოლოს რას გვპირდება და რას გვიქადისო.

ამ ჩვეულებას თვისი მართებული და პატივსადები საბუთი აქვს. საზოგადოებამ ,რასაკვირველია, უნდა იცოდეს, რა აზრის კაცთან იქნეს საქმეს. რისი და ვისს მიმდევარს უნდა ათხოვოს თავისი ყურადღება. მაგრამ ყოველს მასზედ, რაც წინ მოვიხსენიეთ, პასუხის მიცემა თითქმის შეუძლებელია. თუნდ ეგ არ იყოს, ცოტა უხერხულადაც მიგვაჩნია. ამ შემთხვევაში პასუხად ხომ ცარიელი ლიტონი სიტყვა უნდა იყოს-და

ცარიელი სიტყვა რა თამასუქია, ნამეტნავად ამისთანა ეჭვით სავსე დროში, ვინა ვარ, რა აზრისა ვარ, რა საქმის დადგენა მინდა, რისთვის გამოვდივარ მოედანზე, — ესე ყველა იმისთანა საგანია, რომელზედაც საუბარი ვერ ეხერხება კაცსა. ორში ერთი: კარგს იტყვის კაცი — თავის თავზე, თქმა იქნება, და თუნდ მართალიც იყოს — ტრაბახობაში ჩამოართმევენ, ცუდს იტყვის კიდევ — სულელობა გამოვა"...

ასე რომ თუ ჩვენს დიდ მოძღვარს დავუჯერებთ და უეჭველია უნდა დავუჯეროთ, წინდაწინ თამასუქის გაცემა უხერხულად გვეჩვენება. დრო იტყვის თავისას, ჭეშმარიტ სასწორზე შეაგდებს ავ-კარგს, ცოდვა-მადლს და თავის განაჩენს უტყუარადაც გამოგვიტანს.

ერთი კია. ჟურნალი „ძეგლის მეგობარი", როგორც სახელწოდება გვამცნობს, ჩვენთა სახელოვან წინაპართა შექმნილის სადარაჯოზე უნდა იდგეს, უვლიდეს და პატრონობდეს მას და თუ ამ ტვირთის ზიდვა თვითონ ხელ არ ეწიფება ზარს მაინც შემოჰკრას და ქვეყანას ამცნოს, რომ წარსულის დიდება, რომელიც მომავალი თაობის აღმზრდელ-მასწავლებელიც გახლავთ პირისაგან მიწისა არ აღიგავოს, არ წაიშალოს, თვალსწელშუა არ გაგვიქრეს.

ერთი სიტყვით როგორც კვლავ ილია გვასწავლის „ჟურნალ-გაზეთობას ორგვარი დანიშნულება აქვს. ერთის მხრით იგი არის შუამავალი ცხოვრებასა და მეცნიერებას შორის, გამავრცელებელი კაცობრიობის ჭკუით მოპოვებულის, გამოძიებულის და აღიარებულის სიმართლისა, ჭეშმარიტებისა; მეორეს მხრით, იგი არის სარკე საზოგადოების რთული ცხოვრებისა, მისი გონებითის, ზნეობითის მოძრაობისა. მასში სჩანს და ისახება ყოველდღიურის აზრის მიდენ-მოდენა."

როგორც ხედავ ძვირფასო მკითხველო, მძიმე ტვირთს მოვეკიდეთ, მაგრამ რაკი ვიტვირთეთ, ალბათ უნდა ვზიდოთ კიდეც.

ზურაბ რცხილაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველის დაბრუნება

14 აპრილი — ქართული ენის დაცვის დღე წლეულს მართლაც რომ დღესასწაული იყო. ამ დღემ დაასახელა სრულიად საქართველოს პრეზიდენტი — ზვიად გამსახურდია. თოთხმეტმა აპრილმა მესამე ღირსშესანიშნავი თარიღიც შეითავსა — შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნის დღე.

რუსთაველის მოედანი, ზღვა ხალხი, დაუვიწყარი დღესასწაული.

პირველი სიტყვა ბატონ **ზვიად გამსახურდიას:** გილოცავთ ქართული ენის დაცვის დღეს. ნიშანდობლივია მეგობრებო რომ სწორედ ამ დღეს იხსნება დიდი რუსთაველის ძეგლი, სიმბოლო ქართველი ხალხისა, ქართული ენისა, სიმბოლო ქართული სიტყვის უკვდავებისა. აწ და მარადის ქართველ ერს შოთას გზით ევლოს.

ბატონი ზვიად გამსახურდია ძეგლს საბურველს ხსნის.

მიკროფონთან პოეტი მუხრან მაჭავარიანია.

— გულითა და სულით გილოცავთ ნანატრ გაზაფხულს. ასრულდა მრავალწლოვანი ნატვრა ქართველი ერისა: დღეს საქართველო დამოუკიდებელია და მას ჰყავს პრეზიდენტი. იყო დრო, როცა ამას თავისუფლად ვერც კი ვამბობდით. დღეს კი ვაცხადებთ—გაუმარჯოს დამოუკიდებელ, თავისუფალ საქართველოს! გილოცავთ დიდი რუსთაველის ძეგლის გახსნას.

— ამ ზეიმს — თქვა მწერალმა ამირან კალაძემ, — უერთდება საქართველოში მცხოვრები ყველა ერის წარმომადგენელი.

რუსთაველის აღდგენილი ძეგლის გახსნა სიმბოლური აქტია, რადგან იწყება სრულიად საქართველოს აღდგენაც — განაცხადა ბატონმა თემურ ქორიძემ — ეს აღდგენაა რუსთაველის სულისა, „ვეფხისტყაოსნის“ სულისა. იწყება აღორძინება ქართული ცნობიერებისა.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე აკაკი ასათიანი: ქართველი კაცის ცნობიერება

სამ უზენაეს ღირებულებას ეყრდნობა: საღვთო წერილს, ქართლის ცხოვრებას და „ვეფხისტყაოსანს“. გაუმარჯოს ამ დიდებულ დღეს, ჩვენთან არს ღმერთი!

საქართველოს დედაქალაქს განახლებული შოთა რუსთაველი დაუბრუნდა, მშვიდობა შენს მოსვლას სულმნათო წინაპარო.

ლელა ფიკლაური.

სურათზე: რუსთაველის ძეგლის გახსნა. მოქანდაკე კონსტანტინე მერაბიშვილი, არქიტექტორი გივი ჯაფარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფორუმი, მსჯელობა, შედეგები

ყრილობამ ასე გადაწყვიტა

საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ყრილობა

1991 წლის 7 თებერვალს თბილისის ჭადრაკის სასახლეში გაიმართა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ყრილობა.

ყრილობის დღის წესრიგში იყო შემდეგი საკითხები:

1) საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს ანგარიში;

2) სარევიზიო კომისიის ანგარიში;

3) საზოგადოების ახალი წესდების პროექტის განხილვა-დამტკიცება;

4) არჩევნები.

საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს სახელით ყრილობას ანგარიში ჩააბარა საბჭოს თავმჯდომარემ, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორმა, პროფესორმა **ირაკლი ციციშვილმა,** რომელმაც აღნიშნა, რომ საზოგადოების დაარსებიდან, ანუ 1959 წლიდან დღემდე მისივე სახსრებით რესტავრირებულია ასობით ძეგლი. რაც შეეხება საანგარიშო პერიოდს — საზოგადოება ტრადიციულად დიდ ყურადღებას უთმობს როგორც ხუროთმოძღვრული, ასევე არქეოლოგიური ძეგლების კვლევას. 1987-1991 წლებში რესტავრაცია გაუკეთდა 26 ძეგლს და დაფინანსდა რამდენიმე არქეოლოგიური ექსპედიცია, რაც, რასაკვირველია, დიდ მატერიალურ ხარჯებთან იყო დაკავშირებული.

ძეგლთა დაცვის პოპულარიზაციის მიზნით საზოგადოების დაკვეთით დაიბეჭდა თემატური პლაკატები, ბიულეტენი „დარბაზი“, ღია ბარათები, კრებული, კალენდარი, გადაღებულ იქნა რამდენიმე დოკუმენტური ფილმი, მოეწყო ქართული ხალხური რეწვისა და დეკორატიულ-გამოყენებითი ხელოვნების გამოფენები, ჩატარდა საღამოები, სემინარები, სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები...

სარევიზიო კომისიის სახელით ყრილობას ანგარიში ჩააბარა კომისიის თავმჯდომარემ, არქეოლოგმა გივი ღამბაშიძემ,

კამათში მონაწილეობდნენ: ნანა გუგუნავა, ვალერიან მამუკელაშვილი, მიხეილ ნიკოლეიშვილი, გიორგი მინდიაშვილი, გიორგი ხორგუაშვილი, ვახტანგ ცინცაძე, ანდრია აფაქიძე, ნოე აფხაზავა, გიორგი მარჯანიშვილი, ღვთისავარ არჩემაშვილი...

შემდეგ დელეგატებმა განიხილეს ახალი წესდების პროექტი.

ახალი წესდების მთავარი მიზანია თანამედროვე მოთხოვნებიდან გამომდინარე გააქტიუროს საზოგადოების მოღვაწეობა ეროვნულ-კულტურულ მემკვიდრეობის შესანარჩუნებლად, გამოაცოცხლოს საქალაქო, რაიონული და საოლქო საბჭოების მუშაობა, ეკონომიკურ-სამეურნეო საქმიანობაში მიანიჭოს დამოუკიდებლობა, გაზარდოს მათი როლი რეგიონებში მდებარე ძეგლთა მოვლა-პატრონობის სრულყოფაში...

განხილვაში მონაწილეობდნენ: გოდერძი ნარიმანიშვილი, არჩილ ფავლენიშვილი, ბეჟან ჯავახია, ლევან მატარაძე...

პროექტში რამდენიმე პრინციპული მნიშვნელობის მქონე შესწორებისა და დამატების შეტანის შემდეგ დამტკიცდა საზოგადოების ახალი წესდება. შემდეგ ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომლის ერთ-ერთი პუნქტის მიხედვით საზოგადოების მუშაობა განვლილ საანგარიშო პერიოდში შეფასდა დამაკმაყოფილებლად.

ყრილობის დასასრულს გაიმართა არჩევნები.

დელეგატთა გადაწყვეტილებით შეიქმნა მრჩეველთა საბჭო, რომელსაც ევალება გაუწიოს საზოგადოებას მეთოდოლოგიური დახმარება ძეგლთა რესტავრაციისა და მეცნიერული კვლევის სწორად წარმართვისათვის, მიაწოდოს რეკომენდაციები ძეგლთა დაცვის სახელმწიფო და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, შეიმუშაოს კულტურული მემკვიდრეობის შენარჩუნების პროგრამები...

ახალი წესდების თანახმად განხორციელდა სტრუქტურული ცვლილებები. შეიქმნა სათათბირო, რომლის შემადგენლობაში სხვა წევრებთან ერთად შევიდნენ ძეგლთა დაცვის საზოგადოების ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონული საბჭოების თავმჯდომარეები.

აირჩიეს სათათბიროს გამგეობა შემდეგი შემადგენლობით: ირაკლი ციციშვილი, გივი პაპალაშვილი, მაია ასანიძე, ბეჟან ჯავახია, მამა გიორგი (გამრეკელი), მერაბ ბოჭოიძე, ნოე აფხაზავა, გიორგი ოთხმეზური, ფიქრია ჩიხრაძე, არჩილ გოგელია, გიორგი მარჯანიშვილი.

საზოგადოების სათათბიროს გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულია ირაკლი ციციშვილი, მოადგილედ — გივი პაპალაშვილი, პასუხისმგებელ მდივნად — მაია ასანიძე.

ამით საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების VIII ყრილობამ მუშაობა დაამთავრა.

რევაზ საყევარაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ვამბობთ

არა მგონია დედამიწის ზურგზე ისეთი ვინმე არსებობდეს დედაენის უღრმესი, უმაღლესი, უკიდეგანო მნიშვნელობა არ ესმოდეს. ყველა უმთავრეს მადლთაგან იგი უპირველესია. აკი მისი, ენის მეშვეობით შემოდის ადამიანის ცნობიერებაში მთელი სამყარო, **იგი ძეგლია ძეგლთაგანი, ხელიხელ საგოგმანები და სათუთად შესანახი, ხანდაზმული და მარად ახალგაზრდა, საოცრად მყარი და უსასრულოდ ცვალებადი, წარსულის მცველ-ყარაული და მომავლისაკენ მზირალი.**

...ერთხელ ქუჩაში ბატონი აკაკი შანიძე შემხვდა და რადგან ჩემისთანა მრავალი მოწაფე ჰყოლია ჯერ თავი გავახსენე, ხოლო შემდეგ მოკრძალებულად მივმართე-ბატონო აკაკი, თქვენ ქართული ენის უდიდესი მოამაგე ბრძანდებით მეთქი, გრამატიკოსთა გზამკვლევი და ყველა ჰეშმარიტი ქართველის უბადლო მასწავლებელი.

მიპასუხა, შვილო, ქართული ენის შესწავლას დღეს რომ თავი დავანებო ხვალიდან ჩემი უცოდინარობა დაიწყებაო.

წლები წავიდნენ, მაგრამ ამ ჰეშმარიტი შეგონებისთვის ენის პატრიარქს დღესაც მსურს დიდი მადლობა მოვახსენო. და რადგან ენასაც სჭირდება მუდმივი მცველ-ყარაული ჟურნალ „ძეგლის მეგობრის" რედაქციამ გადაწყვიტა შემოიღოს რუბრიკა „როგორ ვამბობთ", რომელშიც შეძლებისდაგვარად ენობრივ საკითხებს შევეხებით. ვიცით, არც ჩვენ ვიქნებით შეუმცდარნი, მაგრამ მიგვაჩნია, რომ დედაენის დღევანდელ მდგომარეობას ამგვარი გადაწყვეტილება ჰეშმარიტად წაადგება.

ძვირფასო მკითხველო, შემოგვეხმიანე, მოგვწერე, საკუთარი მოსაზრება გაგვიზიარე. გვერწმუნე, რომ ამით ჩვენს საქმიანობას ძალას შემატებ და ფრთას შეასხამ, რის გამოც წინდაწინ უდიდეს მადლობას მოგახსენებთ.

...არამედ შარშან!

ხშირად გაგვიგონია გამოთქმა გასულ წელსაო და არ კი დავკვირვებივართ თუ რას გულისხმობს მთქმელი.

თურმე ნუ იტყვი და გასული წელი შარშანდელს ნიშნავს.

რატომ?

განა გასული წელი იმ ჟამსაც არ ეკუთვნის საუკუნეები რომ გვაშორებენ?

მაშ რაღად შევცვალეთ ჩვენებური **„შარშან"** სხვათა ენიდან უადგილოდ თარგმნილი „გასულით" ანუ „პრაშედშით" და ის კი აღარ ვივარაუდეთ, რომ სათქმელს სიზუსტე წავართვით და ჩვენი ხეირიანი, მადლიანი, გამართული ქართული სხვათა ცუდით შევცვალეთ. მერედა მხოლოდ ერთ შარშანდელს ამბობს ჩვენი დედა-ენა დაზუსტებით?

არა!

შარშანწინაო გვეუბნება და მიგვანიშნებს ესადაეს ამბავი ორი წლის წინანდელიაო. ეხლა შარშანწინისწინ ვნახოთ რა მადლიანია — სამი წლის წინანდელს გვიზუსტებს უტყუარად.

ცუდია?

მაშ რაღად ვესესხებით სხვათა ნათქვამს, მეტადრე თუ ის უცხო ჩვენსას არა სჯობს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაღლიერების საყდარი

ჩამავალმა მზემ ბროწეულის ყვავილისფრად შეღება ცის კაბადონი. ფირუზამ შუბლი მოიჩრდილა, აჭრილ ღრუბლებს გახედა და ხოდაბუნის ხვნაში გართულ ძმებს გადასძახა:

— მალე დაბინდდება, ბიჭებო, კამეჩებს არ გამოუშვებთ?!

— ბარემ გავიტანთ სვეს და...

სუფრა გაშალე, ფირუზ, ხო იცი, როგორი მოშიებულები ვართ! — გამოსძახა გუთნისდედა გიორგიმ და კამეჩს სახრე გადაუჭირა.

ფირუზამ ზედადგრიდან სპილენძის დიდი ქვაბი გადმოდგა და ქარვისფერი ღვინო კოკიდან ხელადაში გადმოასხა.

— შენ ძალიან შემომეჩვიე, ყვანჩალავ აბა, ეს პურის ნამტვრევებიც ახეხე, ალალი და უსაყვედურო იყოს...

ყვავი მუხის ტოტიდან ძირს ჩამოფრინდა, სახელდახელოდ გაშლილ სუფრასთან სკუპ-სკუპით მიირბინა და დოლის პურის ნამცეცებს კენკვა დაუწყო.

— რას ვიზამთ, ყვანჩალ, ლეკიანობამ აღარაფერი შეგვარჩინა, ცხვარი ჩვენ აღარ გვყავს და ხბო-ძროხა, რაც დაგვრჩა, იმაზე უნდა გავიდეთ იოლას. მეც მაგათთან ბრძოლამ დამაკოჭლა, თორემ აქ რა მინდოდა, დღეს აგერ იქ, უღელზე ვიქნებოდი შემომჯდარი.

ყვავმა თითქოს გაიგო ნათქვამი და ფრთები შეიბერტყა.

დილას აქეთ ქოხის გარშემო დაფარფატებდა ყვავი, არც ხელის აქნევას ეპუებოდა, არც დატევას და ცეცხლთან მოფუსფუსე მზარეულს გაწუწკებული ლეკვივით დასდევდა.

— გასწი, ყვანჩალავ, აგერ, შენიანები გუთანს არა შორდებიან, ჭიაღუით გაივსეს ჩიჩახვები და შენ რა ღმერთი გიწყრება თავიდან რო არა მცილდები?

საყვედური საყვედურად, მაგრამ ფირუზა შემოჩვეულ ყვავს ხან ყველის ნამტვრევს უყრიდა, ხანაც ხორბლის მარცვლებს.

— ბინდდება და თუ ძალით არ გამოვრეკე ეგენი, მუშაობაზე ხელის ამღებნი არ არიან... — ფირუზა კოჭლობით გაუყვა ბილიკს, მერე ნახნავზე გადავიდა და გადაშავებულ ბელტებზე დაიწყო ასკინკილით ხტუნვა. ქოხიდან ყვავის ჩხავილი მოესმა, შეჩერდა, გახედა მუხის ფოთლებში მოფრთხიალეს, ხელი ჩაიქნია და გზა განაგრძო.

— მარტოკას მოგეწყინა განა?! არა უშავს რა, მოითმინე, მალე მოვალ.

— წამოდით, ხალხნო, აქ ხომ არ აპირებთ გათენებას.

ცხრა ძმამ უღლები მოხსნეს კამეჩებს, გუთანი ხოდაბუნს გვერდით გაიტანეს და ლაპარაკ-ლაპარაკით ქოხთან მოიყარეს თავი. ხელები წყაროზე გადაიბანეს, პირჯვარი გადაიწერეს და მწვანე მდელოზე გაშლილ სუფრას შემოუსხდნენ, პური გატეხეს, ღვინო ჯამებში ჩამოასხეს და ის იყო ფირუზამ ქაფქირი სპილენძის დიდ ქვაბში ჩაყო, რომ მუხაზე შემომჯდარმა ყვავმა წეღანდელივით ჩხავილი ატეხა.

— წადი, შე სატიალევ, რა თავზე დამჩხავი! — წამოვარდა ბეჟანა, ქვას ხელი წამოავლო და გამეტებით ესროლა. ყვავს ჩხავილი არ შეუწყვეტია, ნასროლ ქვას თვალი გააყოლა და უფრო ხმამაღლა გაბა.

— რა უნდა ამ ვერანას, რას გვემართლება?! — ჩაიბუხუნა ნიკომ და შემართული ჯამი დაბლა დაუშვა.

— მაგის თავზე რაღაც ამბავია, ბი-

ჭებო, თორემ მთელი დღე გვერდიდან არ მომშორებია და როგორი ხმისა ყოფილა, ეხლა გავიგე, — ჩაილაპარაკა ფირუზამ და ქაფქირი ისევ ქვაბში ჩაუშვა.

უეცრად მოსწყდა ტოტიდან ყვავი, მუხის ტოტებში ფრენა-ფრენით გაძვრა-გამოძვრა, კამარა შეჰკრა, დაბლა დაეშვა და თავგანწირული ჩხავილით მდუღარე ქვაბში ჩაეხეთქა ტყვიასავით.

— ფუჰ, შენი, ნახეთ რა გვიყო?!.

— მშიერი დაგვტოვა ამ ვერანამ!

ფირუზამ მაჯა დაიკაპიწა, ქაფქირი ქვაბში მოფართხალე ფრინველს ქვევიდან ამოუტარა და როდესაც მაღლა ამოსწია, შეშინებულმა ამოიძახა:

— კაცო ეს რა არი!

— რა უნდა იყოს! რა მოგვივიდა, რა მიტკლის ფერი დაგედო?!

— ქვაბში გველია!..

ყველა ფეხზე წამოცვივდა, ფირუზასთან მივარდა, შეჭამადი გადაამხეს და როცა ქვაბის ძირში დაკლაკნილი უსიცოცხლო გველი დალანდეს, ქაფქირიანად შორს მოისროლეს და სულთმობრძავ ყვავს შემოეხვივნენ.

— არიქა წყალი, — დაიძახა ბაკურამ, მაგრამ დამდუღრულმა ტკბილნელად გაიფართხალა, ნისკარტი მიწას მიაბჯინა და დამშვიდდა, დაწყნარდა სამუდამოდ.

დიდხანს ხმა არავის ამოუღია, გარინდებულნი დასცქეროდნენ დამდუღრულ ფრინველს, რომლის ბუმბულზეც ატაცებული ქონი ჯერაც ვერ შეეხმო მიმწუხრის სიგრილეს.

— რა პატარა ყოფილა ეს საცოდავი! — სინანულით ჩაილუღლუღა ნაბოლარა თედომ.

კიდევ დიდხანს იდგნენ იმ ადგილზე ძმები და ვერ იქნა და ვერ მოეძებნათ სიტყვა, რომელიც გულის წუხილს წამლად დაედებოდა, ან კი განა ყოველთვის შეუძლია ადამიანს ამოთქვას ის, რაც გულში უტრიალებს, სულს უბურღავს და ყელში აწვება?! განა ყველაფერი ნათქვამი აქვს ადამიანის ენას, განა მთლად გააღო ბუნებამ თავისი ცხრაკლიტულის კარი, განა ყველა კავშირი შეცნობილია უტყვთა და მეტყველთა, უძრავთა და მოძრავთა შორის?

ძეგლი სამუდამოდ ფირზე აღიბეჭდება.

— ძმებო, ამ ადგილზე ეკლესია უნდა ავაშენოთ, ყველამ გაიგოს, სიკეთეს არავის ვუკარგავთ, რომ ამ საგურამოს ბოლოზე ერთი პატარა სალოცავი ყვავის სახელზეა აგებული, იცოდნენ, იმის სიკვდილით დავიზაფრეთ, ვიჯავრეთ და სამადლობელო ქრისტიანულ საყდრად ვაქციეთ.

მცხეთიდან მოსული ბერი საკურთხეველ ლოცვას აღუვლენდა ცხრა ძმის ხელით აშენებულ საყდარს. საკმევლის სურნელი ტრიალებდა ირგვლივ, თაფლის სანთელი იღვენთებოდა კუთხე-კუნჭულში:

— ყოვლად სახიერო უფალო, გარდამოგვივლინენ ჩვენ მადლი სულისა წმიდისა შენისა! შევიდე სახლსა შენსა, თაყვანი ვსცე ტაძარსა წმიდასა შენსა შიშითა შენითა, უფალო, მაძღრენ მე სიმართლითა შენითა და მტერთა ჩემთათვის წარჰმართე შენ წინაშე გზაი ჩემი! ვის სახელზე გინდათ განინათლოს საყდარი ესე, შვილნო, ჩემნო? — შეეკითხა ბერი ფირუზას და საცეცხლური გააქან-გამოაქანა!

— ყვავის სახელზე.

— როგორა, როგორა?!

—ყვავის სახელზე, მამაო, — გაუმეორა გოდერძმა.

— სახელი ხომ არ შეგეშალათ, შვილნო ჩემნო?!

— ღვთის წინაშე სიტყვის შეშლა რა საკადრისია...

— ?!

— აკურთხე მამაო!.. ღვთის გაჩენილია ფასკუნჯი, მტრედი და ყვავი.

— მეუფეო ყოველთაო ქრისტე უწყი, რამეთუ მოწყალე ხარ და კაცთმოყუარე, და უწყი, რაოდენიცა ვჰსცოდე, შემინდევ და შემიწყალე და შემწე მეყავ და მიძღოდე მე გზათა შენთა, დალოცე ეკლესია ესე და იწოდებოდეს დღეის შემდეგ სახელითა ყვავისათა და დღეგრძელი იყოს უკუნითი უკუნისამდე, ამინ!

მას შემდეგ ასეულმა წლებმა გადაგორუხუნეს, მზეც ანათებდა და თოვლიც ბარდნიდა, მწირი გაზაფხულიც იყო და ბარაქიანი შემოდგომაც, სისხლიც იღვრებოდა და ჟუჟუნა წვიმაც, მეხთა ტეხაც იყო და თოფის ქუხილიც. ყვავის საყდარსაც გადაუარა ქარიშხალმა, ჯერ სახურავი გადააძრო, მერე კედლებს მოხსნა პირი და მოალაღა, თოვლმა და წვიმამ ქვათა წყობა მოაბოშა, გადმოყარა, დააპატარავა, დაამცირა.

ამ ხუთიოდე წლის წინათ კი ისევ ახმიანდა ყვავის საყდარი: მოვიდნენ თბილისის მეთვრამეტე პროფტექნიკური სასწავლებლისა და მცხეთის მუზეუმ-ნაკრძალის თანამშრომლები, ითათბირეს, იკამათეს, ესეც თქვეს, ისიც და გადაწყვიტეს:

— აღდგეს ყვავის საყდარი, როგორც იყო ისევე!..

— წყაროც აღსდგეს ცხრა ძმის გამოყვანილი! — თქვა სასწავლებლის დირექტორმა ნოდარ კუჭავამ.

— ცვილის მეთოდით შემუშავებული ხსნარი წაესვას მას სამაგრად და მოსაფერად, რომლის შემდეგაც ვერა დააკლოს ქარმა და წვიმამ! — დაივალა მასწავლებელმა ნოდარ აბრამიშვილმა.

— წყაროს ორი ქართველი გენიოსის — დავით გურამიშვილისა და ილია ჭავჭავაძის ხსოვნის პატივსაცემად პოეზიის წყარო ეწოდოს! შოთას, სულხან-საბას, დავით გურამიშვილის, ნიკოლოზ ბარათაშვილის, ვაჟას, აკაკის ხელმიწერები დააჩნდეს კვალად.

— ყვავის ძეგლიც იდგეს აქვე სიკეთის ნიშნად! — წერტილი დაუსვა მოსწავლემ.

და დგას დღეს საგურამოს ბოლოს, მუხასთან, ღვთის სახლი წელში გამართული, წყარო გამოსჩქეფს მგზავრთა საამოდ და სუნთქავს სიკეთის ნერგი ალალგულით გახარებული.

ვალერიან მამუკელაშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ალბათ ბედიც მწყალობდა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბატონო გიორგი!

თქვენივე სიტყვებით გვსურს მოგმართოთ: კაცმა ისე უნდა იცხოვროს ამ ქვეყნიდან წასულად არ იხსენებდნენო. ამას წინათ „ძეგლის მეგობრის“ სარედაქციო კოლეგიაზე გადავწყვიტეთ თქვენი ღვაწლი აღგვენიშნა და კიდევ ერთხელ გვეთქვა ორიოდ სიტყვა იმ მზრუნველობისა და თანადგომის შესახებ, რომელიც თქვენ გაუწიეთ ჟურნალს. ამ წინადადებას ერთი მოწინააღმდეგეც კი არ გასჩენია. პატარა წერილი კიდეც მომზადდა, მაგრამ როცა წავიკითხეთ ცოტა შევფიქრიანდით. ჯერ ერთი რამდენიმე გვერდმა ვერ დაიტია ის დიდი ღვაწლი ქართულ მეცნიერებას თქვენ რომ დასდეთ, ისე თუ სიმართლეს ვაღიარებთ თქვენი დამსახურების აღნიშვნას ჟურნალის მთელი ნომერიც ვერ დაიტევდა. და მაინც არც ეს გახლდათ მიზეზი იმისა, რომ ამგვარ წერილზე უარი ვთქვით. უდიდეს ბოდიშს გიხდით, ბატონო გიორგი, წერილი ჟანრულად კვლავ ნეკროლოგს (ამ სიტყვას ვერ ავცდით) დაემსგავსა და ამიტომ მიუღებლად მივიჩნიეთ, რადგან თქვენისთანა ამაგდარი ადამიანები იმისთვის როდი მიდიან ამ ქვეყნიდან, რათა ჩვენგან სამუდამოდ წავიდნენ. მართალია თქვენ, თქვენი ცხოვრების წესითა და ყაიდით ყოველგვარი მაღალფარდოვნების წინააღმდეგი იყავით და ზემოთქმულიც შესაძლოა ასეთად მოგეჩვენოთ, მაგრამ ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ ჭეშმარიტება მოითხოვს ცოცხლებში მოგიხსენიოთ.

თითქოს ღმერთმა გვისმინა და ამ საუბარს შემოესწრო ბატონი მიხეილ ვარაზაშვილი, თქვენ უთუოდ გახსოვთ ეს პიროვნება, ყველაფერ ქართულს ისე მოკრძალებითა და თაყვანისცემით რომ ეპყრობა ნამდვილ მამულიშვილს როგორც შეშვენის. ჰოდა მან შემოგვთავაზა ინტერვიუ, რომელიც თქვენგან აუღია ბარე ოცი წლის წინათ.

გავიხარეთ.

როცა ამ სტრიქონებს ვწერდით ბატონ მიხეილს დანაპირები ჯერ არ მოეტანა. მაგრამ ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ ინტერვიუ საინტერესოც იქნებოდა და თქვენ წარმოიდგინეთ აქტუალურიც. ალღომ არ გვიმტყუნა.

ქვემოთ ჩაუსწორებლად ვბეჭდავთ ინტერვიუს და ასე გვგონია რომ თქვენ, ბატონო გიორგი, კვლავ აქ, ჩვენთან, ჟურნალის რედაქციაში სტუმრად ბრძანდებით და ჩვეული სიდინჯით, მეგობრულად გვესაუბრებით.

— ბატონო გიორგი, თქვენი ინტერესები დიდი ხანია გასცდა ერთი რომელიმე დარგის საკითხთა სამეცნიერო კვლევას, ამიტომ მსურს ვისარგებლო მდგომარეობით და მოგმართოთ თხოვნით: იქნებ: გაგეხსენებინათ რაიმე ისეთი თქვენი ცხოვრებიდან, რაც კავკასიის მკვიდრ ხალხთა ურთიერთობას შეეხებოდეს?

— საკმაოდ მოულოდნელი კითხვაა. ბატონო მიხეილ, მაგრამ შევეცდები ჩემი მეხსიერების არქივში რაიმე მაინც მოვძებნო, ვინძლო გამოგადგეთ.

პირველი იმპერიალისტური ომის დროს, 1915 წელს, პეტერბურგში შევიკრიბეთ კავკასიელი სტუდენტები — ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები, დაღისტნელები. გვინდოდა შეგვემუშავებინა ერთობლივი მოქმედების გეგმა და თანაც ერთმანეთისთვის გაგვეზიარებინა აზრი რთული პოლიტიკური მოვლენების მიმართ. საკითხი ასე გამოიკვეთა: როგორ უნდა შეხვედროდნენ რუსეთ-თურქეთის ომს ქართველები, აზერბაიჯანელები, სომხები... ქართველებს, აზერბაიჯანელებს და დაღისტნელებს მიგვაჩნდა, რომ უნდა დაგვეცვა ნეიტრალური პოზიცია. სომხები კი ჩარევის მომხრენი იყვნენ.

ისინი მოითხოვდნენ რაზმების ჩამოყალიბებას და თურქების წინააღმდეგ ბრძოლას რუსეთის ჯართან ერთად. ქართველები ვარწმუნებდით სომხებს რომ ამგვარი პოლიტიკა თურქეთის საპასუხო რეაქციას გამოიწვევს სომხების მიმართ, რასაც შესაძლოა სავალალო შედეგები მოჰყვეს, მაგრამ ჩვენი რჩევა რჩევად დარჩა, ხოლო შემდეგ რა მოხდა თქვენ კარგად მოგეხსენებათ: თურქებმა ცნობილ რეპრესიებს მიმართეს, რომლის დროსაც ნახევარ მილიონზე მეტი სომეხი დაიღუპა.

მე სულაც არა მსურს ჩემი ნათქვამი ისე გაიგოთ თითქოს პეტერბურგელი სტუდენტების დონეზე წყდებოდა ასეთი დიდი სახელმწიფოებრივი საკითხები. სულაც არა, მაგრამ როგორც ეტყობა სომეხი სტუდენტები მაშინდელი სომხეთის ოფიციალურ წრეთა აზრს იზიარებდნენ, ხოლო შედეგი სავალალო რომ აღმოჩნდა და ამასთან ერთად გამართლდა ქართველ სტუდენტთა პროგნოზიც, ეს მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ დაამტკიცა.

— ბატონო გიორგი, თავისუფალ საქართველოში თქვენ აგირჩიეს თქვენი მშობლიური ფოთის ქალაქის თავად. ბოლშევიკების მიერ საქართველოს დაპყრობის შემდეგ ეს გარემოება 1924, 1932 თუ 1937 წლებში შეიძლება სავალალო გამხდარიყო თქვენთვის. რას იტყვით ამის თაობაზე?

— სავსებით მართალი ბრძანდებით. რთული დრო იყო. ტერორი მძვინვარებდა. აქეთ-იქით თავები ცვიოდა. ამიტომ ფოთს გავეცალე, გავერიდე, მერეც ერთ ადგილზე დიდხანს არ ვიჯექი ჩერებულვარ და ალბათ ამან გადარჩინა, უფრო კი იღბალმა, ბედმა. ასეა, თუ არა გწყალობს ვერაფერს გააწყობ. მე კი როგორც ხედავთ ბედმა დამინდო თორემ ამგვარ „დანაშაულს“ ვინ მაპატიებდა.

— ხომ არ გაიხსენებთ თქვენი „დანაშაულებრივი“ ცხოვრების რომელიმე ეპიზოდს?

— ეს მოხდა 1923 წელს. სანამ სამეცნიერო ექსპედიციას დავიწყებდით ახალციხიდან აბასთუმანში ავედი ცოლშვილის სანახავად. იმ ღამითვე დამაპატიმრეს და ახალციხის „ჩეკაში“ წამიყვანეს. იქ რამდენიმე დღე გამაჩერეს. საიდანღაც გამუდმებით თარის ხმა ისმოდა და იმან გამაძლებინა. მერე ბორჯომში ჩამომიყვანეს და თბილისისკენ მატარებლით „გამომამგზავრეს“, ხმა დაირხა ამავე მატარებლით ბერია მოდისო. მართლაც ასე ყოფილა. ცოტა ხანში გამომეცხადა და საუბარი ახალ ხელისუფლებაზე ჩამოაგდო. მკითხა თუ რატომ არ ვურიგდებოდი ახალ მთავრობას. მე ცა და ქვეყანა დავიფიცე პოლიტიკას დიდი ხანია ჩამოვცილდი მეთქი. ეტყობა ჩემი ნათქვამი ბერიამ შორს დაიჭირა და თბილისში ჩამოსვლისთანავე მეტეხში მიკრეს თავი, მაგრამ რატომღაც დიდხანს არ გაუჩერებივარ.

— მადლობა ღმერთს, ბატონო გიორგი, გადარჩენილხართ...

— აკი მოგახსენეთ, ცოტა ბედიც უნდა გწყალობდეს კაცს...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაგვიცოცხლდება, აღდგება

როგორ ვუშველოთ დაზიანებულ ეტრატს

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის ფონდებში დაცული უნიკალური ხელნაწერების ნაწილი ეტრატზეა დაწერილი, ამიტომაც **ეტრატის დაზიანების მიზეზების დადგენას, შესწავლას და აღდგენას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.**

დროთა განმავლობაში ეტრატი განიცდის ფიზიკურ-ქიმიურ ცვლილებებს, რის შედეგადაც ის მაგრდება, უხეშდება, იგრიხება, ძველდება და იშლება.

ეტრატის დაზიანება გამოწვეულია სხვადასხვა მიზეზით, უპირველესად თვით ეტრატის დამუშავების თავისებურებებით, მაგრამ ეტრატის დაშლის უმნიშვნელოვანეს მიზეზს წარმოადგენს ტემპერატურულ-ტენიანობის რეჟიმის რღვევა. მაღალი ტენიანობისას ხდება კოლაგენის ჰიდროლიზი, რის შედეგადაც აქტიურდებიან მიკროორგანიზმები — სოკოები, ბაქტერიები. ეტრატზე ჩნდება სხვადასხვა ფერის პიგმენტები, რომელთა ზემოქმედების შედეგად, გარდა იმისა, რომ ეტრატის ფერი იცვლება, ის საბოლოოდ თხელდება, ძველდება და იშლება.

მაღალი ტემპერატურის პირობებში კი ეტრატის ფურცლები მაგრდება, უხეშდება, იგრიხება და მტვრევადი ხდება. ამ უკანასკნელ თვისებებს ის ამჟღავნებს აგრეთვე დაბალი ჰაერის შეფარდებითი ტენის შემთხვევაშიც. დაზიანებული ეტრატის აღდგენის სხვადასხვა მეთოდი არსებობს, ზოგიერთი მათგანი უკვე დიდი ხანია დანერგილია სარესტავრაციო პრაქტიკაში. ჩვენ შევჩერდებით, დაძველებული, დაჩვარული ეტრატის გამაგრებაზე საგანგებოდ დამზადებული ეტრატის წებოთი. **ეს მეთოდი ავსტრიელმა მეცნიერმა ოტო ვეხტერმა შეიმუშავა.**

ეტრატის ნარჩენებს აქუცმაცებენ და ამ მასას ასხამენ წყლის გარკვეულ რაოდენობას. აყოვნებენ დღე-ღამის განმავლობაში, შემდეგ ადუღებენ წყლის აბაზანაზე 24 საათი — 70°, დუღილის პროცესში ხსნარს უნარჩუნებენ თავდაპირველ დონეს. (წყლის პერიოდული დამატებით). დამზადებული ხსნარი იფილტრება, შემდეგ მზადდება ნარევი: წებოს ხსნარი, ეთილის სპირტი და ღვინის ძმარი. ეს ხსნარი იხმარება დაჩვარული ეტრატის გასამაგრებლად „გაფანტვის" მეთოდით.

ამ მეთოდით ჩვენ გავამაგრეთ ხელნაწერთა ინსტიტუტში დაცული ეტრატის ხელნაწერის (A-25) ფურცლები. ეს ხელნაწერი ადრეულ პერიოდში ბაქტერიული ზემოქმედების შედეგად დაზიანებულა, დაძენძილა, დაჩვარულა. **ვეხტერის მეთოდით დამუშავების შემდეგ ხელნაწერის ფურცლები გამაგრდა, დაუბრუნდა ელასტიკურობა და სიმაგრე, სხვაგვარად რომ ვთქვათ აღდგა, გაცოცხლდა.**

ჩვენი აზრით დაზიანებული ეტრატის გასამაგრებელი ეს მეთოდი ეფექტურიც არის და აუცილებელიც.

ლალი ალექსი-მესხიშვილი,
იზოლდა ჯიჟიძე.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის თანამშრომლები.

საქართველოს ეროვ. ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წერილი „ვრემიას“

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის კოლექტივმა დეპეშა გაუგზავნა ცენტრალურ ტელევიზიის პროგრამა „ვრემიას“.

„ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი პროტესტს გამოთქვამს პროგრამა „ვრემიას“ მიერ პირველ მაისს გადმოცემული მორიგი ცრუ ინფორმაციის წინააღმდეგ. რომლის თანახმადაც, 29 აპრილს საქართველოში მომხდარი მიწისძვრის შედეგად, თითქოს, განადგურებულიყოს ოსური ისტორიული ძეგლები, რადგანაც შიდა ქართლის ისტორიულ ტერიტორიაზე, ყოფილ სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში არის მხოლოდ და მხოლოდ ძველი ქართული კულტურის ძეგლები, რაც კიდევ ერთი უეჭველი საბუთია იმისა, რომ ეს მხარე საქართველოს განუყოფელი ნაწილია.

ორივე ხალხისათვის ესოდენ მძიმე ვითარებაში თქვენი ინფორმაციის არაკომპეტენტურობა და ცინიზმი კიდევ უფრო აღვივებს პროვოცირებულ ეროვნებათშორის კონფლიქტს და ხელს უშლის ჭეშმარიტებისა და მშვიდობის დამკვიდრებას“.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯ. ლოცვილი

ქართული სუფრა

ეროვნული სამზარეულო და კვების ხალხური სისტემის საიდუმლოებანი

„ადამიანის მეურნეობრივი შემოქმედების ამ დარგშიც, კულტურის განვითარების როგორც მიმდინარეობა, ასევე მისი დონეც სჩანს და ბუნებრივი სიმდიდრის გონივრულად გამოყენების ხალხური უნარიც“.

ივანე ჯავახიშვილი

ქართველი ხალხის ეროვნულ-კულტურულ მიღწევებზე როცა ვსაუბრობთ, მშობლიური ენის, ლიტერატურის, ჭორეოგრაფიის, მრავალხმიანი საგუნდო სიმღერის, ხუროთმოძღვრული ტაძრებისა თუ სხვა მატერიალური და სულიერი კულტურის ძეგლთა გვერდით ტრადიციული სამზარეულოც უნდა დავასახელოთ, როგორც განუმეორებელი ფენომენი, წინაპართა რუდუნებით შექმნილი, დაუღალავი შრომისა და ნათელი გონების მოღვაწეობის შედეგი, განძი რომლის მიმართ მომეტებული ინტერესი განსაკუთრებით საგრძნობია დღეს, როცა მთელს მსოფლიოში შეინიშნება ერთგვარი ბუმი, ძველი ხალხური კულინარული ხელოვნებისა და სუფრის ტრადიციების აღორძინებისადმი.

საკითხით დაინტერესებულნი არიან როგორც კვების სპეციალისტები (კულინარები, ტექნოლოგები) ასევე ჯანმრთელობის დაცვის მუშაკები (დიეტოლოგები, ბიოლოგები, გერონტოლოგები) და კვების კულტურის ისტორიის მკვლევარნი, ეთნოგრაფები, ფოლკლორისტები, კულტუროლოგები. სხვა დანარჩენებისაგან განსხვავებით ეთნოგრაფების ამოცანაა გაარკვიონ არა მხოლოდ ის თუ რას ჭამდნენ ჩვენი წინაპრები ძველად, ან როგორ ჭამდნენ, არამედ ის თუ რა როლს ასრულებდა ესა თუ ის საკვები ადამიანთა ურთიერთობაში, გარკვეულ კონკრეტულ სიტუაციაში, შრომაში, ჭირსა და ლხინში, რაც მთლიანობაში ქმნის კვების ხალხური სისტემის ისეთ მოდელს, რომლის წახნაგებიც უშუალოდ არის დაკავშირებული ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ ისტორიასთან, ეკოლოგიურ გარემოსთან, სამეურნეო-კულტურულ ტრადიციებთან, ხალხურ რელიგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ შეხედულებებთან.[1]

პრობლემის რეტროსპექტულ-ისტორიულ ჭრილში განხილვამ გვიჩვენა, რომ, ჩვენმა ეროვნულმა სამზარეულომ ფერშეუცვლელი მარგალიტებივით შემოგვინახა საუკუნეებიის მანძილზე გამომუშავებული ცოდნა, საკვების შერჩევის, მისი მოპოვება-დამუშავების, დამზადებისა და ათვისების რაციონალური წესებისა, რომელთა გაფრთხილება და თაობიდან თაობისათვის გადაცემა ყოველი ჩვენთაგანის მამულიშვილური ვალია. ამ წესების გამოვლინებას მისი მემკვიდრეობითი ფაქტორების წინ წამოწევას, ტრადიციული სამზარეულო ხელოვნების ტექნოლოგიურ თავისებურებათა აღწერილობას, მათ სათანადო ფიქსაციასა და მეცნიერულ შეფასებას, უაღრესად დიდი შემეცნებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს, რამეთუ

საკვებ-წარმოების ხალხურ საიდუმლოებათა ლაბირინთებში არა ერთი ისეთი მნიშვნელოვანი თანადროულობის თვალსაზრისით გამართლებული საშუალება მოიძებნება, ადამიანის ჯანმრთელობისა და სამეურნეო ყოფის საჭირბოროტო პრობლემის გადაწყვეტას რომ მოემსახურება[2].

ქართული ხალხური სამზარეულოსადმი ინტერესი ყოველთვის დიდი იყო. ჩვენი სუფრის სილამაზეზე, მის რომანტიკულ ელფერზე, გემრიელ კერძებსა და ღვთიური სასმელების (ღვინოების) მრავალფეროვნებაზე, თანამესუფრეთა ქცევასა და მაღალ ზნეობრივ იდეალებზე, მჭერმეტყველებით გამორჩეულ თამადობის ინსტიტუტზე, ძველთაგანვე ბევრს წერდნენ. ამ საკითხებზე საკუთრივ ქართული წყაროების გარდა საინტერესო ცნობები მოეპოვებათ ბერძენ ისტორიკოსებს, ევროპელ მისიონერებსა და მოგზაურებს, ბევრი მათგანი აღფრთოვანებასა და გაოცებასაც კი ვერ ფარავდა ნანახისა და განცდილის მიმართ, მაგრამ ბუნებრივია ყველა უცხოელს სწორად როდი ესმოდა ჩვენი სუფრის საიდუმლოებანი და ზოგიერთი თავის აზრს ერთის შეხედვით მიღებული, ზედაპირული შთაბეჭდილებით ქმნიდა. მაგალითისათვის ავიღოთ თუნდაც არქანჯელო ლამბერტი, რომელმაც დასავლეთ საქართველოში XIX საუკუნის მიწურულში იმოგზაურა. იგი მეგრელების შესახებ წერდა, რომ ეს „ჭაობის ხალხი“ მთელი წლის განმავლობაში არაფერს აკეთებს, შიმშილობს და მხოლოდ დღესასწაულის დროს იკვებებაო ჭარბად, ისინი „ყოველთვის იმაზე ფიქრობენ თუ დღეს როგორ დავიკმაყოფილოთ კუჭი, მომავალში კი ის იქნება რასაც ბედი მოგვიტანსო, ამიტომაც ხშირად ხდება ისე, რომ საჭმელი შემოაკლდებათ და ძალაუნებურად სასტიკი მარხვა უნდა შეინახონო“.[3]

ჩვენის აზრით იტალიელი მოგზაური მთლად მართებული არ უნდა იყოს: როგორ შეიძლებოდა კოლხეთის დაბლობზე მცხოვრებ, ღომის ბალღ შრომატევადი კულტურის მქონე მეგრელებს, მათ ვისაც ჭარბ ნესტიანი კლიმატური პირობების გამო უმძიმესი შრომა და ჯაფა უწევდათ, ხოლო დახარჯული ენერგიის აღსადგენად მაღალკალორიული კვება ესაჭიროებოდათ მთელი წელი არაფერზე ეზრუნათ და ეშიმშილათ? რაც შეეხება მარხვას, ისიც ხომ რამდენადაც ცნობილია სულ სხვა, პრაქტიკული და რელიგიური მიზეზებით იყო გამოწვეული და არა შიმშილობით, რაზეც ჩვენ ქვემოთაც გვექნება საუბარი.

ეტყობა საპატიო სტუმარმა კარგად ვერ გაიგო ქართველთა კვების კულტურისა და ტრადიციული სუფრის თავისებურებანი, სწორად ვერ ახსნა დღესასწაულის არსი და ბუნება და ვერ ჩასწვდა ჩვენი ხალხის დუხჭირი ცხოვრების პირობებს. ჩვენ რა თქმა უნდა არ გამოვრიცხავთ იმ გარემოებას, რომ საქართველოში კვების კულტურა ყოველთვის მაღალ დამაკმაყოფილებელ დონეზე როდი იდგა და ამ მხრივ თითქოსდა გარკვეული ხარვეზები არ არსებობდა, მაგრამ ქართველები რომ წარსულში შედარებით თავშეკავებულები, ჭირსა და ლხინში ზომიერები იყვნენ ამას არაერთი თვალთმხილველი მეისტორიე ადასტურებს. ეტყობა ეს ზომიერება ეროვნულ ხასიათში იყო გადაზრდილი და რაინდული სულის გამოხატულებას წარმოადგენდა. უნებურად გახსენდება სულმნათი შოთას სიტყვები „ჭამა სმა დიდად შესარგი დება რა სავარგულია, რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ხომ არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ავტორი ამ სიტყვებში ადამიანის ჰუმანური კეთილშობილების მაღალ ზნეობრივ პრინციპებთან ერთად, ჩვეულებრივ ქართული სუფრისა და სერობის საიდუმლოებასაც გვამცნობს, რომ „მა-

რტო კაცი ჭამაშიაც ცოდოა", ლუკმა მოყვასთან ერთად უნდა გაინაწილო და სიკეთე სიკეთით მოიხმარო, გადაჭარბებული მომჭირნეობისა და რეგლამენტირებული პურობის ნაცვლად, რაც ესოდენ დამახასიათებელი იყო ევროპელთათვის.

რუსთაველის ეპოქის. ქართველ რაინდებს, ფიზიკურად სრულქმნილ, ათლეტური აღნაგობის მქონე ვაჟკაცებს, დღენიადაგ ბრძოლასა და შრომაში რომ იყვნენ ჩაბმულნი, რაციონალურად გააზრებული კვების სისტემა გააჩნდათ, რაც ხელს უწყობდა კიდეც მათ შეენარჩუნებიათ ძალა და ღონე, აზრი და გონება.

სწორ, რაციონალურ კვებას, რომ არა მხოლოდ ფიზიკური საარსებო, არამედ სამომავლო სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ეს კარგად უწყოდა ქართველმა გლეხმა. იგი წელებზე ფეხებს იდგამდა და დღენიადაგ იმის ცდაში იყო, რომ ჭირნახულით აევსო ბეღელი, მთელი წელი პურ-ღვინო არ მოკლებოდა და მტერსა და მოყვარეს საკადრისად დახვედროდა. სამეურნეო პირობებისა და შრომითი საქმიანობის შესაბამისად იგი გონივრულად ითვალისწინებდა საკვების შერჩევის სეზონურობას და შრომითი დატვირთვის ხასიათისა, ეკოლოგიური გარემოს თავისებურებებისა და ამა თუ იმ საკვების კვებითი ღირებულებების მიხედვით ბუნებრივად ახდენდა ორგანიზმისათვის საჭირო ცილების, ცხიმების, ნახშირწყლებისა და ვიტამინების ბალანსირებას, სწორად განსაზღვრავდა იმას თუ ვისთვის სად, როდის, რა ვითარებაში როგორი საკვები ესაჭიროებოდა.[4] **მაგალითად მთაში მწყემსები ძირითადად გუდის ყველით, ერბოში ასრესილი ფქვილით — ქუმელითა და ხმიადით იკვებებოდნენ. მეომარი და შინიდან დიდი ხნით გასული კახელი კაცი თან ყუათიან საგზალს, ჩურჩხელასა და ტკბილ კვერს იგულებდა, ქართლში სტუმრისათვის სახელდახელო კერძს „თათარიახნს" მოამზადებდნენ და ხვა, რაც დღეს თითქმის დავიწყების გზაზე მდგარი ტრადიციაა.**[5] წარსულში კი ჩვენი ხალხი მდიდარმა ემპირიულმა გამოცდილებამ წელიწადის დროთა შესატყვის სეზონურ კვებასა და საკვების მაქსიმალური (უნარჩენო) ათვისების მაღალ კულტურამდე მიიყვანა. ამის დასტურია თუნდაც პურისადმი დამოკიდებულება. **პურს ქართლსა და კახეთში, იქ სადაც ის ყველაზე უხვად მოდიოდა, დიდის მომჭირნეობით ხარჯავდნენ. მას კვირაში ერთხელ აცხობდნენ და ლასტებზე გაშლილსა თუ კიდობანში ჩაწყობილს ისე კარგად ინახავდნენ, რომ რამდენიმე დღე (ყოველ შემთხვევაში გამოცხობიდან გამოცხობამდე) არ უფუჭდებოდათ; და თუ მაინც პური დაუძველდებოდათ — გაუხმებოდათ, მისგან გემრიელ კერძს, პურის ხარჩოს მოამზადებდნენ.**[6] **სუფრიდან აკრებილ ნამცეცებს კი არავითარ შემთხვევაში არ გადაყრიდნენ და ფრინველს გამოკვებავდნენ. იცოდნენ პურის, როგორც ძირითადი საკვების ფასი და მას წმინდა საგნად მიიჩნევდნენ, ხორბლის გარკვეულ ნაწილს სალოცავში (ბაღში) შესაწირად, საზედაშედ შეინახავდნენ, თონიდან პირველამოხდილ გამომცხვარ პურს კი შინ შეიტანდნენ და სახლთანგელოზის კუთხეში დადებდნენ, ოჯახის სიმრავლის, ბედნიერებისა და სიუხვე-ბარაქიანობის დასაბედებლად.**

რაც შეეხება სეზონურობას, უნდა ითქვას, რომ საქართველო ამ მხრივ განსაკუთრებით გამორჩეული ქვეყანაა. მკვეთრი კონტინენტური ჰავის გამო აქ მკაცრად იყო გამიჯნული წელიწადის დროთა მიხედვით სეზონური კვება და მას თითქმის ყველგან ტრადიციულად იცავდნენ. მაგალითად ზაფხულში არ ჭამდნენ ღორის ხორცს და ცხოველური ცხიმების მიღებას ერიდებოდნენ. ცხიმიან საკვებს უფრო

ზამთარში ეტანებოდნენ, ხოლო გაზაფხულიდან დაწყებული ეკოლოგიური წონასწორობის შენარჩუნების, ბუნებათსარგებლობის წესების დაცვისა და სამეურნეო სისტემის სწორი, თანმიმდევრული რეგულირების მიზნით, მცენარეული საკვების ფართო მოხმარებაზე გადადიოდნენ. ყოველივე ეს აღნიშნული პრაქტიკული მოსაზრებების გარდა გარკვეული რელიგიური ფაქტორებითაც იყო შემაგრებული, რამაც თავისი ასახვა მარხვის რაციონალური რეჟიმის ჩამოყალიბებაში ჰპოვა.

მარხვა მთელი წლის მანძილზე რამოდენიმე ეტაპს მოიცავდა და თავისი შინაარსით (დატვირთვის მიხედვით) მძიმე და მსუბუქ მარხვებად იყოფოდა. კვების მხრივ იგი ორგანიზმს ძირითადად ცხოველური ცხიმების დაგროვებისაგან იცავდა და მცენარეული საკვების ზომიერი მონაცვლეობით ნივთიერებათა ცვლის პროცესს არეგულირებდა.[8] ამასთან მარხვაში იმის გამო, რომ საკვები მხოლოდ მცენარეულ ცხიმზე (ზეთზე) უნდა მომზადებულიყო, **ფართოდ იყენებდნენ საზეთე კულტურებს, სელს, წიფელს, ნიგოზს, ქაცვს, ცვილს და სხვა მრავალს,** რომელთა უმეტესობას დღეს სხვადასხვა გარემოებათა გამო ნაკლებად ვხვდებით, ზოგიერთი კი თითქმის მივიწყებულია. ჩვენ დღეს არ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართველები ტრადიციით ოდითგანვე ვეგეტარიანები არიან, მაგრამ წარსულში რომ ამ მხრივ შედარებით მეტი თანმიმდევრულობა არსებობდა ეს უეჭველია. ეთნოგრაფიულ სინამდვილეში ახლაც არის დაცული რჩენილი მცენარეული შეჭამადების მთელი რიგი, რომელთა უმეტესი ნაწილი სამარხო ციკლში შედიოდა. ეს **უმთავრესად არის თხლისა და ძმრის, ლობიოს, ცერცვის, მუხუდოს, ტყლაპის, შინდის კერკის, ღოლოს, სვინტრის, მახოხის და სხვა სახის შეჭამადები.** ისინი დიდი რაოდენობით შეიცავდნენ ნახშირწყლებს, ცილებსა და ვიტამინებს. ცილებით განსაკუთრებით მდიდარი იყო პარკოსანი კულტურები, **სოიო, უგრეხელი, ხანჭკოლა და სხვა.** რომლებიც ახლა ჩვენში მკვდარ კულტურებად ითვლებიან.[9]

რაც შეეხება ცხოველურ საკვებს, ხორცისა და რძის პროდუქტებს, მათი გამოყენებაც ჩვეულებრივ წმინდა სამეურნეო ინტერესებთან იყო შეხამებული. **ამ ინტერესების მიხედვით საქონლის დაკვლა ძალზე შეზღუდული იყო (მას მხოლოდ დღესასწაულებზე, სახატო დღეობებზე ან სხვა განსაკუთრებულ შემთხვევაში თუ კლავდნენ) და წველადობის ციკლს (რამეთუ საქართველოში მესაქონლეობა წველადი მეურნეობის უპირატესობით არის განვითარებული) შობადობის შენარჩუნებისა და ნამატის გამოკვების მიზნით განსაზღვრავდნენ.** ყოველივე ამას კი

(გაგრძელება 28-ე გვ.).

● **საინტერესოა რომ 1959 წლის 15 ივლისს, ესე იგი იმ დღეს როცა მზის ზედაპირზე მეცნიერებმა შენიშნეს ძლიერი აფეთქება — დედამიწაზე ყველაზე მეტი მიწისძვრა მოხდა.**

● **1755 წელი ისტორიაში შევიდა როგორც ლისაბონის კატასტროფა: მიწისძვრის ეპიცენტრი იყო ატლანტის ოკიანის ფსკერზე პორტუგალიის დედაქალაქიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში. უზარმაზარმა ოცდაათმეტრიანმა ტალღამ რომელიც დაეცა ქალაქს წამებში გაიტაცა სამოცი ათასი კაცი, ასობით შენობა დაინგრა.**

SOS

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახიფათოა წყალთან თამაში

თბილისის ძველი უბნების აღდგენა-განახლებისთვის ბევრი რამ გაკეთდა, ჩაივლი — დარწმუნდები, მაგრამ თვალში გეცემა, როგორა ვთქვა, ჟამთა სვლის კვალი თუ სხვა რაღაც სიმუხთლე: რესტავრაცია თითქოს გუშინ გაუკეთებიათო, საღებავიც კი „ცოცხლად" გვიცქერის, მაგრამ აქა-იქ კედელი უკვე დაიბზარა, გასკდა, მხარი ექცა და მკაფიოდ ხედავ — წყალში ჩაყრილა ამდენი გარჯა-შენება, თუ გნებავთ სიყვარული და ცხადია დიდი თანხაც, რაც ამ ჩვენს გაძვალტყავებულ დროში ბრალია რომ ასე ჰაი-ჰარად ქარს მივცეთ, გავანიავოთ.

კაცმა რომ თქვას, ეს საკითხი ახალი არ არის, მაგრამ რაკი არათუ ცალკეული შენობები, არამედ ლამის მთელი უბნები შავ დღეში ჩაცვენილა ჩვენც ზარის შემოკვრას თავს არ დავანებებთ, იქნებ გამგებმა გაიგოს, წყალობის თვალით გადმოგვხედოს და შველა ქნას საშველისა, თორემ ამდენი ხნის შენახულ-ნაპატრონევი ვინძლო ჩვენივე თვალწინ წახდეს, დაემხოს და მაშინ რა პირითღა შევხედოთ შთამომავლობას?!

ამის გამო ვეწვიეთ ბატონ ირაკლი ციციშვილს, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების თავმჯდომარეს და ინტერვიუ ვთხოვეთ.

— ბატონო ირაკლი, როგორ გუნებაზე ბრძანდებით?

— საავდროდ მოიღრუბლა „ჩვენი ქვეყნის ზეცა", მაგრამ იმედი მაქვს, რომ ღვთის მადლით ყველაფერი მილაგ-მოლაგდება, მომავალი მაინც ჩვენია!

— ღმერთმა გისმინოთ, თქვენი საზოგადოება ბევრს აკეთებს საქართველოში ისტორიისა და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის აღდგენის საქმეში, მაგრამ დღევანდელი ჩვენი სტუმრობის მიზანი ლოკალური გახლავთ — დედაქალაქის ძველი უბნების მდგომარეობა. თუ შეიძლება, ზოგადად, ორიოდე სიტყვით ამის შესახებ.

— ძველი უბნები რა დღეშია ალბათ ნახავდით. სარდაფში წყალი ჟონავს, კედელს ნესტი სჭამს, ნაგებობა ჯდება... შავთელზე სახლი გახსოვთ, ოცდამეორე ნომერი, ლამაზი, მშვენიერი, განა დიდი ხანია, რაც რესტავრაცია გავუკეთეთ და აბა გაიარეთ, დღეს უკვე ნაპარტახალსა ჰგავს, შვიდი თუ რვა ოჯახი გამოვასახლეთ, სახლს აღარაფერი ეშველება, განწირულია, უნდა დაინგრეს... სიონის ტაძრის რესტავრაციისას საძირკვლებში წყალი აღმოვაჩინეთ, ბევრი ვიმუშავეთ, წყალი მოვაშორეთ, მაგრამ ეხლა იმ წყალმა ქარვასლისაკენ ქნა პირი... რუსთაველის თეატრის შენობის კედლები დასკდა, შენობა ჯდება, საჯარო ბიბლიოთეკაც ამ დღეშია.

— კი მაგრამ წინათ სად იყო ეს წყალი?

— მთელი ეს უბედურება მეოცე საუკუნის, ასე ვთქვათ სოციალისტური ხანის შედეგია. მეცხრამეტე საუკუნეში ყველაფერი რიგზე იყო. მთაწმინდიდან მოგეხსენებათ, მტკვრის სანაპიროსკენ წიაღის ანუ ყამირის წყლები ჩაედინება. წინათ სანიაღვრეებს, მიწისქვე-

შა კომუნიკაციებს უვლიდნენ პატრონობდნენ, ამჟამად ეს კომუნიკაციები დაზიანდა, თიხით, მიწით, შლამით ამოივსო, მაგრამ ყველაზე დიდი ზიანი ძველ უბნებს ახალმა სანაპირომ მიაყენა. წინათ, ზემოდან წამოსული წყალი თავქვეზე არ ჩერდებოდა და პირდაპირ მტკვარში არხეინად ეშვებოდა, მას მერე რაც ღია ნაპირი ბეტონის არტახებში ჩასვეს, წყალმა გასავლელი ვერ იპოვა, ადგილზე დატრიალდა, „ფიალა აევსო“ და ზემოთ ამოჟონა. ახალი სანაპირო ქუჩის აშენება-გაყვანას ოდესღაც ზარზეიმით შეხვდა რესპუბლიკა, გაზეთი აჭრელდა, ლექსი და სიმღერა შეითხზა, მრავალი მიტინგი და ტაში მიეძღვნა ამ „ეპოქალურ, ისტორიულ, საშვილიშვილო“ მოვლენას, მაგრამ ბუნებამ კი, როგორც ხედავთ არ გვაპატია ხელაღებით „სხვის საქმეში“ ჩარევა და შურიც მწარედ იძია. ჩვენ კი ტაშს ვუკრავდით ახალი სანაპირო ქუჩის აშენებას და თურმე, ნუ იტყვით და, ძველი უბნის დაშლა-დანგრევასაც ვესალმებოდით!

ამბობენ სახიფათოა ცეცხლთან თამაში, უნდა მოგახსენოთ, რომ არანაკლებ სახიფათოა წყალთან თამაში... თუ არა და გავიდეთ, ვნახოთ...

— ესე იგი მთავარი „დამნაშავე“ სანაპირო ყოფილა?

— ასეა!

— ერთადერთი?

— არა. სხვა „დამნაშავეც“ არის, სანიაღვრეთა დღევანდელი მდგომარეობა. ლეონიძის ქუჩის ქვეშ სანიაღვრეში კარგი ბრგე ვაჟკაცი რომ გაიმართებოდა დღეს ამოქოლილია, გაუქმებული. რუსთაველზეც იყო — ზოგი ჩაინგრა, ქვაღორღით ამოივსო, ზოგი თიხამ გაჭედა.

— რუსთაველის თეატრი ახსენეთ წეღან, ჯდებაო.

— ასეა. მაგრამ ამის თაობაზე სჯობს არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილს მიაკითხოთ. ბატონი ოთარი ხელმძღვანელობს ამ სამუშაოებს და თეატრის სარდაფებს ის უფრო კარგად დაგათვალიერებინებთ.

— ბატონო ირაკლი, თქვენ დიდი ხანია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებას ხელმძღვანელობთ და ვის რას ემართლებით?

— მიწისქვეშა კომუნიკაციების მოვლა-პატრონობა ქალაქის ხელმძღვანელობის საქმეა.

— ალბათ შეხსენებაა საჭირო.

— არაერთხელ შეგვიხსენებია. კვლევისა და შესწავლის შედეგად 1982 წელს მივმართეთ ოფიციალური განცხადებით ქალაქკომს. ქალაქკომმა იმსჯელა და საკითხის მოგვარება ქალაქის საბჭოს დაავალა. ქალაქის საბჭომ შექმნა კომისია და თავმჯდომარედ დანიშნა ბატონი გიორგი ჩუბინიშვილი. კომისიამ დაახლოებით ათჯერ იმსჯელა და ამდენჯერვე... კრება დარჩა მხიარული.

— ბატონო ირაკლი, თქვენ ომის მონაწილე ბრძანდებით, თქვენი ბიოგრაფიის ეს ფურცლები ყველასათვის კარგად არის ცნობილი, როცა კომისიამ ქალაქის საბჭოში ათჯერ იმსჯელა და ათჯერვე უშედეგოდ, „რისხვა“ რატომ ვერ დაატეხეთ?

— მტერთან ბრძოლა უფრო ადვილია. იცი ვისაც უნდა ესროლო. აქ უფრო მრავალი ზღუდეა დასაძლევი, თან უხილავი, ხშირად მტერზე ვერაგი...

— შეგშინებიათ ოდესმე „დიდი კაცის“ კაბინეტში შესვლისას?

— არასოდეს...

— თავი რომ მოგაბეზროთ უხეშად თუ მომექცევით?

— არა.

— ადვილად ბრაზდებით?

— არა. რაღადროს ჩემი გაბრაზებაა...

— თქვენ, ცხოვრებაგამოვლილს მრავალნაირი ხალხი შეგხვედრიათ, ალბათ მოღალატეც; გულში შურისძიება თუ გაგივლიათ?

— არა.

— რაზე გწყდებათ ყველაზე მეტად გული?

— გული მწყდება რომ ხანი გავიდა, წლები დაიკარგა და ასე ცუდად არის გაშენებული საქართველო.

— თბილისს ერთი ულამაზესი ხიდი ამშვენებდა, მუხრანის ხიდი. რატომ ვერ გადაარჩინეთ, თუ არც გიცდიათ?

— სამწუხაროდ მაშინ მე ამ საქმეს დაშორებელი ვიყავი, თორემ ასეთ ძეგლის შენარჩუნებაზე ალბათ ვიბრძოლებდი.

— ბევრი ქალაქელი მისტირის ვერის ბაზარს, ხომ არ გიფიქრიათ მისი აღდგენა?

— არა.

— როგორ გგონიათ ქალაქის თავი მამა-პაპით ქალაქელი უნდა იყოს თუ არა, ან იქნებ ამას მნიშვნელობა არ აქვს?

— ალბათ უკეთესია რომ ქალაქელი იყოს.

— წელან ბრძანეთ: ძველი ქალაქის ნგრევას გრუნტის, წიაღის წყლები იწვევსო, ხოლო ეს უკანასკნელი შედეგია იმისა, რომ სანაპირო ჯებირებში ჩასვეს...

— დიახ, ასეა. და ამას აუცილებლად სასწრაფოდ უნდა შველა, ხვალ გვიან იქნება, ვიმეორებ ხვალ გვიან იქნება, რადგან ეს ერთი ან ორი დღის სამუშაო არვის ეგონოს. როცა ჩვენი საზოგადოების ადმინისტრაციული შენობის რესტავრაცია დავიწყეთ საძირკველში არა თუ გრუნტის წყლები არამედ გათბობის ანუ ცხელი წყალიც აღმოვაჩინეთ, ხომ არაჩვეულებრივი ყაირათიანობაა, თანაც ეს ცხელი წყალი, ყველამ იცის, ათგზის სწრაფად სპობს ყველაფერს.

ქუჩებს უნდა გაუკეთდეს დრენაჟი, განახლდეს, გაიწმინდოს და მწყობრში ჩადგეს სანიაღვრეები, თორემ დრო გადის და მერე თავში ცემა აღარ გვიშველის. მოგეხსენებათ ყველა სამუშაო ქაღალდზე არსებული გეგმიდან იწყება. ჰოდა, მივადექით კიდევ ერთ სავალალო მდგომარეობას, რასაც არ ექვემდებარა დავარქვა დანაშაული თუ გულგრილობა. თუ შეგიძლიათ წარმოიდგინოთ, რომ დღეს თურმე თბილისის მიწისქვეშა კომუნიკაციების ერთიანი გეგმა არ არსებობს. არის კია სადმე მსოფლიოში ისეთი ქალაქი, რომელსაც მსგავსი გეგმა არ მოეძებნებოდეს?!

მახსოვს, კარგა ხნის წინათ, ქალაქის საბჭოში ერთი ტანმორჩილი, მხცოვანი კაცი მუშაობდა და მის გამგებლობაში გახლდათ ნახსენები გეგმები. უიმისოდ ქალაქში წერაქვს ვერავინ დაჰკრავდა და თუ კი დაჰკრავდა ის ადგილი ამ კაცს გეგმაში უნდა შეეტანა. ჰოდა, ის ტანმორჩილი კაცი, ჩემი აზრით, „დიდი კაცი“ გახლდათ! ამგვარი „ჩინოვნიკები“ დღეს რომ არ გვაკლდეს მიწისქვეშა კომუნიკაციებს ერთ დღეში „წავიკითხავდით“ და საქმეს წინ წავიგდებდით. ეხლა ახალი სატკივარი აგვტკივდა,

— მიწისქვეშა სამუშაოები, როგორც ვიცით, გაცილებით მეტ ხარჯს მოითხოვს...

— მართალი ბრძანდებით. მაგრამ ისიც ხომ გაგიგონიათ ძუნწი კაცი ფულს ორჯერ იხდისო. მთელი სიცოცხლე ჭაპანის წევას გვიჯობს ჯიბე ერთხელ კარგად მოვიფხიკოთ და თავის დაარხეინებას კი მოვესწრებით...

— დაახლოებით რა დაგიჯდებათ ეს სამუშაოები?

— ალბათ ათი მილიონი...

— ძვირი არ არის?

—პირიქით, იაფია. აბა წარმოიდგინეთ ნაწილ-ნაწილ, ცალ-ცალკე შენობების აღდგენა რა გვიჯდება. თანაც ერთ რიგს რომ მოვამთავრებთ და გვგონია ეგ არის, ამოვისუნთქეთ, ამასობაში ის რიგი თავიდან კვლავ აღდგენას მოითხოვს. ისე რომ, უყაირათობა სწორედ ის არის რაზეც ზემოთ მოგახსენებდით. მაგალითი თუ გნებავთ, ინებეთ: ბარათაშვილის ქუჩაზე დიდ ხანი არ არის რაც მთელს რიგს რესტავრაცია გავუკეთეთ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დღეს ეს სახლები ისევ წყალში დგას. ფულის წყალში გადაყრაც ეგ არის.

— მარტო ხომ არ ბრძანდებით, გყავთ თუ არა „თანამებრძოლნი“?

— ძეგლთა დაცვის საზოგადოება თავის საქმიანობაში მარტო რომ იყოს დაღუპული იქნებოდა ჩვენი საქმე, გვერდში გვიდგანან არქიტექტორები, მხატვრები და... დღევანდელი საერთო სულისკვეთება, ხალხი კულტურის ძეგლთა მიმართ უანგაროდ იჩენს ყურადღებას, უვლის, იცავს. ამასთან დაკავშირებით ერთ ბოლოდროინდელ ამბავსაც მოგახსენებთ. გახშირდა ასე ვთქვათ, „პირადი ინიციატივა“: კედელს ამოაშენებენ, ნიშს შეაკეთებენ, ზღუდარს დაუდებენ... მიმიხვდით რას ვამბობ? ყველაფერი ეს კეთდება კეთილი გულით, პატრიოტული ზრახვით და ერთგულების სურვილით, მაგრამ აქაც ზომიერებაა საჭირო, რადგან, ასე ვთქვათ, უცოდინარი ჩარევაც საფრთხილოა თორემ სამწუხაროდ ძეგლს ისიც აზიანებს. თუმცა ამ „კაიკაცობაზე“ სამდურავისთვის ენა როგორ მომიბრუნდება?

— კომუნიკაციების გეგმა არ არსებობსო, წელან ბრძანეთ, რა ეშველება?

— გეგმა აღსადგენია. უეჭველად, ყოველ მიზეზ გარეშე, რადაც უნდა დაგვიჯდეს...

— ალბათ ესეც ხარჯია.

— რა თქმა უნდა, მაგრამ დამერწმუნეთ სხვა გზა არ არის...

— ქალაქის საბჭოში ამ მხრივ რამე თუ კეთდება?

— არა მგონია.

— იციან კი „უგეგმობის“ შესახებ?

— იციან.

— მაშ ამას რა დავარქვათ?

— ალბათ საქმეს ვერ აუდიან, თუმცა ჩემი აზრით, დღეს ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა სწორედ ეს გახლავთ.

— როგორ გგონიათ, ქალაქის პრეფექტის თანამდებობაზე სპეციალისტი სჯობს თუ ჰუმანიტარი, რომელიც გლობალურად აღიქვამს პრობლემებს, დარგობრივი სპეციალისტები კი მოადგილეებად ეყოლება?

— პიროვნებას გააჩნია.

— ბოდიშს მოვიხდი, მაგრამ ახალგაზრდა კაცი აღარ ბრძანდებით, ბევრის მნახველი, ნაომარი. ბედნიერი ხართ?

— როცა სამშობლოს უჭირს ბედნიერება რას მიქვია.

— აგაშენათ ღმერთმა!

საუბარი ჩაწერა
გურამ ციხისთავმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სად არის ამდენი?

რუსთაველის თეატრის შენობის აღდგენით სამუშაოთა ხელმძღვანელს, არქიტექტორ ოთარ ნახუცრიშვილს ტელეფონით შევეხმიანეთ. შეხვედრის ადგილი დავთქვით — თეატრის წინ — მაგრამ მისვლა ნაადრევად მომივიდა და დროის მოსაკლავად საქართველოს უმთავრეს გამზირზე გავისეირნე.

ადრეც შემიმჩნევია და ეხლა, მოცლილობისას თვალში უფრო მეცა. ქუჩის გული ანუ მანქანის სავალი ნაწილი მრავალგზის შეკეთება-აღდგენის შედეგად შესამჩნევად ამაღლებულა, თითქოს კუზი დაუდგამსო. ტროტუარიც აუმაღლებიათ, თუმცა უფრო ნაკლებად, მაგრამ ადრეული პროპორციების დასარღვევად ესეც საკმარისია. სადარბაზოები ქუჩის პირის ქვემოთ მოექცნენ, შენობებს ფუძე აღარ უჩანთ, ქვედა სართულები „დამოკლდნენ" და მთლიანად ნაგებობანი. ასე ვთქვათ, ხეიბრის შთაბეჭდილებას სტოვებენ. ერთი სიტყვით, სახე იცვალა დედაქალაქისა და საერთოდ სრულიად საქართველოს უპირველეს-უმთავრესმა გამზირმა. მერედა გვაქვს კია მეორე ასეთი ქუჩა, ამგვარი გამზირი? ეტყობა ქალაქის ხელმძღვანელობას წარსულში გამზირის ფერისცვალება არ აღელვებდა, ან შესაძლოა უსახსრობაც იყო ამის მიზეზი — ასფალტს შეკეთების მაგივრად ზემოდან ახალ ფენას გადაასხამდნენ და ასე, არხეინად გადიოდნენ. ჰოდა წამოიკუზა ქუჩა და ჩაცუცქდნენ შენობები...

...ბატონმა ოთარ ნახუცრიშვილმა, შეხვედრის მიზანი ადრევე იცოდა.

— რუსთაველის თეატრის შენობა — თქვა მან — **კარგა ხანია რესტავრაციას, უფრო სწორედ კი შველას ითხოვდა. სარდაფებიდან წყალმა ამოჟონა. ნესტმა „შეუტია" კედლებს, საღებავს, ფრესკული ნამუშევრები წაახდინა, ფერი უცვალა, ჩამოშალა. წინათ ბესიკისა და ლაღიძის ქუჩების ბოლოს სანიაღვრეები იყო და ისინი იღებდნენ ბუნებრივ წყლებს, ისინი იცავდნენ შენობებს და მათს რიცხვში რუსთაველის თეატრსაც. ეხლა ეს სანიაღვრეები მოსპეს, აღარ არსებობენ და სავალალო შედეგიც უკვე მოგახსენეთ.**

გარდა ამისა ტროტუარის დონის ამაღლების შედეგად სარდაფი ზემოდან დაიხურა, ჰაერს მიმოსვლის, ცირკულაციის საშუალება დაეხშო, დაგროვილი ნესტი ვეღარ ორთქლდება. სხვათა შორის ეს სენი მხოლოდ თეატრის შენობას კი არ შევყარეთ, არამედ ლამის მთელს ობილისს, ძველ უბნებს კი მეტადრე. ოცდაათი-ორმოცი წლის წინანდელი თბილისი ვისაც ახსოვს დამეთანხმება სარდაფი, ხოლო მიწის პირზე დაგებული ლითონის ცხაური დედაქალაქის უეჭველ ნიშანს წარმოადგენდა. რა, ჩვენს წინაპრებს თავი კი არ სტკიოდათ როცა ამას აკეთებდნენ! საჭირო იყო, აუცილებელი იყო! სამაგიეროდ შენობა იდგა და იდგა. სარდაფში დღის შუქიც აღწევდა და ხელოვნური განათების ხარჯიც იზოგებოდა. დღეს თვალხელშუა გვენგრევა წინაპართა ნაფიქრ-ნაგები. რა ვქნათ? უნდა ძველი გავიხსენოთ და აღვადგინოთ — სხვა გზა არ არის.

სულ სამი წელია რაც რუსთაველის თეატრის შენობას რესტავრაცია ჩაუტარდა. თორმეტ მილიონზე მეტი დაიხარჯა, მაგრამ რად გინდა, წყალი თუ არ გავარიდეთ ცოტა ხანში ორჯერ მეტის დახარჯვა მოგვიწევს.

— სად არის ამდენი!

ეს დალოცვილი ქართული სუფრა

(გაგრძელება. დასაწყისი მე-19 გვ.)

ძველად ხელს უწყობდა მომთაბარული მესაქონლეობის რეჟიმი, ამჟამად რომ მკვეთრად დარღვეული და უგულველყოფილია.

კვების ხალხური სისტემა წარსულში სტრუქტურული თვალსაზრისითაც მეტად მრავალმხრივი და მრავალფეროვანი იყო. მისი დინამიკა დროსა და სივრცეში თანმიმდევრულად მონაცვლეობდა და მიუხედავად რიგი არსებითი წინააღმდეგობრივი ფაქტორებისა, მკვეთრად ინარჩუნებდა განვითარების ეტაპობრივ ხასიათს. ამასთან ერთად ნათლად იკვეთებოდა კულტურის ელემენტების გავრცელების ფართო არეალური სურათი, რომელიც ურთიერთგანსხვავებულად იყო წარმოდგენილი ზონურ, რეგიონულ და ადგილობრივ ლოკალურ თავისებურებებში. ეს გარემოება კარგად ჩანს ერთის მხრივ საკვების როგორც მატერიალური კულტურის ელემენტის თვითმყოფადობაში, მისი დამუშავების ტექნოლოგიურ ვარიაციებში და მეორეს მხრივ, კვების რეჟიმში, მის სოციალურ, რელიგიურ, ეთიკურ და ესთეტიკურ ასპექტებში. დავიწყოთ პირველით, საკვები კულტურებით. როგორც ზემოთ ითქვა, ქართული ეროვნული სამზარეულო შემადგენლობით ძალზე მრავალფეროვანია და ძველად მასში უმეტესწილად მცენარეული საკვები შედიოდა, ცხოველური საკვები კი შედარებით მცირედ მონაწილეობდა, მცენარეული საკვების ძირითად ბაზას მიწათმოქმედების (მემინდვრეობისა და მევენახეობის პროდუქტები) წარმოადგენდა, ცხოველური საკვებისას კი მესაქონლეობა. ამათთან ერთად ყოველდღიურ კვებაში გარკვეული ადგილი ეჭირა შემგროვებლობის (ტყის მეურნეობის) მეთევზეობისა და მონადირეობის პროდუქტებს იმის და მიხედვით თუ სად როგორი ბუნებრივი პირობები არსებობდა, ამდენად აღნიშნული ვითარება საქართველოს სხვადასხვა რეგიონში თანახმად ზონური განფენილობისა სხვადასხვაგვარია. მაგალითად, აღმოსავლეთ საქართველოს ბარში ძირითად საკვებს მემინდვრეობისა და მევენახეობის პროდუქტები წარმოადგენს (ამას შეესატყვისება გამოთქმულ პურ-ღვინო პურ-წყლის სინონიმად), მთაში კი მემინდვრეობის პროდუქტებთან ერთად წველადი მესაქონლეობის პრივალირებული განვითარების გამო ყოველდღიურ მოთხოვნილებას რძე და რძის პროდუქტები აკმაყოფილებენ (ერბო, ყველი, ხაჭო, დოს შეჭამადი და სხვა) ხორცი კი პრესტიჟირებისა და რიტუალური დანიშნულების საკვებია (ხატობა დღესასწაულზე ან სტუმრის მიღებისას ჩვეულებრივ ხინკალი იხარშება), თუმცა აქაც რა თქმა უნდა მარხვის რეჟიმიც გასათვალისწინებელია, რომელსაც მთიელები ძველად შეძლებისდაგვარად იცავდნენ.[10]

ზონურ თავისებურებებთან ერთად ნათლად შეინიშნება ზოგადი რეგიონული და ლოკალური ადგილობრივი თავისებურებანი, რის გამოც ყოველ კუთხეს თავისი გამორჩეული ფენომენის დონეზე აყვანილი საკვების სახეობა გააჩნია. **ამის დასტურია ქართლ-კახური შოთი, და ლავაში (ძველ ქართული მადაური) ბორჯომული ლიკანი, თუშური გუდის ყველი და იმერული, ხელური, მეგრული სულგუნი და ელარჯი, რაჭული ლორი და ბაჭულები (სართვიანები), კახური ჩურჩხელა და ბადაგი, ხევსურული ხინკალი და ერბო, სვანური კუბდარი და ზისხორა, აჭარული ხაჭაპური და სხვ.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეგიონული განსხვავების ზოგად შტრიხებში აშკარად შეინიშნება ეკოლოგიური ფაქტორებით გამოწვეული რიგი არსებითი თავისებურებანი, რამაც კვების კულტურასაც თავისი კვალი დააჩნია. **მაგალითად დასავლეთ საქართველოში, სადაც ღომის კულტურა ძლიერ განვითარებული იყო, სველი, ჭარბნალექიანი კლიმატური პირობების გამო ყოველდღიურ კვებაში ცხარე ინგრედიენტები ჭარბობდა წიწაკისა და სხვადასხვა სანელებლების სახით, რაც ორგანიზმს იცავდა მწვავე ბაქტეროლოგიური და პარაზიტოლოგიური დაავადებისაგან.** აქ სახამებლის გაზრდილ მოთხოვნილებას ძირითადი საკვები — ღომი ასრულებდა, რომელიც საგრძნობლად აჭარბებდა მისაჭმელის — „შეჭამადის" რაოდენობას, ხოლო სხვა მცენარეული საკვების (მხლოვანებისა და მწვანილეულის) გაზრდილი რაციონი, ხელს უწყობდა ვიტამინებითა და ნახშირწყლებით უზრუნველყოფას. დიდი იყო ნიგვზიანი კერძების რიცხვი, რამეთუ ნიგოზი თავის მხრივ ანემიის განვითარების ბუნებრივ ბარიერს ქმნიდა. **ნიგვზიანი კერძებიდან მეგრულ-გურული საცივი დროთა განმავლობაში ქართული ეროვნული სამზარეულოს ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო და დაწინაურებული ფენომენი გახდა.**

ეკოლოგიური ფაქტორების როლი საკვების მომზადების წმინდა ტექნოლოგიურ მხარეებშიც აისახება. ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ თუ დასავლეთ საქართველოში, სადაც ჭარბნალექიანი ცივი კლიმატია, ხორცის (ფრინველის იქნება იგი თუ საქონლის) საკვებად გამოყენება სახელდახელოდ ვარ-თარებაში და სადღესასწაულოდ ძირითადად შემწვარი სახით იცოდნენ (რამეთუ იგი მეორე დღემდე შეიძლება არ გაფუჭებულიყო) აღმოსავლეთ საქართველოში უფრო მშრალი და მაღალი ტემპერატურის გამო მოხარშულს ამჯობინებენ (აქ ახლაც პრესტიჟირებულია მრგვალად მოხარშული დედალი, ხაშლამა და სხვ.), ხოლო მწვადი განსაკუთრებულ შემთხვევაში გამოიყენება რთველში და უფრო საწესო დანიშნულებით (მაგალითად ახალ გარდაცვლილი მკვდრის საფლავზე სამი შამფური მწვადის გატანა აუცილებელია). ამასთან მიუხედავად იმისა, რომ აღმოსავლეთ საქართველოში პურეული მეტია, ვიდრე დასავლეთ საქართველოში აქ ნაკლებად არის გავრცელებული ე. წ. სინთეზური საკვები, სართვიანები (ხაჭაპურები, მხლოვანი პურები, ლობიანები), რომელთა ადგილს ხანდახან ერბოიანი ან ზეთზე მომზადებული ქადა-ნამცხვრები, ნაზუქები და სხვა პურეული იჭერს, რაც ამ ბოლო ხანებში ადგილობრივი კუთხური ტრადიციების ერთგვარ გამოვლინებად იქცა. **აღმოსავლეთ საქართველოსათვის ასევე ტრადიციული ჩანს წვნიანი (პირველი) კერძები, რომელთაც არა მხოლოდ ყოველდღიური მოხმარებისათვის არამედ სადღესასწაულოდ და რიტუალური დანიშნულებითაც ამზადებენ. ასეთად შეიძლება ჩაითვალოს ბოზბაში, რომელიც ჩვენი აზრით ძველ ქართული „წვნიანის" ნაირსახეობას უნდა წარმოადგენდეს (ტე-**

SOS

● ამერიკელი გეოფიზიკოსი ჯ. სიმპსონი ამტკიცებს: თუ მზის ლაქების რიცხვი ასორმოცდაათს აღწევს მაშინ მიწისძვრის წარმოშობის შესაძლებლობა ოცდათერთმეტი პროცენტით მეტია ვიდრე იმ შემთხვევაში როცა ლაქების რიცხვი ორმოცდაათს არ აღემატება.

რმინი „ბოზბაში“ სპარსულია და წვნიან კერძს ნიშნავს). იგი ძველად საქორწილო სუფრაზეც სცოდნიათ, პირველ რიგში ჩამოსატარებლად, ახლა კი მხოლოდ ქელეხშიღაა.

ახლა ორიოდ სიტყვით შევეხოთ კვების ყოველდღიურ რეჟიმს, რომელიც ძველად ასევე ძალზე გონივრულად იყო გააზრებული. რეჟიმი პირველ რიგში გულისხმობს საკვების მიღების დროის, შერჩევისა და თანმიმდევრულობის წესს, რასაც ხალხში იჯრის (ჯერის) სახელწოდებით ვხვდებით. ამ წესის სწორი დაცვა უწინარეს ყოვლისა ხელს უწყობდა ორგანიზმში საჭირო კალორიულობის ბალანსირებას, რომელიც თავის მხრივ შრომითი პროცესის (ალოთა სამუშაოების) რეგულირებითა და ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფით იყო ნაკარნახევი. ზამთარში ის სამჯერად, ხოლო ზაფხულში ოთხჯერად ციკლს მოიცავდა. ეს იყო საუზმე, სადილი, სამხარი და ვახშამი. ამათგან სამხარი მხოლოდ გაზაფხულზე და ზაფხულში იცოდნენ (როცა ხვნა-თესვის, მკისა და მოსავლის აღების დრო იყო), სადილი კი სულაც არ შეესაბამებოდა მის დღევანდელ შინაარსს და დაახლოებით დღის 12 საათს უდრიდა, როცა უთენია ნასაუზმები კაცი, მზის „საშუბლეზე გადმოწევისას“ პირველ ჯერს — სადილს მიირთმევდა, შემდეგ სიცხისაგან შეწუხებული მცირე ხნით შეისვენებდა და ნაშუადღევს მუშაობას გააგრძელებდა. როგორც კი დასამხრდებოდა (მზე სამხრეთისკენ დაიხრებოდა) მეგუთნეები საღამოს ჯერს — სამხარს გამართავდნენ, უფრო გვიან კი დაბინდებისას ვახშმად დასხდებოდნენ, ვახშამი ზოგჯერ სამხრის კუდს დაემსგავსებოდა (ე. ი. სამხარი გაგრძელდებოდა), რაც ხშირად ლხინითა და დროსტარებით მთავრდებოდა (ღამის მეხრეს კი გუთნის დედა ღამის ჯერს მიუტანდა). მაგრამ როგორც ვთქვით, ეს უფრო ზაფხულში ხდებოდა, ზამთარში კი ვინაიდან ადრე ღამდებოდა შრომაში დაღლილი მოუცლელი გლეხი ხანდახან უვახშმოდაც წვებოდა.

კვების ხალხური-ეროვნული ხასიათი განსაკუთრებით ქართულმა ტრადიციულმა სუფრამ შემოინახა. სუფრა სხვადასხვა ხასიათის არსებობს და მისი სახეები ერთმანეთისაგან არამარტო გარეგნული ფორმით და ელფერით, არამედ შინაგანი ფუნქციითა და დანიშნულებით განსხვავდებიან. ყოველი მათგანი მკვეთრად ინარჩუნებს უძველესი საწესო ქმედების ელემენტებს და ორგანულად ითავსებს დროთა განმავლობაში მომხდარი ტრანსფორმაციის ნიშნებს. ქართული ტრადიციული სუფრის მრავალსახეობებიდან პირობითად ერთმანეთისაგან შეიძლება გავმიჯნოთ ძირითადად სამი

ყოველდღიურად ათასობით ტურისტი ჩამოდის თბილისში.

სურათზე: სტუმრები მეტეხის პლატოზე.

ტიპის სუფრა შესაბამისი სატრაპეზო ურთიერთობებით. ეს არის სახელდახელო ან საგანგებო ვითარებისა, საოჯახო — ყოველდღიური თუ კალენდარული და სადღესასწაულო რიტუალური, რომელშიც თავის მხრივ გამოიყოფა სადღესასწაულო სალხინო და სამგლოვიარო ხასიათის სუფრები. შევეხოთ ზოგიერთ მათგანს. პირველ რიგში ქართულ სადღესასწაულო სუფრას. იგი დღემდე ინახავს სიუხვე-ბარაქიანობის, ნაყოფიერებისა და აგრარული კულტმსახურების მრავალ ისეთ ელემენტს, რომელთაც მიუხედავად დროთა განმავლობაში მომხდარი ცვლილებებისა, ფუნქცია დღემდე არ დაუკარგავთ. ასეთია მაგალითად ახალი წელი, რთველი, ქორწილი, ხატობა (სახატო დღესასწაული), აღდგომა და სხვა, რომელთა შესახებ დაწვრილებით არ ვისაუბრებთ, შევეხებით მხოლოდ ზოგიერთ მათგანს, თუნდაც საახალწლო სუფრას. იგი საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ტრადიციულია და ძირითადად წარმოდგენილია ნაყოფიერების სიმბოლიკით დატვირთული საგნებით. ეს არის ჩიჩილაკი, ღორის თავის, ტკბილეულით და სხვა ხორაგით გაწყობილი ტაბლა — „საკვლევარი", ბასილა, ასტრალური თუ ზოომორფული ნიშნებით აღბეჭდილი ბედის კვერები და ცეცხლწაკიდებული მაშხალები, რომლებიც ხილეულით ნაზუქითა და ჩურჩხელებით, თაფლითა და სხვა ნუგბარი საკვებით გაწყობილ სუფრაზე ბედნიერი წლის დასაწყისის სიმბოლურ შინაარსს გამოხატავენ.[11]

ნაყოფიერების სიმბოლიკით იყო დატვირთული აგრეთვე საქორწილო სუფრაც. აქ მთავარი ყურადღება საკვების სიჭარბეს კი არ ექცეოდა, არამედ სალხინო ელემენტების სიმრავლეს, გართობა-თამაშობებს, ცეკვა-სიმღერას, სიტყვამიზანობას, მორიდების ძველთაძველ ინსტიტუტს და უმცროს-უფროსობის დადგენილი ეტიკეტის გამო, მთელი საქორწილო ნადიმი საოცარი თავშეკავების, თავაზიანობისა და ურთიერთპატივისცემის მაუწყებელი იყო. აქ ყოველი თავი კერძი თანმიმდევრულად, სადღეგრძელოთა შესაბამისად, გარკვეული რიგის მიხედვით შემოდიოდა და ამის გამო ნადიმიც მშვენიერი სანახავი გახლდათ, სისადავითა და სილამაზით გამორჩეული. სანახაობრივი — რიტუალური აქტი პურობის თითქმის ყველა მომენტში იგრძნობოდა, რაშიც უპირველეს ყოვლისა უძველესი კოლექტიური ტრაპეზის საწესო ქმედების სახეცვლილი გადმონაშთებია საძიებელი. ასეთად შეიძლება ჩავთვალოთ ნეფე-პატარძლისათვის მეჯვარის მიერ ჯვრის პურის მირთმევის წესი (ჯვრის პური ხომ საკრალური ნიშნებით აღბეჭდილი მაგიური დანიშნულების საკვებს წარმოადგენდა, რომელიც მხოლოდ ახალ დაქორწინებულებს უნდა ეჭამათ), სუფრაზე „საუბნო ქადისა" და ხარის ბეჭის ჩამოტარების ჩვეულება, რომელსაც თანამესუფრეთა მიერ მომავლის წინასწარმეტყველებისა და ბედის მკითხაობის საინტერესო რიტუალი ახლდა,[12] ქორწილის მეორე დღეს „ნეფის განადირება" და ნანადირევით მაყრის სუფრის გაშლა და სხვა მრავალი[13].

სატრაპეზო ურთიერთობის არქაულ, საკრალურ ელემენტებს შეიცავს ქელეხი, სამგლოვიარო რიტუალური სუფრა, რაც უწინარეს ყოვლისა მიცვალებულის კულტისადმი განსაკუთრებული პატივისცემით არის გამოწვეული. თავისთავად კი ასეთი მკვიდრი ტრადიციის არსებობა მხოლოდ ძლიერი სამიწათმოქმედო კულტურის მქონე ქვეყნებში შეინიშნება და ამ მხრივ საქართველოც არ არის გამონაკლისი. ამის დასტურია ჩვენში გარდაცვლილის სახელობაზე დაკრძალვის რიტუალური სუფრისათვის კანგაუცლელი ან კანგაცლილი ხორბლისაგან წმინდა საკვების—წანდილის ან კორკოტის მომ-

ზადება[14], მიცვალებულის სულის მოსახსენიებელი ტაბლის გაშლა და მისი მეზობლებში გატანა, სასაფლაოდან მობრუნების შემდეგ პურობის დაწყებამდე ღვინოში ჩამბალი ლავაშის ნატეხების (ბოღლოწოს) ჩამოტარება, ჭიქა ღვინით თავის წაქცევის წესის შესრულება და სხვ. რომელთა უმეტესობაც მოცულია საიდუმლო სერობის რელიგიური საბურველით.

ბუნებრივია დროს თავისი მოაქვს. ჟამთა სვლა ულმობლად ანგრევს წინაპართა მიერ რუდუნებით შექმნილ ეროვნული ტრადიციების ტაძარს, იცვლება და ზოგჯერ იკარგება კიდეც ფაქიზად შემონახული პურობის დადებული წესები, მაგრამ ჩვენი ვალია წარსულის ცოდნასთან ერთად, თანამედროვე პროცესების სწორად გააზრება, რათა რწმენაში გადაზრდილი ყოველი დადებითი ჩვევა სიცოცხლისუნარიანი და ძალოვანი გავხადოთ, თაობიდან თაობას მხოლოდ რაფინირებული, ნეგატიური საბურველიდან განთავისუფლებული, წმინდა მამაპაპური ჩვეულებები შემოვუნახოთ, აღვადგინოთ ის, რისი აღდგენაც გამართლებული და შესაძლებელია.

გიორგი გოცირიძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.

ლიტერატურა:

1. С. А. Токарев, К методике этнографического изучения материальной культуры, с. э. № 4, 1970.

2. გ. ჩიტაია, სამუდამო პრობლემა, გაზ. ცნობის ფურცელი, № 8, 1971.

3. არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, თბ., 1938.

4. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II, ტფ., 1935.

5. გ. გოცირიძე, სახელდახელო სუფრა, მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXIII, თბ. 1987.

6. გ. გოცირიძე, გამომცხვარი პურის შენახვის ხალხური წესები და შესანახი ჭურჭლის სახეები საქართველოში, ძეგლის მეგობარი, 2. 1990.

7. გ. ჩიტაია, ქართული თორნე, მიმომხილველი, II, თბ., 1951.

8. გ. გოცირიძე, კვების წლიური რეჟიმი ქართველ მთიელებში, ქართულ-კავკასიური ეთნოგრაფიული შტუდიები, თბ., 1991.

9. ივ. ჯავახიშვილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, წიგნი II, ტფ. 1935.

10. ნ. ჯიქია, ქართველ მთიელთა კვების კულტურა, თბ., 1988. (რუსულ ენაზე).

11. გ. გოცირიძე, საახალწლო ხონჩა, ძეგლის მეგობარი, 1, 1988.

12. გ.ჩიტაია, ხევსურული სახლის „სენე", ანალები, თბ., 1947.

13. ი. სურგულაძე, ერთი საქორწილო წესის მითოსური და სოციალური ბუნებისათვის, მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 1, თბ., 1989.

14. ჯ. რუხაძე, ფილი და როდინი, ძეგლის მეგობარი, 64, თბ., 1983.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდვა თუ არ ცოდნა?



ამ ბოლო დროს სამეცნიერო გამოცემებსა თუ პრესაში, მეცნიერთა და სპეციალისტთა სხვადასხვა რანგის თავყრილობებზე არ წყდება დისკუსია ძველი ქართული არქიტექტურის ძეგლებზე მიმდინარე არქეოლოგიურ-ხელოვნებათმცოდნეობითი კვლევის და სარესტავრაციო სამუშაოების ურთიერთდამოკიდებულების შესახებ.

დღეს ამგვარი პრობლემა ერთი შეხედვით მსჯელობის საგნად თითქოს აღარც კი უნდა ქცეულიყო, ვინაიდან თეორიულად ჯერ კიდევ მეცნიერების ამ დარგთა ქართველი და უცხოელი ფუძემდებლების მიერ არის გადაწყვეტილი: **ხუროთმოძღვრების ისტორიის აღნიშნული ძეგლების რესტავრაციას წინ უნდა უძღოდეს მათი გულმოდგინე კვლევა როგორც ხელოვნებათმცოდნეობითი, ისე არქეოლოგიური მეთოდებით, ხოლო უკვე შესწავლილ ძეგლთა აღდგენა-კონსერვაცია დროულად უნდა ხდებოდეს.**

მიუხედავად ამისა, სამწუხაროდ, ჩვენში ეს უდავო ჭეშმარიტება დღემდე ყოველთვის ვერ ხორციელდება, ხშირად ვერ ხერხდება სარესტავრაციოდ შერჩეული ძეგლების წინასწარი საფუძვლიანი არქიტექტურული და არქეოლოგიური შესწავლა, აგრეთვე არქეოლოგიურად შესწავლილი ობიექტების დროული და ხარისხიანი რესტავრაცია ან კონსერვაცია. ამ მოვლენის მიზეზებში ჩაწვდომა დიდ გამჭრიახობას არ მოითხოვს — ახლო წარსულში ჩვენ საზოგადოებრიობაში ფეხმოკიდებული ვიწრო უწყებრივი (თუ პირადული) ინტერესებით გატაცების პრაქტიკა ვერც საქართველოს ისტორიის ძეგლებთან დაკავშირებულმა ორგანიზაციებმა აიცილეს. შეიკრა ერთგვარი მოჯადოებული წრე, რადგან საკითხი ასე დადგა: არქეოლოგიური შესწავლის უფლებით აღჭურვილი ორგანიზაციები არიან ვალდებული, სარესტავრაციოდ ნებისმიერი ნიშნით შერჩეულ ძეგლებზე მიმდინარე სამუშაოთა პარალელურად, ფაქტობრივად მშენებლობის სპეციფიკასთან მისადაგებულად აწარმოონ მეცნიერული კვლევა, თუ პირიქით, უპირატესად სამეცნიერო ინტერესების სფეროში მოხვედრილი არქიტექტურის ძეგლების არქეოლოგიური გათხრის კვალდაკვალ უნდა მოხდეს სრულად გამოვლენილ ნაგებობათა გამაგრება-აღდგენა? ცხადია ამგვარი ანტაგონიზმი ძეგლთა დაცვის საქმეს კარგს არაფერს უქადდა.

ამჟამად საქართველოში ეროვნული აღმასვლის ნიშნით მიმდინარე სახელმწიფო პოლიტიკის ფონზე, ისტორიის და კულტურის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმეშიც სასიკეთო ცვლილებებია მოსალოდნელი. ამ მიმართულებით დასახული სახელმწიფო პროგრამის განხორციელება დიდად იქნება დამოკიდებული ისტორიული ძეგლების რესტავრაციის მეთოდოლოგიურად სწორად წარმართვაზე, ამ საქმესთან დაკავშირებულ ორგანიზაციათა ზუსტ კოორდინაციაზე.

ჩვენი აზრით განუხრელად უნდა დავიცვათ შემდეგი სქემა: **არქეოლოგიური უწყებანი (აკადემიური ინსტიტუტები თუ ძეგლთა დაცვის სისტემაშივე არსებული არქეოლოგიური კვლევის გაძლიერებული უჯრედი) ვალდებულნი არიან წინასწარ საფუძვლიანად შეისწავლონ ძველი ქართული არქიტექტურის ისტორიის ყველა ძეგლი, რომელიც გადაუდებელ რესტავრაციას მოითხოვს.** ამასთან, გასათვალისწინებელია რა, რომ ძეგლთა არქეოლოგიური შესწავლა შეძლებისდაგვარად დადინჯებულ მუშაობას მოითხოვს და ხშირად მისი ხანგრძლივობის პროგნოზირება ძნელია, **აუცილებელია**

მკვლევარებს ვაუწყოთ არა უახლოეს პერიოდში აღსადგენი, არამედ მომავალი წლების პერსპექტიული გეგმით გათვალისწინებული სარესტავრაციო ძეგლების ნუსხა (რა თქმა უნდა, ეს არ ეხება ექსტრემალურ ვითარებაში მოხვედრილ ძეგლებს). თავის მხრივ რესტავრატორებს გამუდმებული კავშირი უნდა ჰქონდეთ ძეგლების არქეოლოგიური შესწავლის პროცესთან, რაც ხელს შეუწყობს აღდგენის სრულყოფილი პროექტის შემუშავებას. მათვე, საჭიროების შემთხვევაში, ორგანიზება უნდა გაუწიონ გათხრის პროცესში მყოფ ნაგებობათა ზოგიერთი ნაწილის დროებით გამაგრებას.

თუკი რომელიმე სარესტავრაციო ძეგლი ადრე სპეციალურად არ ყოფილა შესწავლილი ხუროთმოძღვრული თვალსაზრისით, სასურველია როგორც არქეოლოგიური გათხრის, ისე რესტავრაციის პროექტის შედგენის პროცესში მონაწილეობდეს აგრეთვე სწავლული ხელოვნებათმცოდნე არქიტექტორიც (თუნდაც კონსულტანტის უფლებით) რაც ჩვენი აზრით სრულიადაც არ დააყენებს ეჭვქვეშ არქეოლოგთა და რესტავრატორთა კომპეტენციას, ამგვარად, ბოლოს და ბოლოს უნდა დამყარდეს მარტივი არითმეტიკული ტოლობა: **საქართველოში რესტავრაცია უნდა ჩაუტარდეს იმდენ არქიტექტურის ისტორიის ძეგლს, რამდენიც ხუროთმოძღვრულად და არქეოლოგიურად იქნება შესწავლილი.**

ამ თითქოსდა ცხადი საკითხის მიღმა ერთი რატომღაც საჩოთიროდ ქცეული გარემოებაც დგას, რომლის მიჩქმალვა არ ივარგებს. ხუროთმოძღვრების ისტორიის ძეგლთა სრულყოფილი არქეოლოგიური შესწავლისა და მეცნიერულად დასაბუთებული რესტავრაციის პრობლემათა შესახებ პოლემიკისას ხშირად გამოსჭვივის ხოლმე საყვედურის ტონი როგორც რესტავრატორ-არქიტექტორების, ისე მკვლევარ-არქეოლოგების მიმართ, თითქოსდა ერთ თუ მეორე მხარეს შეგნებულად არ სურს დაინახოს საქართველოს მატერიალური კულტურის ისტორიის ძეგლთა მოვლა-პატრონობის საქმისადმი კომპლექსური მიდგომის აუცილებლობა და ანგარიში გაუწიოს მეცნიერების მომიჯნავე დარგთა სპეციფიკას. ეს საკმაოდ შემაშფოთებელი ბრალდებაა და თუ ნაწილობრივ მაინც შეეფერება სინამდვილეს, ეჭვს ბადებს, ამგვარმა ცალმხრივმა [illegible] საგრძნობი ზიანი მიაყენოს ჩვენი ეროვნული კულტურის დაცვისა და წარმოჩინების საქმეს.

გვინდა გვჯეროდეს, რომ **სპეციალისტთა ერთი ნაწილის მიერ ისტორიის ძეგლთა მხოლოდ საკუთარი დარგის პრიზმაში ხედვის მიზეზი ალბათ უფრო „არ ცოდნაა", ვიდრე „ცოდვა".** შემთხვევითი როდია, რომ უფროსი თუ შემდეგი თაობების არაერთ ცნობილ მეცნიერს და პრაქტიკოს-სპეციალისტს არა მარტო სრულად აქვს გათვითცნობიერებული ხუროთმოძღვრული ძეგლების მრავალმხრივი წინასარესტავრაციო კვლევის მნიშვნელობა, არამედ თვითონვე ძალუძს მათი როგორც სხვადასხვა მეთოდით შესწავლა, ისე თეორიული რეკონსტრუქცია. ამგვარ ფართო განსწავლულობას შემდგომშიაც უნდა მივესალმოთ, ვინაიდან მიუხედავად მათი ერთობლივი მუშაობის მიზანშეწონილობისა, ზემოთ ჩამოთვლილი სპეციალისტები პრაქტიკულად მართლა „სიამის ტყუპებად" ვერ გადაიქცევიან და თითოეულ მათგანს პერიოდულად მაინც მოუწევს ძეგლთან პირისპირ დარჩენა. ვფიქრობთ სავსებით მართალნი არიან ის მეცნიერები, რომლებიც უკმაყოფილებას გამოთქვამენ რესტავრატორთა კადრების სპეციალური მომზადების სასწავლო ბაზის გამო: როგორც ჩანს, მომავალში **არქიტექტურის ამ განხრით მომუშავე ახალგაზრდა სპეციალისტები გაძლიერებულად უნდა დაეუფლონ არა მხოლოდ ქართულ ხელოვნებას, არამედ მთლიანად საქართველოს ისტორიას, გაეცნონ არქეოლოგიური კვლევის მეთოდიკას. ურიგო არ იქნება სტუდენტ დ დამწყებ ისტორიკოს-არქეოლოგებს ხელი შევუწყოთ, რათა უკეთესად შეისწავლონ ქართული ხელოვნების ისტორია, ამასთან არქიტექტურის საფუძვლებშიც მივცეთ გარკვეული ცოდნა, თუნდაც მათ მიერ მომავალში არქეოლოგიურად შესასწავლი არქიტექტურული ძეგლების უკეთ გააზრების და გრაფიკული ფიქსაციის გაუმჯობესების მიზნით, რაც საბოლოოდ კარგ სამსახურს გაუწევს ამ ძეგლთა რესტავრაციაკონსერვაციის საქმეს.**

ნოდარ გახტაძე,
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი, საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა ინსპექციის და ინფორმაციის სამმართველოს უფროსი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲡᲐᲮᲘᲗᲐᲪ ᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲕᲐᲓᲘ

ᲐᲕᲔᲜᲘᲡᲘᲡ ᲐᲠᲥᲘᲢᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲙᲝᲛᲞᲚᲔᲥᲡᲘᲡ ᲡᲐᲠᲔᲡᲢᲐᲕᲠᲐᲪᲘᲝ ᲡᲐᲙᲕᲚᲔᲕᲘ ᲡᲐᲛᲣᲨᲐᲝᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ სამხედრო გზის გაყოლებით ბევრი საინტერესო არქიტექტურული ძეგლია. ერთ-ერთი მათგანია, აქამდე ნაკლებად ცნობილი „ავენისის"" კომპლექსი, რომელიც არაგვისა და ავენისის შესაყართან, ანანურის მოპირდაპირე მხარეს სოფელ ავენისთან მდებარეობს.

ავყვეთ ხეობას სამხრეთიდან. კომპლექსის გალავანი ხეობის დასავლეთ ფერდობს (სიგრძე 30 მ, სიგანე — 25 მეტრი) შემოფარგლავს და თითქმის მთლიანად არის მოშლილი.

კომპლექსის ძირითადი ნაგებობა ეკლესიაა, რომელიც გალავნის სიღრმეში დგას. მისი აღმოსავლეთის მხარე ზედ გალავნის კედლიდან ღელეს გადაჰყურებს. დანარჩენი ნაგებობები ეკლესიის დასავლეთით განლაგებულან. აქ, ფერდობს ეკვრის სამი, მეტნაკლებად დანგრეული ორსართულიანი საცხოვრებელი ნაგებობა. ერთ-ერთ მათგანსა და ეკლესიის დასავლეთ კედელს შორის კამარულგადახურვიანი სათავსია. (იქნებ სატრაპეზოა). გალავნის შესასვლელთან კიდევ ერთი ნანგრევია, ვარაუდით ის მარანსაწნახელი უნდა იყოს. კომპლექსის ეზო-მიდამო უძველეს სამარხების ქვაყუთებს დაუფარავთ, საცხოვრებელ სათავსთა წინ კი 27 ქვევრიანი ღია მარანია მოწყობილი.

მონასტრის მიდამოები ამ ორი ათეული წლის წინათ, თითქმის მთლიანად მიწას დაეფარა. 70-იან წლებში ჟინვალის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ გათხარა კომპლექსის მიდამო, სამარხები შეისწავლა და გალავნის აღმოსავლეთი კედელი განაახლა.

აქ ყველაფერი მონაცრისფრო ქვის ფილებითა და უხეშად დამუშავებული ქვიშა-ქვის წყობით არის ნაგები. წყობის ყაიდაც თითქმის საერთოა; ადგილობრივი ჯიშის, წაგრძელებული ფორმის ქვები უხეშად არის ნაწყობი კირხსნარის თხელ დუღაბზე.

ეკლესიას გარედან ბაზილიკური ფორმა აქვს: მაღალ შუა დარბაზს სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან ეკვრის ვიწრო ცალფერდა სათავსები, რომელთაგანაც ჩრდილოეთისა, მხოლოდ სანახევროდ გაჰყვება.

ეკლესია ჟამთა სვლას დაუზიანებია: ჩაქცეულა სამხრეთ და შუა სათავსთა კამარები; ჩრდილოეთ სათავსში კი ჩამონგრეულა კამარის ნაწილი. თითქმის მთლიანად მორღვეულია ფასადთა ფრონტონების საპირე წყობები. ორმაგი მარტივი ფორმის ლავგარდანი კუთხეებში გადანაკეცებიანია. სახურავზე აქაიქ შერჩენილია ბრტყელი კრამიტი.

ეკლესიის ცენტრალური ნაწილი საშუალო ზომის, უპილასტრო დარბაზია, რომლის აწ ჩამოქცეული კამარა და საბჯენი თაღი კრონშტეინებს ეყრდნობოდა. შემორჩა მხოლოდ სამხრეთის კრონშტეინი, იგი წარმოადგენს სამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთმანეთზე მიდგმულ შირიმის მაღალ ქვას, ოდნავ ჩაღუნული არეთი, ... გარეშე. აბსიდის კუთხეებში თარო და წრეთარგიანი შირიმის იმპოსტები. კედლის წყობები ინტერიერში ოდნავ რეგულარულია; ქვებს შორის ადგილები კარგად არის ამოგოზილი, შემდეგ კი შებათქაშებულია. საკურთხეველი დარბაზისაგან შირიმის ქვით შესრულებული კანკელით ყოფილა გამოყოფილი. ცენტრალურ დარბაზს შემოუყვება ერთსაფეხურიანი ხარისხი.

ეკლესიის ჩრდილოეთი სათავსი — მცირე სადგომია. მისი კედლები დეფორმირებულია და უფრო წვრილი ქვით არის ამოყვანილი, აღმოსავლეთი ნაწილი მართკუთხა, ოდნავ ირიბი კედლით მთავრდება. საკვარაუდოა, რომ თავდაპირველად ჩრდილოეთ სათავსს მცირე აბსიდა ჰქონდა, მოგვიანებით ეს უკანასკნელი მთლიანად მონგრეულა. მერე კი იგი შედარებით დაუდევრად აღუდგენიათ.

საყურადღებოა, რომ არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ აქ ჩატარებულმა, უდავოდ საინტერესო სამუშაოებმა, ერთის მხრივ მოამზადა ძეგლი სარესტავრაციოდ, მაგრამ იმისა გამო, რომ სარესტავრაციო სამუშაოებმა დაიგვიანა, ძეგლის დაზიანების საშიშროება შეიქმნა, რადგანაც მიწის საფარი, რისგანაც განთავისუფლდა ნაგებობა ერთგვარად იცავდა მას. ამჟამად ძლიერ გამოფიტულია და მორყეულია ეკლესიისა და სხვა ნაგებობათა ქვის წყობები, ხოლო მათი კონსტრუქციული ელემენტები დაზიანებულია და დაუკარგავთ მდგრადობა. კომპლექსი ავარიულ მდგომარეობაშია და დაუყოვნებლივ მოითხოვს სარესტავრაციო სამუშაოებს.

ავენისის არქიტექტურული კომპლექსის რესტავრაციის პროექტი ძეგლთა დაცვის საზოგადოების დაკვეთით 1989 წელს ძეგლთა დაცვის მთავარ სამმართველოსთან არსებულმა სარესტავრაციო კოოპერატივმა „ხერთვისმა" დაამუშავა. პროექტი შესრულდა საარქივო-ბიბლიოგრაფიულ და ნატურალურ გამოკვლევებზე დაყრდნობით, იგი ითვალისწინებს სარესტავრაციო აღდგენითს და საკონსერვაციო სამუშაოებს. ამ სტატიაში გადმოცემულია პროექტის თეორიული და გრაფიკული ნაწილების ძირითადი მომენტები. (გრაფიკული მასალა იხილეთ ამავე ნომრის 74-75 გვერდებზე).

არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ ეკლესიის შიგნით მიკვლეული მასალა ძირითადად გვიანი შუა საუკუნეების არის. ეზოში აღმოჩენილია XI-XII საუკუნეთა მოჭიქული კერამიკის ნიმუშებიც. ეკლესიის სამხრეთით, არქეოლოგთა ვარაუდით, ხევისთავის თუ ფეოდალის ოჯახის წევრთა ჯგუფური სამარხია. მათი დათარიღება ინვენტარის სიმცირის გამო ძნელდება. ექსპედიციამ აღმოაჩინა სამარხები გალავნის გარეთაც და დაადგინა, რომ ეკლესია უფრო ადრეულ სამაროვანზეა აგებული. ამავე მოსაზრებით ავენისის კომპლექსი ძლიერი თავადის ან ხევისთავის რეზიდენცია უნდა ყოფილიყო, ხოლო აგების თარიღად IX-X საუკუნეებია მიჩნეული.[1]

ისტორიკოსი ჯონდო გვასალია ავენისის ხევს მიიჩნევს როგორც თვითკმარ „ქვეყანას" საკუთარი მთითა და ბარით. აქ საკმაოდ განვითარებული ყოფილა მევენახეობაც, რასაც მოწმობს ქვევრ-მარანთა სიმრავლე. მთისწინეთის ეს ზოლი, რომელიც გადაურჩა არაბთა მოძალებას, უნდა გამხდარიყო საყრდენი, „საიდანაც ხორციელდებოდა სოციალურად უფრო დაწინაურებული ბა-

1. საველე არქეოლოგიური კვლევანი, (რუსულ ენაზე), 1975, 1976, 1978, 1979 წწ. თბ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გია ჭანიშვილი (მარცხნივ) და მერაბ ბოჭოიძე ექსპედიციის მუშაობის დროს.

რის გავლენა აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთზე"[2], ამიტომ აქ გამორიცხული არ უნდა ყოფილიყო საქართველოს ძნელბედობის ხანაში მონასტრის დაარსება.

ეკლესიაზე ორნამენტიკის უგულებელყოფა შეესაბამება მის VIII-IX საუკუნეებით დათარიღებას, თუმცა საქართველოს მთიან მხარეში და კახეთშიც ფასადების ორნამენტიკა არ არის დამახასიათებელი მოვლენა. ამავე დროს „ეკლესიებს, რომლებიც ფენოვანი ტეხადი ქვებით იყო ნაგები (ისევე როგორც ავენისში) არ აფორმებდნენ დეკორატიულად"[3], მაგრამ სრულიად მოურთველი ძეგლები IX საუკუნის შემდეგ ამ მხარეშიც იშვიათია.

VIII-IX საუკუნეებზე მიუთითებს ეკლესიის განსაზღვრულ ნაწილებში შირიმის ქვის გამოყენება, როდესაც ნაგებობა მთლიანად უხეშად დამუშავებულ სხვა მასალით არის ნაშენები. ამასთან შირიმის დეტალები VIII-IX საუკუნეებში სხვა ძეგლთაგან განსხვავებით არ არის თვალში საცემი. ამავე ეპოქაზე მიუთითებს სარკმლის საფეხუროვანი ძირი. ამგვარი სარკმელები აქვთ

2. ჯ. გვასალია, არაგვის ხეობის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები.

3. „ქართული ხელოვნება", ტ. 7ა, 1971 წ. ნ, ჩუბინაშვილი, „ზედაზენი, კლიკისჯვარი, ლვიარა".

VIII-IX სს ეკლესიებს: „ალევის სამებას“, „დაბაკნეთს“ ქსნის „ცხავატს“, „ბაბ-თის „ლომისას“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავენისის ეკლესია მოკლებულია ადრეული ხანის ძეგლებისათვის (V-VII სს) დამახასიათებელ დასრულებულ და გათანასწორებულ იერს და ამავე დროს არც IX საუკუნის მომდევნო პერიოდის ცხოველი სტილის მატარებელია. აქ ნათლად ვლინდება გარდამავალი ხანის (VIII-IX სს) ბევრი ნიშან-თვისება. ანგარიშგასაწევია მთიანეთის არქიტექტურის შედარებით კონსერვატიული ხასიათი, როდესაც სტილის განვითარება ხშირად, ოდნავ ჩამორჩება ბარის ხუროთმოძღვრების განვითარების ძირითად ხაზს და ამიტომ თარიღის უფრო დაკონკრეტება ძნელდება.

ამგვარად, ჩვენს წინაშეა ქართული არქიტექტურის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში. ძეგლის ავარიული მდგომარეობა მის სასწრაფო რესტავრაციას მოითხოვს. პროექტის მიხედვით ეკლესიაზე სარესტავრაციო სამუშაოები უნდა წარიმართოს სრული აღდგენის მეთოდით. ეს განპირობებულია როგორც არქიტექტურული, ასევე საინჟინრო-კონსტრუქციული მოსაზრებებით; მითუმეტეს ძეგლის მთლიანი აღდგენისათვის ნატურაში ყველა აუცილებელი პირობა არსებობს და ეჭვს არაფერი იწვევს. ძლიერი დაზიანების მიუხედავად ეკლესიაზე შერჩენილია პრინციპულად მნიშვნელოვანი არქიტექტურული ელემენტები და ფრაგმენტები: ორთაროვანი ლავგარდნის ქვები, ცილინდრული კამარისა და კონქის მორკალების დასაწყისები, საბჯენი თაღების დასაწყისის ქვები და მათი იმპოსტები. პროექტით ასევე გათვალისწინებულია შირიმის ქვის კანკელის ნაწილობრივი აღდგენა, რომლის ფრაგმენტები კომპლექსის მიდამოებშია მიმოფანტული.

ეკლესიის დასავლეთით და სამხრეთ-დასავლეთით მდებარე ნაგებობებზე, რომლებიც დაშლილი გალავნის კედელთან ერთად ასევე ავარიულ მდგომარეობაშია, დაგეგმილია სარესტავრაციო სამუშაოები ნაწილობრივი აღდგენა-კონსერვაციის მეთოდით. უნდა ამაღლდეს და არქიტექტურული აქცენტი მიეცეს ამ ნაგებობათა სილუეტებს, ხოლო გალავნის კედლის კონტური შეიკრას არსებული გალავნის ფრაგმენტების სიმაღლის დონეზე, მათი ზედა ფენების კონსერვაციით.

პროექტის მიხედვით გათვალისწინებულია აგრეთვე საინჟინრო-კონსტრუქციული ღონისძიებები — რკინა-ბეტონის ფარული სარტყლებისა და სვეტების მოწყობა და საძირკვლების გაძლიერება.

ავენისის კომპლექსის რესტავრაციის პროექტი შეთანხმებულია საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის მთავარი სამმართველოს მეთოდურ საბჭოსთან და შედგენილია სრული სამუშაო დოკუმენტაცია.

მერაბ ბოჭოიძე,
არქიტექტორ-რესტავრატორი.

გია ჭანიშვილი,
ხელოვნებათმცოდნე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაქაგორის ხეროთ-მოძღვრული კომპლექსი



ცენტრალური კავკასიონის ქედის ჩრდილოეთით, თერგის სათავეებიდან მოყოლებული, ვიდრე ე. წ. „კასარამდე", მდებარეობს ისტორიული მხარე „თრუსო". თანამედროვეთა წარმოდგენაში „თრუსოს" შეცდომით თვლიან „კობიდან" მდინარის აყოლებაზე მდებარე არემარეს; თანაც „თრუსოს" როგორც ტოპონიმს ხეობაც დაემატა, რაც თავისთავად ძირშივე არასწორია, რადგან „ხეობა"—მდინარის სახელს უნდა უკავშირდებოდეს, ანუ ჩვენ შემთხვევაში ეს არის თერგის ხეობა, რომლის გაყოლებაზე და შენაკადებში ისტორიული „მნა" და „თრუსო" მდებარეობს. კობიდან, თერგის ხეობას თუ ავუყვებით, 3—4 კილომეტრში ისტორიული „მნის" სოფლებში მოვხვდებით. ამ ადგილას, გაშლილი ხეობა შედარებით ვიწროვდება, ხოლო ჩრდილოეთიდან, მდინარე თერგს, მყინვარწვერის კალთებიდან გამომდინარე მნისწყალი ერთვის. აქ მდებარეობენ სოფლები ნოკგაუ, ზემო და ქვემო ოქროყანა, ნასოფლარი აგატკაუ, თავად ხეობაში კი სოფელი მნა.

სოფელ ზემო ოქროყანას დასავლეთით, თერგის ხეობას თუ ავუყვებით, მკვეთრად შევიწროვებულ, კლდოვან გარემოში მოვხვდებით, შემდეგ ხეობა ჯერ სამხრეთისაკენ უხვევს, სადაც თერგი შვეულად აზიდულ კლდეებს შორის მოედინება, ხოლო შემდგომ ისევ დასავლეთისკენ, ფართოდ გაშლილ, ტაფობებიან მიდამოში აღმოვჩნდებით. სწორედ აქედან იწყება თრუსო, ხოლო აქამდე არსებული ხეობის კლდოვან ნაწილს „კასარა" ეწოდება, რომელიც ზღუდეს ნიშნავს (ანალოგიური ისტორიულ „დვალეთში" არსებული კასრის კარისა).

თრუსო, რომელიც ზღვის დონიდან საშუალოდ 2200 მეტრზეა, რელიეფის და განსახლების მიხედვით ოთხ ნაწილად შეიძლება დაიყოს. პირველი ნაწილი მოიცავს კასარადან დაწყებულ ვრცელ, გაშლილ ხეობას. იქ სადაც მთის კალთა გაივაკებს აქა-იქ მინერალური წყლის წყაროებით მრავალფერად შეღებილი გარემო კარგი მხატვრის დახატულსა ჰგავს. თრუსოს პირველი სოფელი ქეთრისი თავდაპირველად მდინარის ტაფობზე გაუშენებიათ. მისგან ამჟამად მხოლოდ ერთი კოშკია პირვანდელი სახით შემორჩენილი, სხვანი კი ნანგრევებად ქცეულან. სოფლის მოსახლეობა XIX საუკუნის II ნახევარში გადასახლებულა მდინარის გაღმა. ამჟამად ქეთრისში, ისევე როგორც თრუსოს სხვა

სოფლებში, მოსახლეობა მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდის; ზამთრობით კი უკაცრიელი თრუსო გაუვალ თოვლის საბურავშია გახვეული. ქეთრისიდან ორიოდ კილომეტრში, თერგის მარცხენა ნაპირას სოფელი აბანო მდებარეობს. მისი ორი კოშკის სილუეტი შორიდანვე იტაცებს თვალს. კოშკების სიახლოვეს XIX საუკუნის ბოლოს აშენებული და ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში აფეთქებული ეკლესიის კედლებია შემორჩენილი. ამ სოფლის შემდეგ ხეობა ფართო რიყეს წარმოადგენს და მდინარეების დესისწყლისა და სუატისისწყლის შესართავებთან მთავრდება.

თრუსოს II ნაწილი დესისწყლის ხეობაა. იგი ფართოდ შეერთვის თერგს სამხრეთიდან. ხეობა გოგირდოვანი წყლებით არის ცნობილი. მის დასაწყისში სოფელი ქვემო დესია, ხოლო ერთი კილომეტრის მოშორებით ზემო დესი მდებარეობს. ამ ხეობით ხდებოდა გადასვლა — ერთი გზით დიდი ლიახვის სათავეებში, ისტორიულ მაღრან დვალეთში, ხოლო მეორე გზით, ყელის ტბის გავლით არაგვისა და ქსნის ხეობებში.

თრუსოს III ნაწილი სუატისისწყლის ხევია. მისი სათავე მყინვარწვერის მყინვარებშია. ხეობის შუაში სოფელი სუატისია. აქ X საუკუნის დარბაზული ტიპის მცირე ეკლესია და გვიანფეოდალური სათავდაცვო კოშკია შემორჩენილი. სოფლის მიდამოებში, მთის ფერდის აყოლებით კიდევ ორი პატარა ეკლესიაა. სამივე სალოცავს ადგილობრივნი „შანება“-ს უწოდებენ.

იქ სადაც სუატისის წყალი თერგს ერთვის, კლდოვან კონცხზე, თრუსოს მთავარი სალოცავი, „მთავარანგელოზის“ დარბაზული ტიპის ეკლესიაა აღმართული, გაღმა ბორცვზე კი ზაქაგორის კომპლექსია შეფენილი.

თრუსოს IV ნაწილი თერგის სათავეებამდე აღწევს. აქ ხეობა შედარებით ვიწროვდება და აქეთ-იქეთ პატარ-პატარა მდინარეები ერთვის. ამ შენაკადების თერგის შესართავებთან ციხე-კოშკებიანი სოფლებია: კარატკაუ, ბურმასიგი, ცოცოლთა, გიმარა, თეფი, რესი და ნასოფლარი სივრატი. ამ ხეობის ბოლოს თრუსოს უღელტეხილზე თუ გადავალთ ისტორიულ დვალეთში, ზახას ხეობაში მოვხვდებით.

როგორც თრუსოს მოკლე აღწერიდან გამოჩნდა, მისი გეოგრაფიული და სივრცობრივი ცენტრი, ამ ოთხი მთავარი ნაწილის შეხების წერტილში მდებარეობს. ამიტომაც შემთხვევით არ არის ამ ადგილას აგებული, როგორც თრუსოს მთავარი სალოცავი „მთავარანგელოზი“, რომელიც ყოველი წერტილიდან აღიქმება, ასევე გამაგრებული ციხე-ქალაქი „ზაქაგორი“.

„ზაქაგორის“ შესწავლისათვის კარგი იქნებოდა თვალი წარსულისათვის გადაგვევლო. მეტადრე რომ ამჟამად თრუსოს ისტორია აქტუალური და მნიშვნელოვანი გახდა საქართველოოსეთის ურთიერთობათა განსახილველად.

ისტორიული წყაროების მიხედვით თრუსო ოდითგანვე დვალეთის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენდა. რადგანაც თავად თრუსოზე ისტორიული წყაროები ნაკლებად შემოგვრჩა, დვალების ისტორიის განხილვით შეიძლება თვით თრუსოს წარსულიც აღვადგინოთ. ყველაზე ადრეულ ქართულ წყაროდ, სადაც დვალებია მოხსენებული, ადრეფეოდალური ხანის „მოქცევა ქართლისაჲ“ შეიძლება ჩაითვალოს. ხოლო ანტიკური წყაროების მიხედვით, I საუკუნის რომაელ ისტორიკოსს პლინიუს სეკუნდს და II საუკუნის კლავდიუს პტოლომაიოსს ყავთ ნახსენები „თუალნი“ ამ გეოგრაფიულ არეალში. დვალეთის ძირითად ხეობას მდინარე არდონის სათავეები

შეადგენს. დვალეთად ითვლებოდა აგრეთვე დიდი ლიახვის სათავეები ანუ „მაღრან დვალეთი“.

დვალების ეთნიკური წარმომავლობის შესახებ მრავალი მოსაზრება არსებობს. საკითხს ართულებს ის რომ მათ არც დამწერლობა ჰქონდათ და მათი ლექსიკის შესახებ მხოლოდ ტოპონიმებისა და დვალური წარმოშობის გვარებით შეიძლება მსჯელობა. თავდაპირველი მოსაზრება მათი მეტყველების ვეინახურთან სიახლოვისა უგულებელსაყოფია, რადგან შემორჩენილ სიტყვათა უმრავლესობა უფრო ქართველური ენებით აიხსნება; ხოლო ოსურთან არა აქვთ რა საერთო. ერთი რამ ცხადია, რომ იმ დროს დვალები ქართველიზაციის დიდ გავლენას განიცდიდნენ და არც ის იყო გასაკვირვი რომ მათი გაქრისტიანებაც საქართველოდან მოხდა. საკუთრივ დვალეთში აგებული ხოზიტა-მაირამისა და თლის XI საუკუნის დარბაზული ტიპის ეკლესიების „ქართულობაც“ ამის დასტურია. თუ აქვე აღვნიშნავთ რომ მნის, სუატისის და მთავარანგელოზის X და XI საუკუნეების თრუსოს ეკლესიებიც დვალეთს მიეკუთვნებოდა, გასაგები ხდება, რომ ქრისტიანობის შესვლა დვალეთში შემდეგი გზით მოხდა: ხევი-თრუსო-შიდა დვალეთი.



სურათზე: 1. მყინვარწვერი; 2. „კასარა“; 3. „მთავარანგელოზი“; 4. ზაქაგორი; 5. რესი; 6. თეფი; 7. გიმარა; 8. ბურმასიგი; 9. ცოცოლთა; 10. კარატკაუ; 11. სუატისი; 12. ზემო დესი; 13. ქვემო დესი; 14. აბანო; 15. ქეთრისი; 16. მნა; 17. ზემო ოქროყანა; 18. ქვემო-ოქროყანა; 19. შევარდენი; 20. ნოგკაუ; 21. ალმასიანი; 22. კობი; 23. ყანობი; 24. ხურთისი.

ვახუშტის ცნობით, კონსტანტინეპოლის დაპყრობის შემდგომ, XIV ს-ის ბოლოს და XV ს. I ნახევარში თემურლენგის შემოტევით შევიწროვებული ოსები შევიდნენ დვალეთში და აიძულეს ისინი გადასულიყვნენ ქართლსა და იმერეთში. ეს ცნობა იმითაც არის ყურადსაღები რომ იმ დროს იწყება საქართველოში გადმოსული დვალების ასიმილაციის პროცესი ქართველებთან და ამავე დროს თავად დვალეთში დარჩენილი დვალების ოსეთიზაცია. ამას დაერთო ისიც, რომ XVI ს-ის ბოლოს ოსეთს ფეოდალური ყაბარდო მოეძალა, თანაც მოუსავლიანობამ და შიმშილმა აიძულა ბარის ოსები დაეკავებინათ დვალეთი და წყალგამყოფზეც გადმოსულიყვნენ. XIV საუკუნის ბოლოს, თრუსოში დვალების არსებობაზე „ძეგლი ერისთავთა" მოგვითხრობს. აქაური დვალების ღალატის გამო, ქსნის ერისთავს ვირშელ III დამსჯელი დაშქრობა მოუწყვია და მრავალი დასახლება აუოხრებია. ხოლო ერთ სოფელს შეწყალება უთხოვნია და თან მნაში მცხოვრებ ოსებზე გალაშქრება შემოუთავაზებიათ. თრუსოში ოსების გადმოსახლების ტალღა XVI საუკუნის II ნახევრისათვის უნდა ვივარაუდოთ.

დვალეთში შემოჭრილი ოსები, როგორც დამპყრობლები, იერარქიული საფეხურის თავში მოექცნენ. როგორც ვახუშტი ამბობს: „საგვარეულოში დიდგვაროვანნი არიან ოსნი, ხოლო დვალნი უმდაბლესი გვარითა". ეს მომენტი დიდად ხელშემწყობი აღმოჩნდა დვალთა ასიმილაციისათვის, რადგან ოსობა სოციალურად „პრესტიჟული" აღმოჩნდა. თუმცა ასიმილაცია მოხდა ნაწილობრივ და ფაქტობრივად მხოლოდ ენის დაკარგვაში გამოიხატებოდა, მაგრამ, რადგანაც ამ პროცესს თან სდევდა თვით „დვალის" — როგორც ეთნოსის აღმნიშვნელი სიტყვის გაქრობაც, თანამედროვე თრუსოს ოსი სახლენი თავიანთ თავს ოსებს უწოდებენ. თუ XVII საუკუნეში და შემდგომ თრუსოში, მოსახლეობა ენით ძირითადად უკვე ასიმილირებულია, საერო ყოფა და არქიტექტურა თითქმის არ შეცვლილა, რადგან მომხდურებს არ ჰქონდათ გამოცდილება მთის რეგიონების შესაბამისი ნაგებობების აგებისა. თავად საცხოვრებლების ტერმინოლოგიაში ბევრია ქართულთან დაკავშირებული სიტყვები. ასეთებია: გალუანი — ქვის ღობით შემოზღუდული საცხოვრებელი და კოშკი; ერდო — სახურავში გაჭრილი ღიობი გასასვლელად; კირინ — ქვითკირით ნაშენი გამაგრებული სახლი; სახლის მშენებლობისას არასამუშაო დღეს დახმარება — ბეგარა. ამავე დროს არდონის ხეობაში სათავდაცვო კოშკების მშენებლებად ოსები ინგუშებს ან თუალებს ანუ დვალებს იწვევდნენ ხოლმე. რადგან თვით ოსებს, როგორც ბარიდან მოსულ ხალხს, არ გააჩნდათ მთის ნაგებობების შენების ტრადიცია, უბრალოდ არ იცოდნენ თუ როგორ აეგოთ ციხე-კოშკები, მკაცრი ზამთრის გადამტანი საცხოვრებელი სახლები; ინგუშები და დვალები კი ამ ცოდნას საუკუნეების განმავლობაში ეუფლებოდნენ. გარდა ამისა აღსანიშნავია საკულტო-ქრისტიანული ტერმინოლოგია, რომელსაც აშკარად ქართულთან აქვს მსგავსება. ასეთებია: „ძუარი" — სალოცავი (პარალელი ქართულ — „ჯვართან"); „მარხო" — მარხვა; „თარანგელოზ" — მთავარანგელოზი; „კერე" — კვერი; „შანება" — სამება; „მაცხვარი" — მაცხოვარი და სხვა. თავად თრუსოს და მნას ტოპონიმიკაშიც ბევრია ქართული დასახელებანი, ისტორიულ მნაში სახელები: ოქროყანა და შევარდე-

ნი; თრუსოში კი ქეთრისი, აბანო და ზაქაგორი; დანარჩენი დასახელებანიც გარდა კარატკაუსი, სივრატისა და ბურმასიგისა არაოსურია.

თავად ზაქაგორის ისტორიისათვის, ტოპონიმი საბაბს გვაძლევს ვივარაუდოთ მისი შიდა დვალეთიდან წარმომავლობა. კერძოდ სახელწოდების I ნაწილი „ზაქა“ მსგავსია თრუსოს უღელტეხილს გადაღმა არსებული ზახას ხეობის დასახელებისა. „ზახას“ დამატებული „გორი“ ქართულში ცვლილებას განიცდის და „ზაქაგორი“ ხდება. რაც შეეხება თანამედროვე ოფიციალურ დასახელებას „ზაკაგორი“, ეს განპირობებულია იმით, რომ XIX და XX საუკუნის რუსული ტრანსკრიპციის რუკებიდან პირდაპირ არის გადმოტანილი ქართულის გაუთვალისწინებელად, რადგან მოსახლეობას დიდი ხანია მიუტოვებია დასახლება, ხოლო ოსურში ქართული „ქ“-ს შესატყვისი ბგერა არ არსებობს. „ზაქას“ — სასარგებლოდ მეტყველებს ის ფაქტიც, რომ აქ მცხოვრები გვარის შთამომავალნი არიან ამჟამად სოფელ ცდოში მცხოვრებელი ზაგაშვილები და ხადის მკვიდრნი ზაქაძეები. მათ თავიანთი გვარის შესახებ ლეგენდაც შემოუნახავთ და თან ერთმანეთის ნათესაობის არსებობაც იციან. ლეგენდის მიხედვით მათი წინაპარნი დვალნი ყოფილან, თრუსოში უცხოვრიათ და ზაქაანთ გვარს ატარებდნენ. დრამატული ისტორიის ფინალში ზაქაგორელი ძმები ერთმანეთს ეყრებიან. ერთი ძმა ცდოსკენ წასულა, მეორე კი ისტორიულ „ხადაში“, ამჟამინდელ სოფელ ზაქაანში ანუ ზაქათკარში დამკვიდრებულა. ზაგაშვილების გვარი კი სახეშეცვლილი ფორმაა ზაქაშვილებისა.

ტოპონიმ „ზაქაგორი“ -ს მეორე ნაწილი „გორი“, აშკარად გამოხატავს მის მდებარეობას.

ზონირების მხრივ კომპლექსი ხუთ საცხოვრებელ უბნად შეიძლება დაიყოს. მათ განაპირას, ჩრდილოეთ და სამხრეთ მხარეს თავდაცვითი კოშკებია, ერთი კოშკურა სახლიც ცენტრალურ მოედანზე მდებარეობს თვით განაშენიანებაში. ნასოფლარის შემომზღუდველი კედლები მხოლოდ ალაგ-ალაგ არის შემორჩენილი და ისიც დაბალია, მაგრამ მიუხედავად ამისა მაინც შეიძლება აღდგეს გალავნის წინანდელი მოხაზულობა.

არსებული ხუთი უბნიდან, აღმოსავლეთის I უბანი, ანსამბლის საერთო ბირთვიდან გამოყოფილად დგას. იგი სავარაუდოდ სოციალურ-იერარქიულ საფეხურზე დაწინაურებულ პირს უნდა ეკუთვნოდეს. ამაზე მეტყველებს დანარჩენ საცხოვრებლებთან შედარებით, ნაგებობის მასშტაბურობა, საერთო დასახლებისაგან გამოყოფილად დამკვიდრება, პრესტიჟული მზიანი ფერდის დაპატრონება, საცხოვრებელ ოთახთა რაოდენობა და ფართი; სამეურნეო სათავსთა რაოდენობაც მის მფლობელთა სიმდიდრეზე მიგვანიშნებს. სახლის მშენებელს, აღმოსავლეთ ფერდის დახრილობა გონივრულად გამოუყენებია: I სართულის სამეურნეო სათავსების თავზე განლაგებული ოთახები ფერდის აყოლებაზე გაუგრძელებია, რითაც მნიშვნელოვნად მოუგია საცხოვრებელი ფართი.

კომპლექსის დარჩენილი უბნები იმის მიხედვით იყოფა, თუ საით უწევთ გამოსვლა ინტერიერიდან გარეთ: II უბანი სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში გამოდის, III უბანი სამხრეთ-დასავლეთით, IV უბანი ჩრდილო-აღმოსავლეთით, ხოლო V უბანი ცენტრალურ მოედანზე. ეტყობა საცხოვრებელი სახლები ორსართულიანი ყოფილა, სადაც I სართული ხშირად სამეურნეო დანიშნულებისა იყო, ხოლო II სართულს წმინდა საცხოვრებლად იყენებდნენ. ამის ნიშანია ის რომ I სართულები შედარებით დაბალია და ნაკლებად განათებული; კარი ვიწრო და მოკლეა, ხოლო სარკმელი პატარა და ექსტერიერისაკენ თანაბრად შევიწ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა



როვებული. II სართულზე და თითქმის ყველა სათავსში ორი ან სამი ოთხკუთხა ფანჯარაა. კარიც შედარებით მოზრდილია და ფართო. ბევრგან კარები ამოშენებულია, რაც ოჯახების დაყოფაზე მიუთითებს. ნაგებობის უმრავლესობა მშრალი წყობით არის ნაგები, რომელთა კედლების სისქე 60-80 სმ-ს აღწევს; ალაგ-ალაგ დუღაბიცაა გამოყენებული. II სართულის კედლებზე შებათქაშების კვალიც შეიმჩნევა.

სართულშუა გადახურვა, რომელიც არსად არ არის შემორჩენილი, როგორც კედლებში დარჩენილი საკოჭებიდან ჩანს, ხის მოზრდილ მორებს ეყრდნობა. სახურავი ანალოგიურად მთის ამ რეგიონის საცხოვრებლებისა, ბანიანი იქნებოდა. სავარაუდოა რომ II სართულებს ჭერში ე. წ. „ერდო“ ექნებოდათ მოწყობილი, რადგან მრავალი სახლი განათების მხრივ საკმაოდ „დაჩაგრულ“ მდგომარეობაშია.

კომპლექსის გამოკვეთილი ცენტრი II, III და V უბნებს შორის მოქცეული მოედანია, რომლის დომინანტურ ნაგებობას კოშკურა სახლი წარმოადგენს, ეს ნაწილი წინათ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილი უნდა ყოფილიყო, რაზეც მისი განლაგება და მასშტაბურობა მიუთითებს. მოედანი რომელსაც აღმოსავლეთით აქვს შესასვლელი, ისეა დასავლეთ-აღმოსავლეთის ღერძზე წაგრძელებული, რომ ზღურბლზე მდგარი კაცისათვის მოედნის ღერძის პერსპექტივაში, მოპირდაპირე მთაზე აღმართული, თრუსოს მთავარი სალოცავი „მთავარანგელოზის“ ეკლესია აღმოჩნდება.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ანსამბლის ვერტიკალური გეგმარების გადაწყვეტა. ერთმანეთის მიჯრით, ტერასულად აგებული საცხოვრებელი სახლები ისეა მორგებული რელიეფს, რომ ბანიან სახურავებს შორის არსებული სიმაღლეთა სხვაობა, გადაადგილებისას ადვილად დასაძლევი ყოფილიყო და ამდენად, გარდა კომპლექსის გარშემო არსებული გზისა, მცხო-

ვრებლებს ერთმანეთთან საკომუნიკაციოდ ბანიანი სახურავების სისტემის გამოყენებაც შეეძლოთ.

ზაქაგორის ანსამბლის ვერტიკალურ დომინანტს ორი სათავდაცვო კოშკი და კოშკურა სახლი შეადგენს. განსხვავებით საცხოვრებელი სახლებისა, ისინი შედარებით მოზრდილი ქვებით არის აშენებული. განსაკუთრებით



1

დიდი, გათლილი ქვებია გამოყენებული გარე კუთხეებში და კარების ღიობთა გარშემო.

კოშკური სახლი, რომელიც ცენტრალურ მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ ნაწილშია აგებული, ამჟამად წარმოადგენს გეგმით კვადრატული ფორმის (7,5X7 მ.), ცხრა მეტრის სიმაღლის ნაგებობას. ერთადერთი მრუდთაღოვანი კარი მას დასავლეთით აქვს გაჭრილი. იგი მიწიდან სამიოდე მეტრის სიმაღლეზეა მოთავსებული. თუმცა, თავის დროზე, კარიდან — მის წინ მდებარე სათავსის ბანზე ან II სართულზე გამოვიდოდით. კოშკური სახლის I სართულზე სამი სათოფური და ორი ნიშია მოწყობილი. II სართულზე კედლები ნაწილობრივ დანგრეულია. ანალოგების მიხედვით სავარაუდოა III სართულის არსებობაც.

სამხრეთით მდგარი კოშკი ქვის ბუნებრივ ციტადელზეა აღმართული; მასაც ერთადერთი მრუდთაღოვანი კარი დასავლეთით გამოუდის და მიწიდან ორივე გზა დასავლეთის და აღმოსავლეთის მხრიდან სამხრეთის კოშკთან იყრის თავს, ხოლო III და V უბნებს შორის შემავალი შუკა, ცენტრალურ მოედანზე გადის კიბის საშუალებით და შუაზე კვეთს კომპლექსს.

დასავლეთის ქუჩის შემომზღუდველი გალავანი ძლიერ დანგრეულია. მის ცენტრალურ ნაწილში გალავანში ჩართული საპირფარეშოა მოწყობილი. აღმოსავლეთის მხარეს განლაგებული ქუჩის ზღუდეც დაზიანებულია. ამ ქუჩის დასაწყისში გზა ორად იყოფა და ზედა გზა IV უბნის წინ მდებარე მოედანთან მიდის. ამ მოედნის ნაწილობრივ შემოზღუდული სამხრეთი მხარე, რომელიც კოშკურა სახლს ებჯინება, აღმოსავლეთით ტერასის სახით იშლება. აქ არსებული გრძელი ქვის სკამები გვაფიქრებინებს რომ ეს ად-

გილი კაცების თავშესაყარს წარმოადგენდა ე. წ. „საფიხნოს“.

საინტერესოა რომ თავად ზაქაგორში და მის სიახლოვეს საკულტო ნაგებობის კვალი არ შეიმჩნევა. თრუსოს სხვა სოფლებისაგან განსხვავებით, სადაც ე. წ. „ძუარები“ ან ეკლესიები თვით სოფელშია მოთავსებული, ამ შემთხვევაში ყველაზე ახლოს თრუსოს „მთავარანგელოზის“ ეკლესია გვევლინება. შესაძლოა, როგორც ეს ხშირად გვხვდება ხოლმე აღმოსავლეთ კავკასიონის მთიანეთში და განსაკუთრებით არდონის ხეობაში, სალოცავის ფუნქციას რომელიმე კოშკი ასრულებდა, სადაც ნიში იქნებოდა მოწყობილი.

არც სოფლის სასაფლაოა ზაქაგორთან. ყველაზე ახლოს, მდინარის მეორე მხარეს, მისგან 700—800 მეტრში ე. წ. „ყივჩაღთა“ სასაფლაოა. ადგილობრივ მკვიდრთა გადმოცემით, მათ მოსვლამდე აქ უცხო ტომები ცხოვრობდნენ, რომელთაც [illegible] განსხვავებული წესი ჰქონდათ. იგი წარმოადგენს ყორღანის ტიპის შემაღლებულ ბორცვს, რომელზედაც ვერტიკალურად 1—1,5 მ. სიგრძის გაუთლელი, სიპის ქვებია ჩარჭობილი. ერთი შეხედვით ამგვარი დასაფლავების წესი თითქოს მუსულმანურ სამყაროს უნდა უკავშირდებოდეს; მაგრამ ანალოგიური შემთხვევები ხევსურეთშიც არის შემორჩენილი; XX საუკუნის I ნახევარშიც კი (მაგ. მუცოს სასაფლაო).

კომპლექსის დაარსება განვითარებულ შუა საუკუნეების ბოლოს უნდა ვივარაუდოთ. ამ პერიოდში ხშირი იყო, ყოველი მხრიდან, დიდი დამარბეველი ლაშქრობების მოწყობა თრუსოში და ერთიანი სათავდაცვო სისტემის მთავარი რგოლის ჩამოყალიბე-



ეროვნული
ბიბლიოთეკა





ბაც დროის მოთხოვნა უნდა ყოფილიყო. ჩვენს წინაშე არსებული ზაქაგორის ნაგებობანი XVII საუკუნის პირველ ნახევარს უნდა განეკუთვნებოდეს. ამაზე ყველაზე კარგად მეტყველებს სათავდაცვო კოშკების არქიტექტურული გადაწყვეტა. მათში სათოფურების არსებობა იმას მიგვანიშნებს, რომ აგების თარიღის ქვედა ზღვარი XVII საუკუნე უნდა იყოს.

მართალია საქართველოში ცეცხლსასროლი იარაღი XVI საუკუნის პირველ ნახევარშიც გვხვდება, მაგრამ მთაში მისი მეტნაკლებად მასობრივი გამოყენება XVII საუკუნეში დაიწყეს. ჩვენთვის ცნობილი სათოფურების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ზაქაგორის ტიპის სათოფურები ყველაზე „არქაულია“, თანაც სართულებში მათი არათანაბარი განლაგება და გვიანდელ კოშკებთან შედარებით ნაკლები რაოდენობაც იმაზე მეტყველებს, რომ თავდაცვის ამგვარი სისტემა ჯერ ბოლომდე არ იყო ჩამოყალიბებული. აღსანიშნავია აგრეთვე ისიც, რომ თრუსოს სოფლებში არსებულ ყველა კოშკს ბოლო სართულის ყოველ მხარეს „მაშიყულის“ მსგავსი ფუნქციის მატარებელი ძირს სასროლი სხვადასხვა კონსტრუქციის სათოფურები გააჩნიათ; აქ კი, თუ შემორჩენილი ჩრდილოეთის კოშკის მიხედვით ვიმსჯელებთ, ჯერ კიდევ ხმარებაშია მშვილდ-ისარი და ლოდების ტყორცნაც არ არის „დავიწყებული“. ამაზე მიუთითებს ამ კოშკის ღია, V სართულის მცირე სიმაღლე.

ზაქაგორის ტიპის ძეგლი, თავისი იერით, არქიტექტურული გადაწყვე-

ტით და მნიშვნელობით, შეიძლება ითქვას, რომ უნიკალურია საქართველოში. ამის განმსაზღვრელია, მისი თითქმის პირვანდელი სახით შემორჩენილობა, მეტნაკლებად გეგმაზომიერი მშენებლობა, ფეოდალური თრუსოს მთავარი ციხე-ქალაქის თავდაცვითი სტრუქტურის სრულად წარმოჩინებულობა და უბრალოდ მისი ლამაზი განლაგება კიდევ უფრო მშვენიერ გარემოში. მისი ამჟამინდელი მდგომარეობა კი მეტად შემაშფოთებელია. მიტოვებული კომპლექსი განსაკუთრებით დიდთოვლიანი ზამთრის [illegible] წლიდან-წლამდე უარეს დღეში ვარდება. თუ ღმერთმა ქნა და საშველი დაადგა ძეგლის, თუ რესტავრაციას არა, კონსერვაციას მაინც, (მანამდე აუცილებელი იქნება მისი არქეოლოგიურადაც შესწავლა), დარწმუნებული ვართ, რომ ზაქაგორის წარსულის ფურცლების გახსნა, ბევრ თეთრ ლაქას შეავსებს დვალეთის ისტორიაში.

გიორგი გაგრატიონი
ხელოვნებათმცოდნე, არქიტექტორი.



სურათებზე: ზაქაგორის ხუროთმოძღვრული კომპლექსის გეგმარების შტრიხები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაზე მეტყველებენ კედლები



კტიტორთა გამოსახულებები წმინდა დოდოს მონასტრის ჰთავარ ტაძარში

დავით გარეჯელის მოწაფის — დოდოს მიერ ჯერ კიდევ VI საუკუნეში „სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა დედოფლისა ჩუენისა ღმრთისმშობლისასა“ დაარსებული მონასტრის კლდეში გამოკვეთილი დიდი ტაძარი ნიაღვრებს ათწლეულების მანძილზე სანახევროდ მიწით ამოუვსიათ. მრავალმთის ამ ერთ-ერთი უდიდესი განშტოების მთავარი საკულტო სათავსის ვრცელი და აწ ძალზე ჩაბნელებული ინტერიერის სხვადასხვა მონაკვეთზე ხელოვნური განათებისა და ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად სხვადასხვა პერიოდის ფერწერის ცალკეული ფრაგმენტები გაირჩევა. სიმცირისა და ფრაგმენტულობის მიუხედავად, მათი კვლევა დოდოს რქის მონასტრისა და გარეჯის ფერწერული სკოლის ისტორიისათვის ახალ საგულისხმო მასალას იძლევა.

ტაძრის ფერწერული შემკულობის ნაშთთა შორის აღმოჩნდა ისტორიულ პირთა ძალზე ფრაგმენტული გამოსახულებები.

1. საკტიტორო პორტრეტი გამოქვაბული ეკლესიის დარბაზის აღმოსავლეთ ნაწილში შეუსრულებიათ, მისი სამხრეთი კედლის საკურთხეველთან მიმდებარე არცთუ ღრმა თაღოვან უბეში. ფრესკაზე ორი შარავანდმოსილი პირია წარმოდგენილი. ორივე მათგანი სამი მეოთხედით საკურთხევლისაკენ შებრუნებულნი გამოუსახავთ. მათი ფიგურები ფაქტობრივად მთლიანად ავსებენ თაღოვანი უბის ვერტიკალს.

გამოსახულებათაგან შედარებით უკეთ გაირჩევა ნიშის მარჯვენა ნახევარში გამოსახული ფიგურის ზედა ნაწილი. ეს არის სამეფო შესამოსელში გამოწყობილი წვეროსანი მამაკაცი, რომლის მაღალი გვირგვინი ჰკვეთს შარავანდის ზედა კიდეს (კტიტორის ნიმბმა ჩვენამდე თეთრი ფერის წრიული ლაქის სახით მოაღწია). გვირგვინი თავის დროზე სხვადასხვა ფორმის პატიოსანი თვლებით უნდა ყოფილიყო მოოჭვილი; მათგან ფრესკაზე ახლა მხოლოდ გაურკვეველი მოხა-

ზულობის მკრთალი აღნაბეჭდებიღა შემორჩა. გვირგვინს ქვედა კიდეზე წვრილი სალტე შემოსდევდა.[1] მისი აღნაბეჭდი, ფერწერული ფენის გადაცლის მიუხედავად, თავსაბურავისა და სახის ურთიერთისაგან გამოყოფის საშუალებას იძლევა.

კტიტორის სახე ფრესკაზე საერთო სილუეტადღა იკითხება. არ შემორჩა მისი ნაკვთები, არც ფერწერული ფენის კვალი. ერთადერთი მკრთალი აღნაბეჭდი, რომელიც აქ განირჩევა, წვერს უნდა მონიშნავდეს.

ძვირფასი ქვებით იყო შემკული კტიტორის შესამოსელიც, სახელდობრ, გულზე ირიბად გადამავალი ფართო საოლველი, ამჟამად ფართო თეთრი ფერის ზოლებადღა რომ შემორჩა. იგი დიადიმის (ლორონის) ნაშთი უნდა იყოს. სამოსის დღეისათვის შემონახული შემკულობიდან აქვე უნდა დავასახელოთ ნახევარწრიული მოხაზულობის სამკლავეც, მეფეთა და დიდებულთა კაბების, ბისონების ტრადიციული ელემენტი[2], ფრესკაზე ასევე თეთრი ფერის აღნაბეჭდის სახით შემონახული. ბათქაში ზედაპირზე აღბეჭდილი მკრთალი ხაზები დიადიმის წელზე შემოხვეული ნაწილისა[3] და მარჯვენა მკლავზე გადაფენილი ბოლოს ზოგადი მონახაზის აღდგენის საშუალებას იძლევა.

ფრესკაზე წარმოდგენილი პირის შარავანდსა და ვედრების ნიშნად შემართულ გრძელთითება მარჯვენა ხელს შორის ძნელად შესამჩნევი აღნაბეჭდის სახით დიაგონალურად განთავსებული ჯვრული კვერთხი განირჩევა. სამეფო ძალაუფლების აღმნიშვნელი და საქრისტიანო აღმოსავლეთში ფართოდ გავრცელებული ეს ინსიგნია[4] შესამოსელთან ერთად უშუალო მოწმობაა იმისა, რომ ფრესკაზე საქართველოს სამეფო კარის უმაღლესი წარმომადგენელი — მეფე უნდა იყოს გამოსახული. ფერწერულ პორტრეტზე იგი შედარებით მოკლე წვერით უნდა ყოფილიყო აღბეჭდილი — ამაზე უწინარეს ყოვლისა მისი შიდა შესამოსელის ნახევარწრიულად ამოჭრილი გულისპირი მიგვანიშნებს, რომელიც დაუფარავად არის დატოვებული. მეფე-კტიტორის ასევე მოკლე, ჩანს, ხუჭუჭი თმის გარე კონტური უშუალოდ ერთვის სახის ოვალის საერთო მოხაზულობას.

მეორე, ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი ფიგურის წინ წარმოდგენილი, კტიტორის გამოსახულება ნესტს კიდევ უფრო მეტად დაუზიანებია — ოდნავ შესამჩნევი მკრთალი მონახაზების ნაშთთა მიხედვით დღეისათვის საშუალება იქმნება აღდგეს შარავანდის მოხაზულობა, სახის ფართო ოვალისა და თავსაბურავის ცალკეული ფრაგმენტები, შესამოსელის ორიოდე დეტალი. ამ პირის თავსაბურავი უფრო მეტად კუბასტს მოგვაგონებს (შდრ. კატაულას VII ს-ის სტელის,[5] რკონის ეკლესიის სადიაკვნეს XIII ს-ის შუახანების მხატვრობის,[6] ხობის ტაძრის XIII—XIV სს. მიჯნის[7] საკტიტორო გამოსახულებები), რაც, ცხადია, იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ აქ ქალი გამოუსახავთ; ძნელია ვრცლად და გადაჭრით მსჯელობა მის შესამოსელზე, თუმც აშკარაა, რომ კტიტორის კაბა მანიაკითა და გულზე ირიბად, ცალპირ გადამავალი საოლველით იყო შემკული. შესამოსელის ეს დეტალი შუა საუკუნეების ქართული სახვითი ხელოვნების ძეგლებში უფრო დამახასიათებელი მამაკაცთა ტანისამოსისათვის — კაბისათვის ჩანს (ასეთია ზემო კრიხის XI ს-ის პირველი მეოთხედის,[8] ოზაანის XII — XIII სს. მიჯნის[9] მოხატულობებში წარმოდგენილ კტიტორთა ჩაცმულო-

ბა, ბუბაქარის კაბა გარეჯის მრავალმთის უდაბნოს მონასტრის სამარტვილეს — მოწამეთას ფრესკაზე, რომელიც XI ს-ში იქნა შესრულებული და მოგვიანებით ნაწილობრივ გადაწერილი,[10]), თუმცა კტიტორ ქალთა გამოსახულებებში დამოწმებული მაგალითების (თუნდაც ფეტობანის X ს-ის კარგად ცნობილი რელიეფის[11]) გათვალისწინებით სავარაუდოა, რომ იგი უცხო არც ამ შემთხვევაში უნდა ყოფილიყო.

სამწუხაროდ, პორტრეტები ისეა ნესტისაგან დაზიანებული და განმკრთალებული, რომ ფოტოზე ისინი ფაქტობრივად არც კი ჩანს. სწორედ ამის გამოა, რომ წინამდებარე წერილში გამოსახულებათა მხოლოდ გრაფიკული მონახაზი მოგვყავს.[12]

იყო თუ არა საერო პირთა გამოსახულებები ეკლესიის სამხრეთი კედლის დანარჩენ თაღოვან უბეებშიც, ამის თაობაზე ახლა რაიმეს თქმა შეუძლებელია, რადგან იქ ნალესობა ნესტისაგან ძალზე დაზიანებულია და ფერწერული ფენის კვალი მასზე საერთოდ არ ჩანს.

2. დოდოს რქის მონასტრის მთავარი ტაძრის სამხრეთ კედელზე შემორჩენილ პორტრეტებთან ოდესღაც არსებული განმარტებითი წარწერების დაღუპვამ შეუძლებელი გახადა აღნიშნულ გამოსახულებათა იდენტიფიკაცია. მიუხედავად ამისა, ზემოთ აღწერილ პორტრეტებში დამოწმებული ზოგიერთი თავისებურება რამდენიმე მოსაზრების გამოთქმის საშუალებას მაინც იძლევა.

საკტიტორო პორტრეტის განთავსების ადგილი გამოქვაბულ ეკლესიაში ერთი შეხედვით უჩვეულოა, რადგან იგი, შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში საუკუნეთა მანძილზე დამკვიდრებული ტრადიციისაგან[13] განსხვავებით, საკულტო სათავსის ინტერიერის ჩრდილოეთ-ჩრდილო-დასავლეთ მონაკვეთში კი — არ შეუსრულებიათ, არამედ შედარებით ნაკლებ აღსაქმელ და საკმაოდ ჩაბნელებულ სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხეში. გარეჯელ ფერმწერთა ამგვარი არჩევანი ძნელი ასახსნელი არ არის, თუკი გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ტაძრის ჩრდილოეთი კედელი საგრძნობლად არის დანაწევრებული თაღოვანი ღიობებით და სამეფო საკტიტორო პორტრეტების (ან სხვა რიგის გამოსახულებებისა თუ სიუჟეტთა) განთავსებისათვის იგი ოსტატთა წინაშე საგრძნობ კომპოზიციურ დაბრკოლებებს ჰქმნიდა.

ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი გამოსახულებები დოდოს რქის ტაძარში XI—XIII სს. ქართულ კედლის მხატვრობაში დამკვიდრებულ ტრადიციას მიჰყვება ფიგურათა დაყენების მხრივ. კტიტორები აქ, ისევე, როგორც დასახელებული ქრონოლოგიური მონაკვეთის ქართული საერო პორტრეტის ნიმუშებში, სამი მეოთხედით საკურთხევლისაკენ მიბრუნებულნი გამოუსახავთ. საერო პირთა ფიგურების ამგვარი სახით წარმოდგენა, მკვლევართა აზრით, მნიშვნელოვანწილად განაპირობებს საკულტო სათავსის უმთავრესი ნაწილისაკენ მათი თითქოსდა ნელი „მსვლელობის“ შთაბეჭდილებას. შემდგომ პერიოდში, როგორც ცნობილია, უპირატესობა ისტორიულ პირთა ფრონტალურ გამოსახულებებს ეძლევა.[14]

რამდენადმე უჩვეულოდ გამოიყურება ის გარემოება, რომ დოდოს რქის ტაძრის საკტიტორო პორტრეტზე ჯერ ქალის ფიგურაა წარმოდგენილი და შემდგომ — მამაკაცისა. ისტორიულ პირთა გამოსახვის ამგვარი სქემა მით უფრო თავისებური ჩანს,

თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ ქალის გამოსახულების შემდეგ მეფის პორტრეტი იქნა შესრულებული. მსგავსი შემთხვევა ჩვენთვის მხოლოდ ერთ ძეგლში — ბერთუბნის ეკლესიის მოხატულობაშია ცნობილი, რომელსაც თამარისა და მისი ძის — ლაშას ფერწერული გამოსახულებები ამკობდა.[15]

ფრესკაზე გამოსახულ პირთა შესამოსელი მოწმობს, რომ დოდოს რქის მონასტრის მთავარ ტაძარში სამეფო პორტრეტი იყო წარმოდგენილი. ეს გარემოება პირველყოვლისა იმ მხრივაა საგულისხმო, რომ იგი, საქართველოს სამეფო კარის მიერ გარეჯის კომპლექსის მფლობელობის პირობებში, მრავალმთის სხვა მონასტერთა (უდაბნოს, ნათლისმცემლის, ბერთუბნის) მსგავსად, ქვეყნის უმაღლეს ხელისუფალთა ამ განშტოებასთანაც ასევე მჭიდრო კავშირზე მინიშნებად უნდა მივიჩნიოთ. ამჟამად უკვე გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გარეჯი ქვეყნის უმაღლეს გამგებელთა ხელში საბოლოოდ XII საუკუნიდან მოკიდებული უნდა გადასულიყო,[16] ადრეული პერიოდის სასულიერო პირთა თუ ადგილობრივ ფეოდალთა გამოსახულებებს (იხ. საბერეების მონასტრის VIII ეკლესიის, აგრეთვე უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის მოხატულობები)[17] სწორედ ამ დროიდან — უფრო ზუსტად, ჩვენამდე მოღწეული მასალის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, XII ს-ის მიწურულიდან — მეფეთა პორტრეტები ცვლის (შდრ. ნათლისმცემლის, ბერთუბნის მონასტერთა მთავარი ეკლესიების ფერწერული დეკორი, უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიის მხატვრობა),[18] რაც, ცხადია, იმის მიმანიშნებელია, რომ მრავალმთის მონასტრებში იმხანად საქართველოს სამეფო კარის თაოსნობით არაერთი ეკლესია-სამლოცველო იქნა ფერწერით გამშვენებული, ამასთან ქვეყნად ძნელბედობის (მონღოლთა ბატონობის) დროსაც კი. ანგარიშგასაწევია ისიც, რომ საზოგადოდ ამავე პერიოდს ემთხვევა გარეჯში მოხატულობათა ერთი ნაწილის გადაწერა-გაცხოველების. პროცესი. ყოველივე ამის გათვალისწინებისას, ცხადია, დოდოს რქის მთავარი ტაძრის საკატორო გამოსახულებების შესრულების ქვედა მიჯნად უფრო მეტად სწორედ დასახელებული ქრონოლოგიური მონაკვეთია საგულვებელი (თუმც გამორიცხული არ არის მათი შესრულება უფრო ადრეც). ფრესკული პორტრეტების ზედა ქრონოლოგიურ ზღვარს რაც შეეხება, ამ მხრივ ანგარიშგასაწევია გარეჯის ისტორიის შესახებ ჩვენ ხელთ არსებული მასალა, რომელთა მიხედვით ცხოვრება მრავალმთის მონასტერთა დიდ უმეტესობაში XIV ს-ის დასაწყისისათვის თუ მთლად მოშლილი არა საგრძნობლად დამცრობილი მაინც ჩანს (საგულისხმოა ისიც, რომ დღეისათვის ჩვენთვის ცნობილი ქრონოლოგიურად ბოლო სამეფო პორტრეტი და, მაშასადამე, სახვითი ხელოვნების ძეგლებში ქვეყნის სამეფო კართან მრავალმთის მონასტერთა მჭიდრო კავშირის უგვიანესი მოწმობა აქ დემეტრე II-ის გამოსახულებაა, რომელიც XIII ს-ის 90-იანი წლებით თარიღდება[19]). ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ვფიქრობთ, კვლევის სადღეისო ეტაპზე ჩვენ მიერ აღწერილ გამოსახულებათა შესრულების პერიოდი საკმაოდ ფართო ქრონოლოგიური დიაპაზონით უნდა განისაზღვრებოდეს, რომლის ქვედა ზღვარი უფრო მეტად XII ს-ის დასაწყისი უნდა იყოს, ზედა კი XIII—XIV საუკუნეთა მიჯნა.

დოდოს რქის მთავარი ეკლესიის ფერწერული შემკულობის სხვა ფრაგმენტები მხოლოდ დარბაზის დასავლეთ კედელზე, აგრეთვე ჩრდილოეთ ეკვდერებშია შემორჩენილი. ტაძრის დასავლეთ კედელზე გარეჯელ ფერმწერთ „ღმრთისმშობლის მიძინების“ დიდი კომპოზიცია შეუსრულებიათ (ტაძრის ინტერიერში ამ სიუჟეტისათვის განკუთვნილი ადგილი, ვფიქრობთ, საისტორიო წყაროთა გვერდით კიდევ ერთი მოწმობაა იმისა, რომ მონასტრის თავი ეკლესია აქ ღმრთისმშობლისად იყო სახელდებული). მისგან ახლა მხოლოდ ძალზე მკრთალი ნაშთებიღა განირჩევა და ამდენად სიუჟეტის შესრულების სავარაუდო პერიოდის შესახებ რაიმეს თქმა ძალზე ძნელია.

დარბაზის ჩრდილო-აღმოსავლეთ-მხარეს გამოკვეთილი ეკვდერის — „ვედრების“ გამოსახულებას ეკავა, მისი ჭერი კი უზარმაზარი ფერწერული ჯვრითაა შემკული. ასეთივე გამოსახულება ამკობს ეკვდერის დასავლეთით გამოკვეთილი მეორე სათავსის ჭერსაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრების მიხედვით, მხატვრობის ეს ფრაგმენტები მრავალმთის ფერწერული სკოლის შედარებით ადრეულ ნიმუშებთან ამჟღავნებს მსგავსებას და მათი შესრულების ხანა წინასწარი ვარაუდით X ს-ის მიწურულით — XI ს-ის დასაწყისით (ე. ი. თავად ტაძრის შექმნის პერიოდით) უნდა განისაზღვროს.[20] სამწუხაროდ, ფერ-

---

[1] მსგავსი ტიპის, ოღონდაც რამდენადმე უფრო დაბალი გვირგვინი შუა საუკუნეების ქართული კედლის მხატვრობის ძეგლთაგან გარეჯის უდაბნოს მონასტრის მთავარი ტაძრის (X-XI სს.) ატენის სიონის (XI ს-ის მიწურული), საკტიტორო გამოსახულებებში გვხვდება გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დავით გარეჯელის ციკლი ქართულ კედლის მხატვრობაში, თბ., 1972, სურ. 14; ი ვ. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, III—IV, თბ., 1962, ტაბ. 18, სურ. I; ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე, სამეფო კტიტორული პორტრეტი გარეჯის ნათლისმცემლის მონასტრის მთავარ ტაძარში, „საბჭოთა ხელოვნება“, 1983, № 11, გვ. 99; მ ი ს ი ვ ე, კვლავ ნათლისმცემლის მონასტრის საკტიტორო გამოსახულებების შესახებ, „საბჭოთა ხელოვნება“, 1987, № 3, გვ. 110.

[2] ნ. ჩ ო ფ ი კ ა შ ვ ი ლ ი, ქართული კოსტუმი (VI-XIV სს.), თბ., 1964, გვ. 107-108.

[3] დიადიმის ქვედა კიდე, მონახაზის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ ტალღური ორნამენტით უნდა იყოს შემკული.

4. W. D j o b a d z e, The Donor Reliefs and the Date of the Church at Oski, „Byzantinische Zeitschrift“. 69. Bd., April 1976, Heft l, S. 55.

[5] Н и к о Ч у б и н а ш в и л и, Хандиси (проблема рельефа на примере одной группы грузинских стел последней четверти V века, VI и первой половины VII века), Тб., 1972, с. 105—106, таб. 76-б.

[6] გამოსახულებები დღემდე გამოქვეყნებული არ ყოფილა. მოკლედ მათ შესახებ იხ. ნ. ჩოფიკაშვილის დასახლებულ ნაშრომში, გვ. 47—48.

[7] იქვე, გვ. 45—47, სურ. 32, 85.

[8] Т. Б. В и р с а л а д з е, фресковая роспись в церкви Архангелов села Земо-Крихи. Ars Georgica, VI-A, 1963, таб. 42, 43.

[9] Екатерина Привалова. Роспись церкви «Вознесения» — Амаглеба в Озаани. ქართული ხელოვნება, ტ. 9. თბ., 1987, გვ. 121-125.

[10] გ. ა ბ რ ა მ ი შ ვ ი ლ ი, დასახ. ნაშრომი, ტაბ. XVIII, XIX, 2.

11. Н. А. А л а д а ш в и л и, Монументальная скульптура Грузии, Фигурные рельефы V—XI веков, М., 1977, с. 89. таб. 72.

[12] მონახაზი შესრულებული იქნა 1983 წლის აპრილში.

[31] Г. В. А л и б е г а ш в и л и, Светский портрет в грузинской средневековой монументальной живописи, Тб., 1979, с. 30, и сл.

[14] იქვე.

[15] იქვე, გვ. 25—28, ტაბ. 19, 21, 22; ამ შემთხვევაში ბუნებრივად იბადება კითხვა, ხომ არ არის გვირგვინოსანი და სკიპტროსანი მამაკაცის წინ წარმოდგენილი წმინდანის ფიგურა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერული შემკულობის ზემოთ დასახელებული ნაშთები, თავისი ძალზე საყურადღებო ხასიათის მიუხედავად, დღეისათვის არ იძლევა რაიმე საგულისხმოს ან ხელმოსაჭიდს საკტიტორო პორტრეტთან მათი ურთიერთმიმართების საკითხის გასარკვევად და არც მხატვრობის მომგებელთა ფრესკული გამოსახულებების შესრულების ქრონოლოგიურ ჩარჩოთა უფრო დაზუსტებისათვის. ამ მხრივ დღეისათვის ცხადია მხოლოდ ის, რომ ისტორიულ პირთა გამოსახულებები ჩრდილოეთ სათავსთა მოხატულობასთან შედარებით უფრო მოგვიანებით უნდა იყოს შექმნილი და რომ ისინი ტაძრის ფერწერული შემკულობის თავდაპირველ ფენას არ ეკუთვნის; უდავოა — ერთ დროს დოდოს რქის მონასტრის თავი ეკლესიის ინტერიერი მოხატულობით იყო გამშვენებული და ეს მთლიანად თუ არა, გარკვეულწილად მაინც საქართველოს სამეფო კარის უმაღლეს წარმომადგენელთა თაოსნობით უნდა მომხდარიყო.

დოდოს რქის მონასტრის ისტორიის შესახებ მასალათა სიმწირის მიუხედავად, აქ მიმდინარე სამონასტრო ცხოვრებისათვის თვალის მიდევნება გარკვეულ ქრონოლოგიურ ეტაპებზე მაინც ხერხდება.[21] სამწუხაროდ, წყაროებს ფაქტობრივად არაფერი შემოუნახავთ სწორედ XII—XIII საუკუნეების შესახებ, ე. ი. იმ პერიოდთან დაკავშირებით, როდესაც გარეჯის მონასტრები, როგორც ზემოთ მივუთითეთ, სამეფოდ ითვლებოდნენ. ახლად მიკვლეული საკტიტორო გამოსახულებები პირველყოვლისა სწორედ იმ მხრივ არის ფასეული, რომ ისინი დასახელებული ქრონოლოგიური მონაკვეთისათვის მონასტერში მიმდინარე შემოქმედებითი ცხოვრების აქტივობაზე მეტყველებენ.

ზაზა სხირტლაძე,
ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი.

ამგვარი მაგალითები ხომ კარგადაა ცნობილი შუა საუკუნეების ქართულ კედლის მხატვრობაში.

16. Г. Н. Чубинашвили, Пещерные монастыри Давид Гареджи, Тбилиси, 1948, ბ. ლომინაძე, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან (სენიორები), თბ., 1965, გვ. 124, 163.

17, А. И. Вольская, Ранние росписи Гареджи, «V! Международный симпозиум по грузинскому искусству». Тб., 1983, с. 7; გ. აბრამიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69 და შემდ. სურ. 14.

18. Г. В. Алибегашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 25-28, 40-41, 53-54;

19. მ. ბულია, მეფე დემეტრე თავდადებულის გამოსახულება უდაბნოს მონასტრის ხარების ეკლესიაში, „ხელოვნება“, 1990, № 5, გვ. 2—7.

20. Г. Н. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 51; А. И. Вольская, Роспись средневековых трапезных Грузии, Тб., 1974, с. 136.

[21] დოდოს რქის მონასტრის ისტორიის სხვადასხვა საკითხის თაობაზე იხ. გ. ჩუბინაშვილის, ბ. ლომინაძის, გ. აბრამიშვილის დასახელებული ნაშრომები, აგრეთვე ივ. ბერძენოვი, წმინდა დოდოს მონასტერი, „დროება“, 1881, № 118; ლ. მენაბდე, ძველი ქართული მწერლობის კერები, ტომი I, ნაკვ. I, თბილისი, 1962, გვ. 273—319; მ. ქავთარია, დავით გარეჯის ლიტერატურული სკოლა, თბ. 1965.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუმარჯოს ბაქტერიას!..

მკურნალობის ახალი კურსი

პარიზის VI უნივერსიტეტის გამოყენებითი გეომიკრობიოლოგიის ლაბორატორიის დირექტორმა გეოლოგმა **ჟან-პიერ ადოლფმა** მჟავე წვიმებისაგან დაზიანებული ქვის ზედაპირის აღდგენის ახალი ხერხი დაამუშავა და უწოდა **„ბაქტერიებით მკურნალობის კურსი“.**

გამოგონებას საფუძვლად დაედო ავტორის 1974 წლის საინტერესო დაკვირვება: ბაქტერიების ზოგიერთი სახეობანი გარდაქმნიან კალციუმს, რომლითაც ისინი იკვებებიან, კალციტად (კიროვანი შპატი) — მეტად მტკიცე კრისტალურ მინერალად. იგი იმით არის საყოველთაოდ ცნობილი, რომ წარმოადგენს მარმარილოს მთავარ შემადგენელ ნაწილს.

შესწავლილი კირქვის ყველა ნატეხზე ჩნდებოდა ბაქტერიების (გაქვავებული ან ცოცხალი) დიდი რაოდენობა, რამაც ჟ. პ. ადოლფს აფიქრებინა, რომ ზოგიერთ მათგანს აქვს კავშირი თვით ქვის გენეზისთან. მან სინჯარაში, კალციუმის მდიდარ გარემოში, ბაქტერიების კოლონიების გამრავლება დაიწყო. ერთი დღის შემდეგ სინჯარის ფსკერზე ჩნდებოდა კიროვანი ნალექები. ბაქტერიები თავის მემბრანებში აგროვებდნენ კალციუმის კარბონატს, აღმოცენებული ნიჟარისებრი ნივთიერება თანდათან იწყებდა კრისტალიზაციას.

გამოვლინდნენ კალციფირებული ბაქტერიები — ასეთები აღმოჩნდნენ შტამები განსაზღვრულნი როგორც „არაპათოგენურები“, „კალციტის ეს ქარხნები“ რამდენიმე დღის განმავლობაში თხელი კრისტალური აპკით ფარავენ ქვის ძელაკს, რომლის მხარეები 10 კვ. სანტიმეტრია. რევოლუციურმა ტექნოლოგიამ, რომლის წყალობით ეროზიით დაავადებული ქვის ზედაპირები იფარება, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ქვის აპკით, უმალ დააინტერესა შან-სიურ-მარნის ლაბორატორიის ისტორიული ძეგლების სპეციალისტები. აქ ჩატარდა პირველი ცდებიც, რომელთა შედეგები დადებითი აღმოჩნდა. **კედლის ღრუბლისებრი ფოროვანი ქვების ზედაპირი მოასხურეს ბაქტერიების შემცველი სითხით. შემდეგ მოხდა ქვის ზედაპირის შესამჩნევი აღდგენა. ერთი წლის შემდეგ არავითარი გაუარესება არ მომხდარა. კალციტის ფენის წყალობით კედელი წყალგაუმტარი გახდა და ამასთანავე „სუნთქვაც“ დაიწყო.** ეს არის ახალი პრეპარატის უპირატესობა ფისებით დამუშავებასთან შედარებით, რომლის შედეგად დროთა განმავლობაში ზედაპირის დანაოჭება იწყება.

ჟან-პიერ ადოლფმა თანამშრომლებთან ერთად მიიღო პატენტი ახალ ტექნოლოგიაზე, რომელსაც უკვე იყენებს „ბიოტექნოლოგიური რესტავრაციის“ პირველი საწარმოს საზოგადოება „კალციტი“.

„ლიბერასიონი“, პარიზი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფუნიკულიორი

სახელი ჩემი ფრანგულად საბაგირო-სალიანდაგო გზის აღმნიშვნელია და ფესვს იღებს ლათინური სიტყვიდან „ფუნიკულუს“ რაც ბაგირს ნიშნავს.

ევროპელი გახლავართ.

დავბადებულვარ 1854 წელს გენუაში.

თბილისამდე ნახევარი საუკუნე ვიარე და აქ, მთაწმინდის ამ ულამაზეს მიწაზე 1905 წელს დავიდე ბინა. რა ბრძანეთ? დიდხანს მივლია? მადლობა ღმერთს, რომ იმხანად საზღვრებს დღევანდელივით ცხრაკლიტული არ ედო თორემ შესაძლოა თბილისამდე სულაც ვერ ჩამომეღწია. ძალიან მომეწონა მეთქი, წელან მოგახსენეთ, მთაწმინდა — მკვეთრად რომ გაზდევს თბილისის შუაგულ უბნების სამხრეთ-აღმოსავლეთ საზღვარს და, მომიტევეთ მაღალფარდოვნებისათვის, უმთავრესი დომინანტია ქალაქის სილუეტში.

მთელი დედაქალაქი აქედან თითქოს ხელისგულზეა. თავდაპირველად, მახსოვს მხოლოდ ის გამიკვირდა ეს მთა თუ რატომ არის მეთქი ასე გაშიშვლებული და საიდუმლოდ გამანდეს: არსად გაგვამხილო მავანმა და მავანმა გაჩეხ-გადასწვა აქაურობაო.

ჩემსობას მწვერვალისაკენ მხოლოდ საცალფეხო ბილიკი აუყვებოდა, სადაც განდეგილის ერთი მყუდრო სენაკი იდგა. მართალი გითხრათ იმას კი ჯერაც ვერ მივხვდი რად დაანგრიეს, ვის რას უშლიდა, იდგა თავისთვის, უხმოდ, მშვიდად...

აკი მსოფლიოში იციან და მეტადრე საქართველოში, რომ მხოლოდ უხეირო შვილი ივიწყებს მშობელს და მეც, თქვენის ნებართვით, უმადური რომ არავის ვეგონო წინაპარი მსურს გავიხსენო — **ინჟინერი ალფონს რობი,** ქალაქის კონკის მმართველი, ბელგიური ანონიმური საზოგადოების წარმომადგენელი, რომელმაც ფუნიკულიორის მშენებლობის იდეა 1896 წელს წამოაყენა. 1900 წლის 8 ივლისს დაიდო კიდევაც მასთან ხელშეკრულება მშენებლობის თაობაზე. მახსოვს მშენებლობას მხურვალედ უჭერდა მხარს ბატონი **ნიკო ნიკოლაძე.** წელან აკი ვთქვი ქალაქის კონკის მმართველი იყო მეთქი, კონკა კი, მოგეხსენებათ გასულ საუკუნეში ლიანდაგზე მოძრავი საქალაქო ტრანსპორტის სახეობას წარმოადგენდა, უბრალოდ რომ ვთქვათ ცხენშებმული ვაგონი გახლდათ, ესე იგი როგორც თავად მიხვდით ტრამვაის პაპისპაპა.

ღმერთმა აცხონოს!

პროექტის ტექნიკური ნაწილი დაამუშავა ბელგიელმა ინჟინერმა **ა. ბლანშმა,** ხოლო არქიტექტურული მხარე — თბილისელმა ხუროთმოძღვარმა ა. შიმკევიჩმა. **ალექსანდრე შიმკევიჩი,** ეროვნებით პოლონელი, გასული საუკუნის დასასრულსა და ჩვენი საუკუნის დასაწყისის გამოჩენილ თბილისელ არქიტექტორთა რიცხვს ეკუთვნის. მისი მოღვაწეობის დასახასიათებლად ჩამოვთვლი: არტისტული საზოგადოების — აწინდელი რუსთაველის თეატრის — შენობა (ა. ტატიშჩევთან ერთად), სასამართლო, კონსერვატორია, ანდრეოლეტის სახლი დავით აღმაშენებლის გამზირზე, საცხოვრებელი სახლების დიდი რაოდენობა თბილისის ცენტრალურ უბნებში. იგი ერთ დროს საქალაქო არქიტექტორად მოღვაწეობდა, ასწავლიდა სამხატვრო სასწავლებელში. უცხო

ტომის შვილისათვის განა საკმარისი არ არის რომ მუხლმოყრით გავიხსენოთ მისი სახელი? მე კი ბოდიშს მოგიხდით და კვლავ ძირითად თემას დავუბრუნდები.

ფუნიკულიორის მშენებლობა დაიწყეს 1903 წლის სექტემბერში, ხოლო 1905 წლის 27 მარტს გაიმართა პარაკლისი, საბაგირო-სალიანდაგო გზა საზეიმოდ გაიხსნა და მრავალი ლამაზი სიტყვა და სადღეგრძელოც მიეძღვნა. მშენებლობას უცხოელი ინჟინრები, ბელგიელი რაგოლერი და იტალიელი ფონტანა-როსი ხელმძღვანელობდნენ. ეს უკანასკნელი მშენებლობის დამთავრების წელს გარდაიცვალა და თბილისშია დაკრძალული. სხვათა შორის, 1969 წ. მამის საფლავი მოუნახულებია იტალიიდან ჩამოსულ მის უმცროს ქალიშვილს დელფინა როსის და რა თქმა უნდა მამადავითზეც გახლდათ.

ტრაბახში ნუ ჩამომართმევთ და თბილისის ფუნიკულიორის ტექნიკური აღჭურვილობა თავის დროისთვის მაღალი მაჩვენებლებით და უსაფრთხოებით ხასიათდებოდა. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობდა სამანქანო ნაწილი ზედა სადგურზე. გზის სიგრძე 501 მეტრია, ხოლო დახრილობა 28—33 გრადუსი. შუა გზაზე, მცირე ხევის თავზე, 80 მეტრის სიგრძის ვიადუქი და ბაქანია მოწყობილი, რომლებიც მოხდენილი პროფილის და პროპორციების მქონე თაღებზეა დაყრდნობილი. ვიადუქი ორგანულად ერწყმის ბუნებას, რელიეფის თავისებურებას. მისი დანიშნულება ორგვარია: აქ ერთმანეთს გვერდს უქცევენ ბაგირის ბოლოებზე შეკიდული ვაგონები, ხოლო ბაქანზე მოწყობილი ჩასასვლელი კიბე მამადავითის ეკლესიისკენ მიმავალ ბილიკს უკავშირდება, როგორც ვიადუქის, ასევე ზედა და ქვედა სადგურების არქიტექტურის ავტორია ა. შიმკევიჩი. აქ თავი იჩინა ჩემი დროისათვის დამახასიათებელმა მრავალსტილიანობამ, ეკლექტიკამ. ზედა სადგურის არქიტექტურაში იკითხებოდა მოდერნის რემინისცენციები, ქვედა სადგურზე „აღმოსავლური“ იერის ძიების ცდა ჩანდა, რაც ‘ძეისრული თაღების გამოყენებით დასტურდება. ეს თემა შიმკევიჩისათვის ახალი არ იყო, რაზედაც მეტყველებს მის მიერ აშენებული ე. წ. „სპარსული სახლი“ უზნაძის ქუჩის დასაწყისში; ზედა სადგურის ორსართულიანი შენობა, რომელიც თბილისელებმა „როტონდად“ მონათლეს, მოკრძალებული ზომებისა იყო და არ „ეკამათებოდა“ მთის ბატონკაცურ იერს. ამგვარად, ერთდროულად აშენებული არქიტექტურული და საინჟინრო კომპლექსი, თვით სალიანდაგო გზის შერჩეული გეზი, ბუნებაში მოხდენილად ჩაწერილი ვიადუქი, ორივე ბოლოში აგებული სადგურები ორგანულად შეერწყმნენ მთაწმინდას. თავდაპირველი კომპლექსისაგან აღარ არსებობენ ძველი სადგურების შენობები, მაგრამ კვლავ მწყობრშია თვით ფუნიკულიორი, რომელსაც ყოველწლიურად 800-900 ათასი მგზავრი გადაჰყავს.

მთაწმინდის ფერდობის გატყიანება 1920-იან წლებში დაიწყო. გაფართოვდა მთაზე ასასვლელი ბილიკიც. მთაწმინდის პარკის პირველი პროექტი შეადგინა ცნობილმა მოსკოველმა არქიტექტორმა **მ. გინზბურგმა.** პლატოს წარბზე ნაგულისხმევი იყო საზოგადოებრივი შენობების ვრცელი კომპლექსის შექმნა, სადაც ვერტიკალურ აქცენტს სვამდა მაღალ კვარცხლბეკზე დაყენებული დიდი ზომის შოთა რუსთაველის ძეგლი. შემდგომში პარკის მშენებლობა განხორციელდა არქიტექტორების **ზაქარია და ნადეჟდა ქურდიანების** პროექტით. დენდროლოგია დაამუშავა **ნელი ციციშვილმა.** 1938 წელს დასრულდა

ახალი ზედა სადგურის მშენებლობა (არქიტექტორები **ზ. და ნ. ქურდიანები, ა. ვოლობუევის მონაწილეობით).**

საკუთრივ სადგურისა და სამანქანო ჩაწილის გარდა შენობაში განთავსდა რესტორანი, ბიბლიოთეკა, საბილიარდო. შენობა მთის სწვრივიდან 15 მეტრის დაცილებით დგას. მისი მთავარი ელემენტია ფართო, სინათლით გამსჭვალელი მეორე სართულის ტერასა, რომელიც აერთიანებს ქალაქისაკენ მოქცეულ ფასადს და გვერდით ფრთებს. ტერასა შემოფარგლულია მაღალი, ტანწერწეტა სვეტნარზე დაყრდნობილი თაღებით და გადახურული აჟურული, გამჭვირვალე ჭერით. შენობა მთლიანად სიმსუბუქის შთაბეჭდილებას ტოვებს და ბაღ-პარკული ნაგებობის შესანიშნავი ნიმუშია. იგი შეტანილია ახალი დროის ... თა რიცხვში, რომლებიც კულტურის ძეგლებად არიან აღიარებული.

1970 წელს შესამჩნევად გადაკეთდა შენობის ინტერიერები. ახალი ინტერიერების ავტორები არიან შენობის ავტორების ვაჟიშვილი **ა. ქურდიანი,** მხატვრები **ნიკოლოზ იგნატოვი** და **ლ. ქურდიანი.** 1957 წლის იანვარში შენობის გვერდით დაიდგა სატელევიზიო ანძა, რომლის ვერტიკალმა გააწონასწორა სადგურის შენობის თარაზული განვრცობადობა და ზომიერად „ჩაეწერა" გარემოცვაში. 1974 წ. მის ადგილზე დაიდგა 274 მეტრის სიმაღლის ასიმეტრული სატელევიზიო კოშკი, რომელმაც საზოგა-

---

SOS

● **დაკვირვებებმა ცხადჰყვეს რომ მთვარის ზედაპირისა და დედამიწის ტექტონიკურ მოვლენებს შორის არსებობს ისეთი კავშირი თითქოს მთვარე დამოუკიდებელი ზეციური სხეული კი არ არის არამედ დედამიწის ერთ-ერთი მატერიკი: ხდება თუ არა მიწისძვრა დედამიწაზე, მეორე დღეს მთვარეზე მკაფიოდ შეიმჩნევა აირების ნათება.**

● **იაპონიამ 1923 წელს დიდი მიწისძვრა გადაიტანა. მაშინ ტოკიოში დაიღუპა ასორმოცდაათი ათასი კაცი. ეს ახსოვთ იაპონელებს და ამიტომ შიშით ელიან მის განმეორებას. ელიან და სათანადოდ ემზადებიან. 1976 წლის ივლისში ტოკიოში ატარებდნენ მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო საერთო საქალაქო მეცადინეობას. ყველაფერი სინამდვილეს წააგავდა: სასწრაფო დახმარების ბრიგადები, საავადმყოფოების მორიგეობა, ღია ცის ქვეშ პირველი დახმარების აღმოჩენა, მაშველთა რაზმების სინქრონული მოქმედება. „დაზარალებულების" ჰოსპიტლებში გადაყვანა. ამ მიზნით მობილიზებული იყო ოცდათვრამეტი ათასი პოლიციელი, ასობით მანქანა, ვერტმფრენები. და უცბად მოხდა დაუჯერებელი ამბავი: როცა მეცადინეობა დასასრულს უახლოვდებოდა კუნძულ ხონსიუს ცენტრი მიწისქვეშა დარტყმამ დააზანზარა. მსხვერპლი არა ყოფილა — სტიქიის ვერაგობას იაპონელები მომზადებულნი შეხვდნენ. მეცადინეობა მიწისძვრასთან ნამდვილ ბრძოლაში გადაიზარდა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აი, ასეთი იყო ფუნიკულიორის ძველი სადგური. მისმა პირვანდელმა სახემ ჩვენ დრომდე ვერ ვერ განიცადა სახეცვლილება. ეს უნიკალური ტრანსპორტი დღესაც ერთგულად ემსახურება დედაქალაქის მკვიდრთ და მის მრავალრიცხოვან სტუმრებს.

დოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. 1971 წელს შეიცვალა ქვედა სადგურის შენობაც. მონოლითურ რკინაბეტონში ამოყვანილი, თანამედროვე ფორმების ნაგებობის ავტორია **გ. ბათიაშვილი,** მთავარი ფასადის ვიტრაჟი შესრულებულია მხატვარ **ვ. ქორქიაშვილის მიერ.**

თბილისის ფუნიკულიორი კულტურის მნიშვნელოვანი ძეგლია, როგორც თავის დროის შესანიშნავი საინჟინრო მიღწევა, როგორც საინჟინრო და არქიტექტურული ნაგებობის თვალსაჩინო კომპლექსი და, ბოლოს, როგორც თბილისის იერის ისტორიული, განუყოფელი შემადგენელი.

თენგიზ კვირკველია,
არქიტექტორი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ასე იწყებოდა ქუთაისი

ქუთაისისა და მისი მიდამოების არქეოლოგიური შესწავლის ძირითადი ეტაპები

ქუთაისისა და მისი შემოგარენის არქეოლოგიური ძეგლები თანმიმდევრულად ასახავენ ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფეხურებს ქვედა პალეოლითიდან მოკიდებული ფეოდალური ხანის ჩათვლით. ფიზიკურ-გეოგრაფიული პირობები აქ ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა უძველესი დროიდან მოსახლეობის წარმოშობისა და მეურნეობის სხვადასხვა დარგების ჩასახვა-განვითარებისათვის.

მნიშვნელოვან სახმელეთო და სამდინარო გზათა შესაყარზე მდებარეობა ქუთაისსა და მის მიდამოებს ინტენსიურ სავაჭრო-ეკონომიკურ ურთიერთობათა ცენტრში აქცევდა, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქუთაისის, როგორც სავაჭრო-სახელოსნო ცენტრის, აღმოცენებასა და იქ საქალაქო ცხოვრების დაწინაურებას ძვ. წ. I ათასწლეულის II ნახევარში.

პირველი ცნობები ქუთაისის შესახებ გვხვდება უკვე ბერძნულ და ბიზანტიურ წერილობით წყაროებში. გარკვეულ ცნობებს ვხვდებით შუა საუკუნეების ქართულ წყაროებში და მომდევნო ხანის ქართველ და უცხოელ მკვლევართა ნაშრომებში.

წერილობითი წყაროების სიმცირის გამო, ბუნებრივია, ქუთაისის უძველესი ისტორიის შესწავლა არსებითად მხოლოდ არქეოლოგიური მასალებით არის შესაძლებელი.

ქუთაისი და მისი მიდამოები ადრიდანვე იპყრობდა მკვლევარ-არქეოლოგთა ყურადღებას. ცნობილია, მაგალითად, რომ ჯერ კიდევ XIX საუკუნის 40-იანი წლებიდან მოკიდებული,

წყალწითელას ხეობის კარსტული მღვიმეებით არაერთხელ დაინტერესებულან უცხოელი მკვლევარ-მოგზაურები (დიუბუა დე მონპერე, ერნსტ ფავრი), 80-იან წლებში ქუთაისის მიდამოების პალეოლითური ძეგლების ძიება უწარმოებიათ რუს მკვლევარებს (ჩერნიავსკი, შტეინი, პოლიაკოვი, კომაროვი). XIX საუკუნის 80-იან წლებში ბაგრატის ტაძრის მიდამოებში არქეოლოგიური სამუშაოები ჩაუტარებია ქუთაისის გიმნაზიის დირექტორს მხარეთმცოდნესა და ენთუზიასტ-არქეოლოგს ა. სტოიანოვს. ცნობილია გ. წერეთლის გამოსვლა სრულიად რუსეთის V არქეოლოგიური ყრილობის მოსამზადებელი კომიტეტის სხდომაზე 1880 წლის 18 ნოემბერს, სადაც მას გამოუთქვამს დასაბუთებული აზრი ქუთაისის არქეოლოგიური გამოკვლევის მნიშვნელობის შესახებ. ამავე ხანებში არქეოლოგიურ მასალებს თავი უჩენია ჭოგნარში „ნასაჯვარების“ ბორცვზე, ბარონ დე-ლონგეილის მამულში. კოლექცია აქ ნაპოვნი არქეოლოგიური ნივთებისა (რკინის ისრისპირები, ვაზის სასხლავი დანა, ბრინჯაოს ზანზალაკი, ქალცედონისა და ლურჯი მინის მძივები, კერამიკული ფრაგმენტები, მათ შორის ძვ. წ. V ს. შავლაკიანი ჭურჭლის ფრაგმენტები და ძვ. წ. VI ს-ის მეორე ნახევრის იონური კერამიკის ერთი ფრაგმენტი) ბარონესა დელონგეილს მიუცია ტ. ი. ბელენკისათვის, ამ უკანასკნელს კი V არქეოლოგიური ყრილობისათვის გადაუცია.

1914 წ. წყალწითელას ხეობაში ორი მღვიმე აღმოუჩენია გერმანელ არქეოლოგს რ. შმიდტს. ერთ-ერთი ამ მღვიმეთაგანი („ვირხოვის“) მას გაუთხრია და იქ ზედა პალეოლითური მასალები მოუპოვებია. „ვირხოვის“ („საკაჟიას“) მღვიმის აღმოჩენას იმ დროისათვის უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა, ვინაიდან აქ მოპოვებული მასალებით პირველად დადასტურდა პალეოლითის არსებობა კავკასიაში და, კერძოდ, საქართველოში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველ ხანებში უცხოელ მკვლევარ-მოგზაურთა თუ პირველ არქეოლოგთა მიერ წარმოებულ კვლევა-ძიებასა და არქეოლოგიურ გათხრებს აქ უფრო შემთხვევითი და არა სისტემატური ხასიათი ჰქონდა. ჯერ კიდევ ქუთაისის მუზეუმის დაარსების პირველი წლებიდანვე მის სამუშაო გეგმაში გათვალისწინებული იყო საარქეოლოგიო „ექსკურსიებისა“ და გათხრების წარმოება სამეცნიერო დაწესებულებათა მთავარ სამმართველოს ნებართვით. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქივში დაცულია საბუთი მუზეუმის 1923 წლის ხარჯთაღრიცხვის შესახებ. ხარჯთაღრიცხვის მესამე პუნქტი ითვალისწინებდა: მუზეუმმა, როგორც ახალმა სამეცნიერო დაწესებულებამ, მთელ ოთხ მაზრაში (ქუთაისის, შორაპნის, რაჭის, ლეჩხუმის) სიძველის დაცვის და მოგროვების გარდა, ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საარქეოლოგიო ექსკურსიებს, რომლის მიზანიც ჰქონება საისტორიო ნაშთების აღწერა, გადახატვა, საბუთების ანუ მიწაყრილების (курганы) გათხრა, რისთვისაც საჭიროა სამგზავრო ხარჯები და თანხა ხელსაწყოს შესაძენად. მართლაც, 1923 წელს მუზეუმს ცოტაოდენი თანხის გაღებით მოუხდენია მცირე არქეოლოგიური გათხრა ქუთაისის ციხის სამხრეთ-დასავლეთ კოშკის ძირას, რის შედეგად აღმოჩენილა რამდენიმე თიხის ჩიბუხი და მოჭიქული კერამიკის ფრაგმენტები ფეოდალური ხანისა.

20-იან წლებში ქუთაისში არქიელის გორაზე, ე. წ. ცაცხვების ქუჩაზე, მიწის სამუშაოების დროს თავი იჩინა

ადრეანტიკური ხანის ორმოსამარხებმა. ამ სამარხების სამარხეული ინვენტარი, (რომელიც შეუგროვებია და ქუთაისის მუზეუმში წარმოუდგენია მხარეთმცოდნე პეტრე ჭაბუკიანს), ტიპური კომპლექსია ადრეანტიკური ხანის დასავლეთ საქართველოს ძეგლებისათვის, რომლებზედაც დასტურდება სამარხებში მრავალფეროვანი სამეურნეო და საომარი დანიშნულების საგნების ჩატანების ფაქტი, რაც რკინის წარმოების ფართო მასშტაბების განსაკუთრებით მნიშვნელოვან მოწმობად ითვლება.

1924—1932 წწ. პეტრე ჭაბუკიანმა ქუთაისის ტერიტორიაზე მიაკვლია „თეთრამიწის“ ძეგლს და შეაგროვა იქ ქვის იარაღთა კოლექცია. „თეთრამიწა“ მრავალფენიანი ძეგლია. იქ მოპოვებული კაჟისა და ქვის იარაღები მოიცავენ ქვედა პალეოლითის, ნეოლითისა და ენეოლითის ხანას. მანვე აღნუსხა ქუთაისის მიდამოების ხელოვნური გორაკები, რომლებსაც იგი „ყორღანებს“ უწოდებდა.

1933 წელს ჭოგნარში „ნასაჯვარების“ ბორცვებზე დაზვერვები ჩაატარა მოსკოვის სახელმწიფო ისტორიული მუზეუმის ექსპედიციამ ე. კრუპნოვის ხელმძღვანელობით. აქ მოპოვებული ძვ. წ. I ათასწლეულის კერამიკული მასალა ინახება მოსკოვის სახელმწიფო ისტორიულ მუზეუმში.

1934 წელს მდ. წყალწითელას ხეობის მღვიმეები მოუხილავს ს. ნ. ზამიატნინს, რომელიც სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ანთროპოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დავალებით აწარმოებდა პალეოლითის დაზვერვითს კვლევას ამიერკავკასიაში. მან ვირხოვის („საკაჟიას“) მღვიმე მიაკუთვნა სოლუტრესა და ადრე მადლენის ხანას.

1936 წელს აღნიშნული მღვიმე ხელახლა გათხარა პროფესორმა ნ. ნიორაძემ და იგი გვიანი ორინიაკისა და ადრე სოლუტრეს ხანით დაათარიღა. მღვიმეს გ. ნიორაძემ „საკაჟია“ უწოდა.

1937 წელს არქეოლოგმა გ. ივაშჩენკომ, კულტურის ძეგლთა დაცვის განყოფილების დავალებით, გათხარა ელინისტური ხანის ქვევრსამარხები ფარცხანაყანევში, მანვე აღნუსხა ქუთაისის მიდამოებში 12 გორაკი, რომლებსაც იგი ყორღანებს უწოდებდა, ხოლო მათ ერთ ნაწილს ნამოსახლარებად თვლიდა.

1944 წელს მდ. რიონის ქვემოწელზე ძველ მოსახლეობათა დაზვერვა აწარმოეს ნ. ხოშტარიამ და ი. გძელიშვილმა. ქუთაისის მიდამოებში ნ. ხოშტარია ასახელებს ბუნებრივ ბორცვებზე განლაგებულ ძველ ნამოსახლარებს (ს. ჭოგნარი, საღორია).

1949 წელს ჭოგნარში „ფარნალის გორაზე“ გვიანი ბრინჯაოს ხანის მასალები შეკრიბა არქეოლოგმა გ. ლომთათიძემ.

1946 და 1951 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა სამარშრუტო ექსპედიციამ, რომელსაც ბ. კუფტინი ხელმძღვანელობდა, დაზვერვები ჩაატარა „თეთრამიწაზე“, ს. ხომულის მღვიმე „საწვეთელაში“, პატრიკეთსა და ბანოჯის „ნაციხვარზე“. ექსპედიციამ გამოიკვლია მდ. რიონის შუა წელზე მარჯვენა სანაპირო ზოლი გუმათიდან ბაშამდე და აღნუსხა იქ არსებული საცხოვრებელი ბორცვები.

1954 წელს პროფესორმა ალ. კალანდაძემ ს. ფარცხანაყანევში გათხარა ე. წ. რეხისტყის ელინისტური ხანის საძაროვახი (ქვევრსაძარხები). საძარხეული ინვენტარი მძივ-სამკაულებისა და კერამიკული ჭურჭლის სახით

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთლიანად ინახება ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიულ მუზეუმში.

1960 წელს ქუთაისის მიდამოების ზოგი ხელოვნური გორაკი („გორიკა") აღნუსხა და მათი შესწავლის აუცილებლობა აღნიშნა აკადემიკოსმა ნიკო ბერძენიშვილმა.

1960—1962 წწ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ნ. ზ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით გათხარა მდ. წყალწითელას ხეობაში მდებარე ორფენიანი მღვიმე „ჭახათი". I კულტურული ფენა მან მეზოლითის ადრინდელი საფეხურით ე. წ. აზილის ხანით დაათარიღა, ხოლო მეორე კულტურული ფენა გვიანი მუსტიეს ხანას მიაკუთვნა.

1963—1965 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიისა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაერთიანებულმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ პროფესორ ოთარ. ლორთქიფანიძის ხელმძღვანელობით დაზვერვითი არქეოლოგიური გათხრები ჩაატარა ქუთაისსა და მის მიდამოებში. ექსპედიციამ შეადგინა ქალაქისა და მისი შემოგარენის დაწვრილებითი არქეოლოგიური რუკა და გათხრები აწარმოა ჰოგნარისა და ქუთაისის ბუნებრივ გორაკებზე. მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქალაქის გორაკ-ბორცვიან ნაწილში, ე. წ. გაბაშვილის გორაზე ექსპედიციამ მიაკვლია ძვ. წ. VIII—VII სს ნამოსახლარის ბაზაზე აღმოცენებულ ადრეანტიკური ხანის ვრცელ დასახლებას რკინის წარმოების ნაშთებითურთ.

1961—1968 წწ. წყალტუბოს ზონის სოფლებში უკანეთში, მესხეთში, ფარცხანაყანევში, მაღლაკში, ქვიტირში, ოდილაურში, მუხიანში ადგილი



სურათებზე: ძველი გავაზი რესტავრაციამდე (მარცხნივ) და რესტავრაციის შემდეგ.

ჰქონდა ელინისტური ხანის ქვევრსამარხების შემთხვევით აღმოჩენებს. ქვევრსამარხთა სამარხეული ინვენტარი შეაგროვეს ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის მეცნიერ მუშაკებმა. აღსანიშნავია, რომ უკანეთსა და მუხიანში ქვევრსამარხთა აღმოჩენის ეს პირველი შემთხვევა იყო.

1968—1969 წწ., პალეოლითური ძეგლების ძიების მიზნით, ქუთაისის ჩრდილო-დასავლეთ შემოგარენში ნ. ზ. ბერძენიშვილის ხელმძღვანელობით მოეწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის დაზვერვითი არქეოლოგიური ექსპედიცია, რომელშიც სხვადასხვა დროს მონაწილეობდნენ პ. ჭაბუკიანი, ლ. სახაროვა, მწერალი გ. დოჩანაშვილი და ლ. ჯიქია. დაიზვერა თეთრამიწისა და მელოურის (წყალტუბოს ზონა) მიდამოები. მცირე საცდელი გათხრა მოეწყო მღვიმე „საწვეთელაში" (ს. ხომული).

1970—1971 წწ. ქუთაისის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის არქეოლოგიურმა განყოფილებამ ქუთაისის შემოგარენში ჩაატარა არქეოლოგიური გასვლები ხელოვნური ნამოსახლარი ბორცვების — „გორიკების" გამოვლენის, აღნუსხვისა და შემდგომი არქეოლოგიური შესწავლის მიზნით. მოვიხილეთ ქუთაისის სამხრეთით, სამხრეთ-დასავლეთითა და დასავლეთით მდებარე სოფლები: გეგუთი, პატრიკეთი, ტყაჩირი, საყულია, ოფშკვითი, ფარცხანაყანევი, ქვიტირი, მაღლაკი. მოვიხილეთ ადრე ცნობილი „გორიკები" საყულიაში, პატრიკეთში, კოპიტნარში, ფარცხანაყანევში. ჩვენს მიერ გამოვლენილი იქნა მანამდე უცნობი „გორიკები" ფარცხანაყანევის ტერიტორიაზე („საბზიალო" და ერთიც უსახელო გორიკა).

ქუთაისის შემოგარენის ზოგი „გორიკის" ჭრილში და ზედაპირულად გამოვლენილი მასალები (საყულია) იქ ნამოსახლარის არსებობას გვავარაუდებინებდა, თუმცა ამ გორიკის წვერთან თავის დროზე აღმოჩენილა ნივთები, რომლებიც, ჩვენი აზრით, სამარხის ნაშთს უნდა წარმოადგენდეს. „გორკის" ირგვლივ ტერიტორიაზე აღმოჩნდა წინარეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკული ფრაგმენტები, ხოლო თვით ბორცვზე ჭრილში ჩანდა ბათქაშების ნახშირიანი ფენა. ხელახლა, 1970 წელს ჩვენთან ერთად პატრიკეთის „გორიკა" მოიხილეს პროფესორმა ოთარ ლორთქიფანიძემ და არქეოლოგმა ბ. მჭედლიშვილმა.

1971-1977 წწ. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ვარდციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობით რამდენჯერმე დაზვერა პატრიკეთის „გორიკა" და საცდელი თხრილები გაავლო „გორიკასა" და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. გამოვლენილი მასალები სხვადასხვა ხანას განეკუთვნება, გვიანი ბრინჯაოს ადრეული ხანიდან მოკიდებული ვიდრე ფეოდალური ხანის ჩათვლით. 1976 წელს იმავე ექსპედიციამ პატრიკეთში გამოავლინა და გათხარა V ს-ის აბანოს ნაშთი.

1973 წლიდან ისტორიის ინსტიტუტის წყალწითელას ხეობის ქვისხანის შემსწავლელი ექსპედიცია (ხელმძღვანელი მ. ნიორაძე) გათხრით და დაზვერვით სამუშაოებს აწარმოებს მდ. წყალწითელას ხეობაში. ექსპედიციის მიერ ფიქსირებულია მრავალი მღვიმე და ფარდული. ახლად აღმოჩენილი მასალების საფუძველზე „საკაჟიასა და „ორთვალას" მღვიმეებში დადასტურებულია ქვედა პალეოლითური, კერ-

ძოდ მუსტიეური კულტურული ფენების არსებობა. ეს ფენები იმ დროის კულტურულ ნაშთებსა და ნეანდერტალოიდის ზედა ყბის ფრაგმენტს შეიცავს, რაც მ. ნიორაძის აზრით, მნიშვნელოვან ფაქტს წარმოადგენს საქართველოსა და კავკასიის არქეოლოგიაში.

1974 წლიდან ისტორიის ინსტიტუტის ქვისხანის შემსწავლელი ექსპედიცია გათხრებს აწარმოებს წყალტუბოს ზონის ქვისხანის ძეგლებზე (ხელ-ლი კ. კალანდაძე). შესწავლილია ს. ხომულის „თეთრი მღვიმე", „საწურბლია", „ჩხორთოლი" და სხვა. აღსანიშნავია, რომ „თეთრი მღვიმის" უკანასკნელი ხანების გათხრების შედეგად იქ აღმოჩენილია წინა მუსტიეური ხანის მასალაც.

1981—1982 წწ. არქეოლოგიური კვლევის ცენტრის ვარციხის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ ვ. ჯაფარიძის ხელმძღვანელობითა და ქუთაისის მუზეუმის თანამშრომლების მონაწილეობით დაზვერვები ჩაატარა წყალტუბოს ზონის ს. მაღლაკის „ნაციხვარევის" გორიკებზე და გამოავლინა იქ ადრეანტიკური და ელინისტური ხანის კერამიკული მასალები, აგრეთვე აწარმოა გათხრები წულუკიძის რაიონში ნამაშევის ციხეზე, რომლის ნაშთები V საუკუნით დაათარიღა.

ამ ბოლო წლებში ქუთაისისადმი გაძლიერებული ინტერესის მაუწყებელია ის ფაქტი, რომ 1984 წლიდან ქალაქისა და მისი შემოგარენის ტერიტორიაზე დაიწყო არქეოლოგიური გათხრები. გათხრები ერთდროულად დაიწყო და მიმდინარეობდა სხვადასხვა უბანზე: გაბაშვილის გორაზე, არქიელის გორაზე — ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე, რიონჰესის დასახლების ტერიტორიაზე და გელათში დავითის კონცხზე. გაბაშვილის გორაზე წარმოებულმა გათხრებმა სავსებით დაადასტურა ქუთაისის I არქეოლოგიური ექსპედიციის კვლევა-ძიების შედეგები. ანალოგიური მასალები გამოვლინდა

გამოყენებული ლიტერატურა

1. გაზ. «Кавказ», № 268, 1881.
2. Г. Церетели, Заметки о курганах Рионской низменности. Протоколы подготовительного комитета V археологического съезда в Тифлисе, М., 1881. стр. 73.
3. გ. წერეთელი, დასახ. ნაშრომი, გვ. 488—495. Стоянов, Насаджвареби, газ. «Кавказ», № 80, 1881.
4. ქუთაისის მუზეუმის არქივი, საბუთი № 45.
5. ქუთაისის მუზეუმის არქივი, საბუთი № 76.
6. Е. И. Крупнов, С. Э. № 3. 1934, стр. 109.
7. ГИМ, Кавказ, Зап. Грузия 63/47б, инв. № 75943
8. С. Н. Замятнин, С. Э. № 2, 1935, стр. 120.
9. გ. ნიორაძე, ქვისხანის ადამიანი საკაჟიას გამოქვაბულში, თბ., 1953.
10. М. М. Иващенко, Кувшинный могильник в Западной Грузии, СА, XIII. 1950, მ. ივაშჩენკოს საველე აღწერილობა და წინასწარი ანგარიში, ქუთაისის მუზეუმის არქივი, საქმე № 387.
11. ნ. ხოშტარია, კოლხეთის დაბლობის ძველი მოსახლეობანი და მათი შესწავლის პრობლემა; ი. გძელიშვილი, კოლხეთის დაბლობის ძველ მოსახლეობათა არქეოლოგიური გათხრების მეთოდიკისათვის, ს მ ა მ, ტ. VI, № 6, თბ., 1945.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიონჰესის დასახლების ტერიტორიაზე მდებარე „სარბევისა“ და „ციხია-გორას“ ბორცვებზე. გელათში დავითის კონცხზე გამოვლენილი კერამიკული ფრაგმენტები და რკინის საომარი იარაღები ფეოდალური ხანისაა. ამჟამადაც გრძელდება გათხრები ქუთაისის ციხის ტერიტორიაზე, სადაც გამოვლენილია ლაზთა მეფის სასახლის ნაშთები, V საუკუნის არქიტექტურული კომპლექსები, ფეოდალური ხანის დიდი ქუთაისის საქალაქო დასახლების კომპლექსი. აღნიშნული გათხრები, რომელსაც დოც. ო. ლანჩავა ხელმძღვანელობს დიდ მეცნიერულ და ფართო საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს და მომავალშიც ახალი მნიშვნელოვანი აღმოჩენების იმედს სახავს.

ლონდა ჯიქია.

თბილისი. მთაწმინდა

---

12. ოთ. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი, თბ., 1966, გვ. 43.

13. Б. А. Куфтин, Археологическая маршрутная экспедиция в бассейнах рек Лиахви, Троне, Квирилы и среднего Риона в 1951 г. ЬЬмм XXX-В, 1974, გვ. 145.

14. ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, VIII, თბ., 1975, გვ. 448—462.

15. ნ. ზ. ბერძენიშვილი, ქვისხანის ახალი ძეგლი წყალწითელას ხეობაში, თბ., 1964.

16. ო. ლორთქიფანიძე, ქუთაისსა და მის მიდამოებში 1963—1965 წწ. ჩატარებული არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგები, მოხსენებათა ანოტაციები, თბ., 1964—1966 წწ.

17. ლ. ჯიქია, ანტიკური ხანის მასალები ქუთაისის მუზეუმში, ქუთაისის მუზეუმის „მასალები“, II, თბ., 1972, გვ. 22—27.

18. ლ. ჯიქია, ქუთაისის მიდამოების „გორიკები“, გაზეთი „ქუთაისი“, 1971, 5/III.

19. В. Джапаридзе... Отчет о работе Вардцихской археологической экспедиции в 1974, 1976, 1977 годах, ПАИ, Тб., 1976, 1979, 1980 гг.

20. გ. ნიორაძე, წყალწითელას მღვიმეებში, გაზეთი „კომუნისტი“, 1976 წ. 16/I.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარად ჭაბუკი უხუცესი

გელათის მონასტერში XIX საუკუნეში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების ქრონიკები

გელათის მონასტერს — საქართველოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს რელიგიურ და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრს — დაარსებიდან (12 ს.) არ მოჰკლებია ქართველ მეფეთა, საერო თუ სასულიერო პირთა დიდი ყურადღება. სხვა მიზეზებთან ერთად, ამანაც განაპირობა გელათის მონასტრის შედარებით დაუზიანებლად და თავდაპირველი სახით მოღწევა ჩვენამდე. უკანასკნელად აქ დიდ აღდგენა-განახლებაზე უზრუნია იმერეთის მეფე სოლომონ პირველს (1756—1784 წწ). რუსეთიდან ჩამოტანილი რკინის ფურცლებით გადაუხურავს ღვთისმშობლის სახელობის მთავარი ტაძარი, შიგნით დაუგია ახალი ქვის იატაკი, აღუდგენია გალავანი...

1810 წელს იმერეთის სამეფოს რუსეთთან შეერთებამ ათი წლის შემდეგ და იმერეთში საეკლესიო რეფორმის გატარებამ გელათის მონასტრის უსახსრობა და დასუსტება გამოიწვია, იგი ფეოდალური სენიორიიდან საეკლესიო შტატის დაწესებულებად იქცა. ახალ უფლებებში ყოფნა მონასტერს გარეგნულადაც დაეტყო — ეკლესიები და სხვა შენობები დაძველებულნი და ავად შესახედავნი შეიქმნენ. ამას ადასტურებს გელათის მონასტრის არქიმანდრიტ ნიკოლოზის 1829 წლის 15 ივნისის წერილი იმერეთის არქიეპისკოპოსის სოფრონისადმი: „გელათის მონასტერი არის სრულიად დარღვევისა და დაქცევის შინა განსვენებულის გაენათლის **ეფვთიმის** (მიტროპოლიტი ექვთიმე — გელათის ეპარქიის უკანასკნელი მმართველი, 1820 წლის მარტში იმერეთის აჯანყებაში მონაწილეობისათვის გადაასახლეს რუსეთში — მ. კ. გაყვანის შემდგომიდან არცა ჯანგარი, არცა ზეთი არ წასმია სახურავს მონასტრისას და წვიმისაგან არის სრულიად ერთიანად დახვრეტილი, და შიგ ეკლესიაშიდ (ღვთისმშობლის სახელობის ტაძარი—მ. კ.) ჩასდის წყალი და ეგრეთვე სამწირველოებშიც, და ერთიანათ არს უკანასკნელს დაოხრებაშიდ, ხოლო შენობაში დიდი პალატი (აკადემიის შენობა — მ. კ.), დავით აღმაშენებლის სასაფლავო, მაცხოვრის კარი და დიდი კარი, და ეგრეთვე სახლის შენობანი იქცევიან უსახურავობით“. **ამ წერილის დაწერიდან ზუსტად 15 წელიწადი გავიდა, სანამ რუსეთის უწმინდესი სინოდის საქართველო-იმერეთის კანტორა გელათის მონასტერში დიდ სარემონტო სამუშაოებს შეასრულებდა.** ამ 15 წელიწადში კი ბევრი რამ საბოლოოდ განადგურდა, ყველაზე სამწუხარო იყო დიდი პალატის (აკადემიის შენობის) კამაროვანი ქვის სახურავის ჩაქცევა, რაც შემდეგ აღარასოდეს აღდგენილა.

სანამ გელათის მონასტერში ზე-

მოხსენებული სარემონტო სამუშაოები ჩატარდებოდა (1846 წ.), მანამდე 1837, 1840 და 1843 წლებში, აქ ზოგი რამ დროებით შეაკეთეს. 1837 წლის სექტემბერში კავკასიაში უნდა ჩამოსულიყო რუსეთის იმპერატორი ნიკოლოზ I. მეფე ქუთაისსა და გელათსაც უნდა სწვეოდა. გადაწყდა ისტორიული ძეგლების შეკეთება-გამშვენიერება. უწმინდესი სინოდის საქართველო — იმერეთის კანტორამ ქუთაისში და გელათში მიავლინა თავისი არქიტექტორი რიპარდი. რიპარდმა შეამოწმა მონასტრის ნაგებობანი და შეადგინა 13146, 45 მანეთის (ვერცხლით) ღირებულების სამუშაოების ხარჯთაღრიცხვა. უდროობისა (იმპერატორის ჩამოსვლამდე სამიოდე თვე რჩებოდა) და უფულობის გამო, აღნიშნული სამუშაოების მხოლოდ მცირედი ნაწილი შესრულდა, კერძოდ, გელათის, მონასტრის წმ. გიორგის ეკლესიის დასავლეთი მინაშენი გადაიხურა კრამიტით, კარიბჭე და თვით ეკლესია შიგნით შეათეთრეს კაცის სიმაღლეზე და დააგეს ახალი ქვის იატაკი.

თუ რამდენად მცირე იყო 1837 წელს ჩატარებული სამუშაოები და რა მდგომარეობაში იყო მონასტრის ნაგებობანი, კარგად ჩანს „გაენათის მონასტრის გამგებლის იღუმენ სიმეონის“ პატაკში იმერეთის არქიეპისკოპოსის სოფრონისადმი: **„ამა მონასტერსა შინა არს ეკლესია წმინდისა გიორგისა, რომელიცა სრულიად გაშიშვლდა დაუხურაობისა გამო და სწვიმს შიდ და უხდება კედლები, ეგრეთვე საარხიმანდრიტო სახლები და ოთახები სრულიად გარდაცარცვილ არიან და შესაძლო არ არის რომ ამა მომავალს ზაფხულისათვის არ დაიხუროს და აგრეთვე საზეთე პალატი და სხვა პალატებიც და ტოგნებიც უნდა გარდიხუროს ყველანი, უკეთუ ინებებს თქვენი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა დროზედ განკარგულებას თორემ დაირღვევა და დაიქცევა“** პატაკი დათარიღებულია 1839, წლის 6 თებერვლით. 1940 წლის ზაფხულში აქ ჩამოთვლილი სამუშაოებიდან ზოგიერთი ნაწილობრივ შესრულდა: შეკეთდა დიდი ტაძარი, წმ. გიორგის ეკლესია გადაიხურა ყავრით, ყავრითვე გადაიხურა სხვა სახლებიც.

გელათის მონასტრის მდგომარეობა ამის შემდეგაც საგანგაშო რჩებოდა.

ეპისკოპოსმა ნიკიფორემ მონასტრის ასეთი მდგომარეობა უწმინდესი სინოდის საქართველო — იმერეთის კანტორას აცნობა, საიდანაც უპასუხეს: იმის გამო, რომ არქიტექტორ რიპარდს სხვადასხვა საქმეების გამო არ შეუძლია გელათში წასვლა, ამიტომ იქნებ ადგილზევე ნახოთ ვინმე ისეთი პიროვნება, რომელიც, თუ შესაძლებელი იქნება, ისე შეაკეთებს დიდი ტაძრის სახურავს, რომ 2—3 წელი წვიმა არ ჩავიდესო. ასეთი პიროვნებები სულ მალე იპოვეს. ესენი იყვნენ **სოფელ კურსებში მცხოვრებნი საეკლესიო გლეხები: ლევან, მიქელა, მოსე, ივანე, და დავით ბერეკაშვილები, სვიმონ და ბასილა უკლებები და ბასილა ბეროძე,** რომლებიც გასამრჯელოდ ითხოვდნენ 270 მანეთს და იძლეოდნენ ორი წლის გარანტიას. კონტრაქტის პირობები შესრულებული იქნა, ოღონდ ერთი დარღვევით, გარანტია ერთწლიანი გამოდგა, ტაძარში კვლავ ჩადიოდა წყალი.

1845 წლის 22 დეკემბრის ბრძანებით, უწმინდესი სინოდის ნებართვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

სურათზე: გელათის ტაძარი.

თანახმად, საქართველო-იმერეთის კანტორამ გადაწყვიტა გელათის მონასტრის საფუძვლიანი შეკეთება, რისთვისაც გამოყო 7100 მან და 85 კაპ. ვერცხლით.

1846 წლის 19 აპრილს ჩასატარებელი სამუშაოების სახელმძღვანელოდ და სამეთვალყურეოდ იმერეთის ეპარქიის მმართველობასთან შეიქმნა სპეციალური კომიტეტი გელათის მონასტრის არქიმანდრიტ სვიმონის თავმჯდომარეობით. მონასტრის შენობები იხურებოდა თუნუქით. შეკეთებისათვის საჭირო მასალების ადგილზე მიტანასთან ერთად, თუნუქის დამხურავი ოსტატიც იქნა ჩამოყვანილი, — **ივანე სტეფანეს ძე კრასოვი** — ორლოვის გუბერნიის ქალაქ ლინევიიდან, მიზეზი მოწვევისა გახდა ის, რომ „მთელს ქუთაისის უეზდში არ იპოვებოდა დამხურავი თუნუქის.

1846 წლის 6 სექტემბერს კრასოვს, თავის მოყვანილ ორ მუშასთან ერთად, დაუწყია დიდი ტაძრის გადახურვა, რომელიც 10 ნოემბრისათვის დაუსრულებია. ამავე თვეში ტაძარი კიდეც გადაუღებიათ. 1847 წლის თებერვლისათვის მთელი სამუშაო ძირითადად დასრულდა: გადაიხურა წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიები, სამრეკლო. სულ მალე სახურავები მწვანედ გადაღებეს, მოავარაყეს წმ. გიორგის ეკლესიის ჯვარი, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაკეთდა მოაჯირი, დიდ ტაძარში გადაღებეს კანკელის კარები, შეიღება ჯვრები წმ. ნიკოლოზის ეკლესიის და სამრეკლოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუმბათებზე, წმ. ნიკოლოზის ეკლესიაში გაკეთდა ფანჯარა.

შეკეთების სამუშაოები ხარისხიანად ჩატარდა. მასალის დიდი ნაწილი რუსეთიდან მოუტანიათ „ქუთაისელ მოქალაქე“ **„სტეფანე აკოფოვს და მის „ვექილს“ ნიკო ნიკოლაძის მამას იაკობს. როგორც აღვნიშნეთ, თუნუქით** გადახურვის სამუშაოები **ივანე კრასოვმა** შეასრულა, თუნუქის გადაჭედისათვის საჭირო ხის სამუშაოები „დალარძაყინება-გადაფიცრა“ კი კურსებელმა „ქვის და ხის ხუროებმა“ **ბერეკაშვილებმა, ბეროძეებმა, უკლებებმა, ქაშიბაძეებმა და აბესაძეებმა.**

1846 წელს ძირითადად ტაძრები და სამრეკლო შეკეთდა (თანაც მხოლოდ გადახურვით), სხვა ნაგებობები არ შეუკეთებიათ. ამიტომ 1847 წლიდან გელათის მონასტრის წინამძღვარი **არქიმანდრიტი სიმონი** იმერეთის ეპარქიის მმართველს მიტროპოლიტ დავითს არაერთხელ მიმართავს თხოვნით, რათა გამოიყოს თანხა აღდგენითი სამუშაოებისათვის.

უწმინდესი სინოდის საქართველო — იმერეთის კანტორამ 1848 წლის სექტემბერში ნება დართო მონასტრის მმართველობას დავით აღმაშენებლის საფლავის, გალავნის მთავარი შესასვლელის და საწინამძღვრო სახლის შეკეთებაზე, რისთვისაც უნდა დახარჯულიყო 200 მანეთი, სამუშაოები შესრულდა 1849 წელს.

1846—1849 წლებში გელათის მონასტერში სარემონტო სამუშაოებზე დაიხარჯა სულ 5102 მან და 40 კაპ.

1852 წლის მარტში ძლიერ ქარს („დიდმა შფოთის ქარმა“) დიდად დაუზიანებია მონასტრის დიდი ტაძრისა და ეკლესიების ისედაც დაძველებული ფანჯრები, ზოგი ძირს გადმოუგდია, ზოგში კი მინები ჩაუმტვრევია, რის გამოც წერდა არქიმანდრიტი სიმონი „ეკლესიაში ჩიტები დადიან და ქარიანს წვიმაში წვეთი ჩადის, და ახ-

---

SOS

● **თითქმის მთლიანად დაიქცა კვარას ციხე, ძელისცხოველი, მრავალძალის, წედის, ბოყვასა და ზნაკვას ეკლესიები, ხოტევის ციხე... ჩამოქცევაზეა ნიკორწმინდა.**

● **შორიდან ჩანდა „მოდინახე“, საუკუნეებს გაუძლო, ეხლა რომ ნახო გულს მოგიკლავს...**

● **საჩხერეში ისტორიული ძეგლები სავალალო მდგომარეობაშია — ზოგი დაზიანდა ზოგი მთლად დაინგრა.**

● **1844 წელს თბილისში დაარსდა მაგნიტომეტეოროლოგიური ობსერვატორია, რომელსაც მოჰყვა შემსწავლელ მეცნიერებათა ახალი მიმართულების განვითარება.**

დენს კედელზედ წმინდათ ხატთა". ამავე დროს შენობების სახურავებიც დაძველდა, საჭიროებდა გადაღებვას. 1854-1856 წლებში ხელახლა გადაიღება ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის, წმ. გიორგის და წმ. ნიკოლოზის ეკლესიების სახურავები, ოსტატი **იეო როსტომა ჩხიკვაძე.** ფანჯრები კი კვლავ უმინოდ, გამოუცვლელი დარჩა.

1858 წელს გელათში დიდი მთავრის ნიკოლოზის, 1861 წელს კი იმპერატორ ალექსანდრე II-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით ხელახლა გადაიღება მონასტრის შენობათა სახურავები. შეკეთდა დავით აღმაშენებლის საფლავზე ჩასასვლელი კიბე და სადაც შესაძლებელი იყო, ფანჯრებში ჩასვეს მინები. ოსტატები იყვნენ **ხარიტონ ხუციბერიძე და როსტომა ჩხიკვაძე.**

1860 წელს ღვთისმშობლის სახელობის დიდ ტაძარში დაიგო ქვის ახალი იატაკი. 1863-1864 წლებში კი გაკეთდა ქვის ახალი კანკელი. (არსებული კანკელი მე-19-ს-ის დასაწყისში *იყო გაკეთებული. მაგრამ ყველანაირად* — მ. კ.), რომლის პროექტის ავტორი იყო ქუთაისის გუბერნიის არქიტექტორი ვასილიევი. კანკელის ქვის სამუშაოები შეასრულეს ბერეკაშვილებმა, ხის—ხარიტონ ხუციბერიძემ, ხატები დახატა მხატვარმა ანფიმოვმა. ახალი კანკელიც ვერ შეერწყა ტაძრის ინტერიერს, ამიტომ მოგვიანებით ისიც აიღეს.

1864-1865 წლებში ოსტატებმა **ფილიპე, იოსებ და კიკოლა ბერეკაშვილებმა** დიდ ტაძარში გააკეთეს ახალი ფანჯრები (43 ცალი — აქედან II გუმბათში) და ჩასვეს მინები. ცოტა მოგვიანებით დანარჩენ ეკლესიებშიც და სამრეკლოშიც შეცვალეს ფანჯრები.

1872—1873 წლებში გელათის მონასტერში შეაკეთეს წყალსადენი;

1875—1879 წლებში აქ ააგეს მონასტრის წინამძღვრის ახალი სახლი და სასტუმრო დიდი ოდა, რომელიც ახლაც დგას. **ოსტატები იყვნენ ლევან და მოსე ბერეკაშვილები** (ლევან სიმონის-ძე ბერეკაშვილი მეფის მთავრობის მიერ ერთგული სამსახურისათვის დაჯილდოვებული იყო ვერცხლისა და ოქროს მედლებით).

1880—1881 წლებში კვლავ გადაღებეს გელათის მონასტრის შენობათა სახურავები, ჩატარდა მცირეოდენი რემონტიც, რაზედაც სულ დაიხარჯა 2600 მანეთი.

1893—1894 წლებში გელათის მონასტრის ეზოში არქიტექტორ ვერცინსკის პროექტით ააგეს იმერეთის ეპარქიის მმართველის ეპისკოპოს გაბრიელის საკუთარი სახლი. სახლი ააგო ოსტატმა **ისიდორე ბერეკაშვილმა.** 1895 წელს ამ სახლის ირგვლივ გაკეთდა ქვის ახალი გალავანი 60 საჟენ სიგრძეზე, თავის რკინის ჭიშკრით.

მე-19-ს-ის 90-იან წლებში გადაწყდა დავით აღმაშენებლის საფლავის განახლება. 1896 წელს დავით აღმაშენებლის საფლავზე დასადგმელი საფლავის ქვა, თავისი კვარცხლბეკით გააკეთეს ოსტატებმა ანდრია **და ისიდორე ბერეკაშვილებმა,** კვარცხლბეკზე უნდა გაკეთებულიყო ბრინჯაოს ხატი დავით აღმაშენებლისა და წარწერა. ყველაფერი ეს კეთდება შემოწირული **თანხებით.**

1896—1899 წლებში მრავალ ადგილზე იქნა შეკეთებული და აღდგენილი მონასტრის გალავანი.

ასეთია, ძირითადად მე-19-საუკუნეში გელათის მონასტერში ჩატარებული შეკეთება-აღდგენითი სამუშაოები.

მერაბ კეზევაძე

გელათის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიტერატურა:

1. შენიშვნებში ავტორმა დაიმოწმა საკმაოდ ვრცელი საარქივო მასალა ქუთაისის ცენტრალური სახელმწიფო არქივის, საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივის და ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ფონდების, ტექნიკური მიზეზების გამო ფონდების ვრცელ ჩამონათვალს არ ვაქვეყნებთ. დაინტერესებულ მკითხველს საშუალება ექნება შენიშვნების დედანს გაეცნოს „ძეგლის მეგობრის" რედაქციაში.

2. ბერეკაშვილებზე დაწვრილებით იხილეთ — მ. კეზევაძე, ქვითხურონი — ბერეკაშვილები, კრებული „ძეგლის მეგობარი" № 68, 1984 წ.

SOS

● ნიკორწმინდისა და რაჭა ტყიბულის მთავარი ეპისკოპოსი, მეუფე ამბროსი: სავალალო მდგომარეობაშია საქართველოს საფიცარი და უწმინდესი სავანეს ნიკორწმინდის ტაძრის გუმბათი, სანახევროდ მაინც მოსახსნელია. ტაძარს ტანში ნესტი აქვს გამჯდარი, არ ვიცი, შესაძლოა შაორის წყალსაცავის ბრალია...

● შუა საუკუნეების ერთი ქართული ქრონიკა გვიამბობს რომ შვიდასი წლის წინათ სოფელ ჭრებალოში დიდმა მიწისძვრამ „ლაბეჭინის" მონასტერი დაანგრია.

SOS

● მიწისძვრამდე რამდენიმე ხნით ადრე ცა უცნაურად განათდება თითქოს რაღაც აფეთქდა, ხან სინათლის სვეტი გაჩნდება, ხან შუქმფენი სფეროსებრი გამოსახულება. ამტკიცებენ რომ იაპონიაში 1930 წელს დამანგრეველ მიწისძვრას წინ უძღოდა გაბმული ელვა-ქუხილი.

● ქართველმა მეცნიერებმა ცხრაასწლოვანი ისტორიული მონაცემების შესწავლის შედეგად დაასკვნეს, რომ ყველაზე დიდი, დამანგრეველი მიწისძვრები ამიერკავკასიაში სავსე მთვარის დროს ხდება.

● იაპონიაში მიწისძვრის საწინასწარმეტყველოდ იყენებენ ერთგვარი სახეობის პატარა თევზებს. მიწისქვეშა პირველ ბიძგამდე რამდენიმე საათით ადრე თევზები აკვარიუმში კედლებს აწყდებიან და ადგილს ვერ პოულობენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია

1990 წელს საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოებამ სარესტავრაციო სატიტულო სიაში შეიტანა 28 ძეგლი. აქედან ოთხს: მარტყოფის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას და სამრეკლოს, ვეჯინის არქიტექტურული კომპლექსის ნაწილს, ვაქირის იოანე ნათლისმცემლის ეკლესიასა და სოფელ აფნიას წმ. გიორგის ეკლესიას სარესტავრაციო სამუშაოები შარშან დაუმთავრდა.

ვაქირის იოანე ნათლისმცემლის VI საუკუნის ბაზილიკაზე კარგად იმუშავეს ოსტატებმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** ,მუშებმა, **გიორგი უსტიაშვილმა, გიორგი მაზნიაშვილმა,** საქმეთა მწარმოებელმა **ვალერი ლომოურმა,** (პროექტის ავტორია **ირაკლი მოსულიშვილი**). ძეგლის რესტავრაცია 1988 წელს დაიწყო, ისევე როგორც XVI საუკუნის ვეჯინის არქიტექტურული კომპლექსის ნაწილისა. ამ ობიექტებზეც საქმის მწარმოებელ ვ. ლომოურთან ერთად, ზემოხსენებულმა ბრიგადამ გამოიჩინა თავი (არქიტექტორი **ნემო ჩიკაშუა**). ვეჯინის წმინდა გიორგის ეკლესიის აღდგენა საზოგადოებას 70570 მანეთი დაუჯდა.

საზოგადოების დაკვეთით, საპროექტო-საწარმოო კოოპერატივ „ხერთვისმა“, თავმჯდომარის, **მერაბ ბოჭოიძის** უშუალო ხელმძღვანელობით, საქმის მწარმოებლის **დავით გელაძის** დიდი მონდომების წყალობით, ახალქალაქის რაიონის სოფელ აფნიას წმ. გიორგის ეკლესიის სარესტავრაციო სამუშაოები ერთ წელიწადში დაამთავრა და საექსპლოატაციოდ გადასცა სტიქიით დაზარალებულ მესხეთ-ჯავახეთში ჩამოსახლებულ, აწ უკვე ქრისტიანულად მონათლულ აჭარლებს. ამ აქციაზე საზოგადოებამ 46990 მანეთი დახარჯა.

1990 წელს ჩაბარებულ ძეგლთაგან სარესტავრაციო სამუშაოები ყველაზე მეტ ხანს მარტყოფის წმ. ნიკოლოზის ეკლესიას გაუგრძელდა. იგი 1979 წელს დაიწყო არქიტექტორ **ნიკო ზაზუნიშვილის პროექტით** (საქმის მწარმოებელი **ა. კობერიძე**). ეკლესიის აღდგენაში საზოგადოებას დიდი დახმარება გაუწია სოფლის თავკაცმა, ბატონმა **აკაკი ერცელიშვილმა.** დიდი ენთუზიაზმით მუშაობდნენ: ქვისმთლელი **თამაზ ლოლიაშვილი,** მძღოლი **სისო ჩოკიშვილი,** სოფლის მკვიდრი მეთუნუქე **რევაზ გაიხარაშვილი...** აღდგენას აგრეთვე დახმარებას უწევდა ეკლესიის მოძღვარი **მამა ზაქარია** (ძინძიბაძე). მარტყოფელმა მლესავთა ბრიგადამ კი უსასყიდლოდ შელესა ეკლესიის კედლები. აქ ჩატარებული სამუშაოები საზოგადოებას საკმაოდ სოლიდური თანხა — 224400 მანეთი დაუჯდა.

სატიტულო სიაში შეტანილ ძეგლთა ჩამოთვლა, რომელთა რესტავრაცია დღესაც მიმდინარეობს, შორს წაგვიყვანდა.

დასასრულ მსურს იმედი გამოვთქვა, რომ მიუხედავად რესპუბლიკის საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლისა და შესაბამისად ყოველნაირ მასალაზე ფასების ზრდისა, ძეგლთა დაცვის საზოგადოება კვლავაც შეძლებს ამ მამულიშვილური საქმის კეთებას, რომელსაც 1959 წლიდან, დაარსების დღიდან უდგას სათავეში. ამ იმედს, საზოგადოების წევრთა დიდი ენთუზიაზმიც ამძლავრებს, აღსადგენი კი ჭეშმარიტად ბევრი აქვს საქართველოს.

გიორგი გიორგაძე.



ავენისის ხუროთმოძღვრული კომპლექსის გენგეგმა.



ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



საცხოვრებელი ნაგებობები (რეკონსტრუქციას).



ეკლესია აღმოსავლეთისაკენ.



ეკლესია ჩრდილოეთისაკენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ДЗЕГЛИС МЕГОБАРИ» № 1 (1991).

Лали АЛЕКСИ-МЕСХИШВИЛИ
Изольда ДЖИКИДЗЕ

К ВОПРОСУ ВОССТАНОВЛЕНИЯ ПОВРЕЖДЕННОГО ПЕРГАМЕНТА

В статье дается описание методики восстановления и укрепления обветшалых листов пергамента, разработанной Австрийскими учеными.

ПРОТЕСТ УЧЕНЫХ

Обращение к информационной программе «Время» — Центрального телевидения СССР.

В обращении выражается протест ученых института истории грузинского искусства программе «Время» по поводу лживой информации, согласно которой 29 апреля 1991 года вследствие землетрясения в Грузии якобы пострадали памятники осетинской исторической культуры, на самом же деле известно, что на территории Шида Картли существуют памятники лишь грузинской культуры.

Георгий ГОЦИРИДЗЕ

ГРУЗИНСКАЯ НАЦИОНАЛЬНАЯ КУХНЯ И ТАЙНЫ НАРОДНОЙ СИСТЕМЫ ПИТАНИЯ

(Общий обзор)

В данной статье автор предлагает основные выводы этнографического изучения традиционной системы питания, в которой четко отражены социально-экономические, хозяйственные, религиозные, экологические и другие аспекты бытовой культуры Грузии.

Нодар БАХТАДЗЕ

НЕ ТОЛЬКО СО СВОЕЙ ПОЗИЦИИ

Этой проблеме была посвящена научно - теоретическая конференция, которая проводилась в г. Тбилиси по инициативе Президиума общества охраны

ეროვნული ბიბლიოთეკა

памятников истории и культуры. Автор комментирует итоговые рекомендации конференции и высказывает свои соображения. В частности, в статье подчеркивается мысль о необходимости тщательного археологического изучения каждого архитектурного памятника намеченного для реставрации.

Автор рассказывает также о результатах археологической искусствоведческой экспедиции (руководитель экспедиции Н. Бахтадзе) проведенной в монастыре Пиргебули.

Мераб БОЧОИДЗЕ
Гия ЧАНИШВИЛИ

АРХИТЕКТУРНЫЙ КОМПЛЕКС «АВЕНИСИ»

В статье рассказывается об архитектурном комплексе «Авениси», расположенном недалеко от Военно-Грузинской дороги у Жинвальского водохранилища.

Во время раскопок Жинвальской археологической экспедицией в 1975-76 гг. комплекс, почти полностью засыпанный землей, был расчищен и приготовлен для реставрационных работ.

Церковь, по предположению Жинвальской археологической экспедиции, построена в IX—X вв.

«Авениси» представляет собой пример монастырских построек небольшого масштаба, доминантной которых служит базиликальная церковь «Св. Георгия», занимающая центральную часть территории и восточным фасадом опирающаяся на внешнюю подпорную стену монастыря. С запада к ней примыкают 4 милые постройки — монашеские Кельи. Комплекс окружен невысокой каменной оградой со входом с южной стороны. Все строения выполнены из песчаника грубой обработки сероватого оттенка.

Проект на реставрацию — консервацию архитектурного комплекса «Авениси» разработан на основе проведенных научно - изыскательских работ по заказу Президиума Грузинского Общества охраны памятников.

Работы произведены архитектурно-реставрационным кооперативом «Хертвиси» при Главном научно-производст-

ეროვნული ბიბლიოთეკა

венном управлении по охране и использованию памятников истории и культуры Грузии.

Мераб КЕЗЕВАДЗЕ

НЕУВЯДАЕМЫЙ СТАРЕЦ

В статье дается подробное описание восстановительных работ в монастыре Гелати, произведенных в XIX в.

Заза СХИРТЛАДЗЕ

ИЗОБРАЖЕНИЯ КТИТОРОВ В ГЛАВНОМ ХРАМЕ МОНАСТЫРЯ св. ДОДО

Индентификация сильно фрагментированных царских портретов, представленных на южной стене главного храма пещерного монастыря св. Додо в Гареджи, стала невозможной из-за отсутствия пояснительных надписей. Учитывая исторические условия, а также некоторые особенности, характерные для данных портретов, высказано предположение об их исполнении в XII—XIII вв.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ოფიციალური განყოფილება 4

სიტყვა ძეგლის მოყვარულს
ძვირფასო მკითხველო? 5

არმაღანი
ლ. წიკლაური. რუსთაველის დაბრუნება 7

ფორუმი, მსჯელობა, შედეგი
რ. საყევარაშვილი. ყრილობამ ასე გადაწყვიტა. **საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების** VIII ყრილობა 8

ძეგლი ძეგლთაგანი
როგორ ვამბობთ 10

საქმე კეთილი
ვ. მამუკელაშვილი. მადლიერების საყდარი . . 11

გიორგი ჩიტაია — 100
ალბათ ბედიც მწყალობდა 15

სხვათა გამოცდილება
ლ. ალექსი-მესხიშვილი, ი. ჯიქიძე. გაგვიცოცხლდება, აღდგება 17

მეცნიერები აპროტესტებენ
წერილი „ვრემიას“ 18

მამა-პაპათა პურობა
გ. გოცირიძე. ეს დალოცვილი ქართული სუფრა . . . 19

ინტერვიუ
გ. ციხისთავი. სახიფათოა წყალთან თამაში 23

პატარა ინტერვიუ
სად არის ამდენი? 27

მხოლოდ ერთობლივი ძალისხმევით
ნ. ბახტაძე. ცოდვა თუ არცოდნა 33

შველას ითხოვს
მ. ბოჭოიძე, გ. ჭანიშვილი. სახითაც თავისთავადი . . . 35

შესწავლას მოელის
გ. ბაგრატიონი. ზაქაგორის ხუროთმოძღვრული კომპლექსი . 39

ფერწერული მატიანე
ზ. სხირტლაძე. რაზე მეტყველებენ კედლები . . . 49

ეს საინტერესოა
გაუმარჯოს ბაქტერიას 55

ღირსშესანიშნაოგანი
თ. კვირკველია. ფუნიკულიორი . . . 56

არქეოლოგიური მერიდიანები
ლ. ჯიქია, ასე იწყებოდა ქუთაისი 60

აქ ირწეოდა ცოდნის აკვანი
მ. კეზევაძე. მარად ჭაბუკი უხუცესი 67

რესტავრაცია
გ. გიორგაძე. მათ ახალთ აღგიდგინონ შენ დიდების დღენია . 73

ყდის პირველ გვერდზე — ფერადი სლაიდები: **ბაგრატის ტაძარი; ჯვრის მონასტერი მცხეთაში; გელათი.**

მეორე გვერდზე — „ლოცვა“, **არნოლდ ვადაჩკორიას** ფოტოეტიუდი.

მესამე გვერდზე — ტაძრები მიწისძვრის შემდეგ: (მარცხნიდან) **ნიკორწმინდა; წმინდა ნინოს ტაძარი. სავანე და მოდინახე** (საჩხერის რაიონი) **თამაზ ქიქავას** ფოტოები.
მხატვარი. საქართველოს დამსახურებული მხატვარი **ანდრო ბოჭოიძე.**

გადაეცა წარმოებას 7.V.1991 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 22.IX.1991 წ. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 5, სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5. ტირაჟი 3.000, შეკვ. 964.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“, თბილისი, მერაბ კოსტავას ქ., 14

ეროვნული ბიბლიოთეკა



ეროვნული
ბიბლიოთეკა

J 43/1
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 80 კაპ.

ძეგლი მეტყველი მატიანეა საქართველოსი — ქვათა ღაღადი ჩვენი ერის სულისკვეთებისა, ქართული კულტურის, ისტორიის სულიერი სიმდიდრის უტყუარი საბუთი. მაგრამ ათწლეულების მანძილზე, რაც ქვეყანამ დამოუკიდებლობა დაკარგა, ჩვენი საგანძურის ბევრი, შესანიშნავი ნიმუში იავარ იქმნა შინაური მტრებისა თუ გადამთიელთა მიერ... ახლა, როცა საქართველოში ეროვნულმა ძალებმა გაიმარჯვეს, ისევ ამეტყველდნენ დადუმებული ზარები, კვლავ იბრუნა პირი ხალხმა სარწმუნოებისაკენ. დადგა ჟამი, რომ აღორძინდეს ძეგლთა მოვლა-პატრონობისა და დაცვის საქმე. ამას დაუთმობს დიდ ყურადღებას საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების ჟურნალი „ძეგლის მეგობარი". რედაქციის კოლექტივს სწამს, რომ იგი ბევრ მეგობარს შეიძენს ხელმომწერი მკითხველის სახით. მით უმეტეს რომ ის არც ისე ძვირი ღირს. ჟურნალში სამეცნიერო წერილებისა და შრომების გარდა დაიბეჭდება ლექსი, მოთხრობა, ნარკვევი ეროვნული საგანძურის მომცველი თემატიკით.